

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
რომანული ფილოლოგია

თამარ ღარიბაშვილი

ფრანგული კომპიუტერული დისკურსი (ლინგვო-კულტუროლოგიური ანალიზი)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი ქეთევან გაბუნია

თბილისი- 2019

სარჩევი

| | |
|---|-------|
| შესავალი..... | გვ.4 |
| თავი 1. დისკურსის კატეგორია თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების ფონზე..... | გვ.12 |
| 1.1 ტერმინი „დისკურსის“ კოგნიტიური და სემანტიკური მნიშვნელობები..... | გვ.12 |
| 1.2 ცნებების „დისკურსი“, „ტექსტი“, „მეტყველება“ ურთიერთმიმართება..... | გვ.25 |
| 1.3 დისკურსის სტრუქტურული მახასიათებლები..... | გვ.31 |
| 1.4. დისკურსის ანალიზის ასპექტები და სტრუქტურა..... | გვ.39 |
| თავი 1-ის დასკვნები..... | გვ.46 |
| | |
| თავი 2. ახალი ტექნოლოგიების ტერმინების ფორმირების ძირითადი ტენდენციები..... | გვ.49 |
| 2.1 ტერმინთა წარმოქმნის პროცესების ტიპოლოგია..... | გვ.49 |
| 2.2 ინგლისური ენიდან ნასესხები კომპიუტერული ტერმინები..... | გვ.63 |
| 2.3 კალკი..... | გვ.72 |
| 2.4 აბრევიაცია..... | გვ.74 |
| 2.5 ტერმინების წარმოქმნა დერივაციული ხერხით..... | გვ.84 |
| თავი 2-ის დასკვნები..... | გვ.87 |

| | |
|---|---------|
| თავი 3.კომპიუტერული ტექნოლოგიების შესახებ ფრანგული პუბლიკაციების დისკურსის ანალიზი..... | გვ.90 |
| 3.1 ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების კონტექსტუალური (არაენობრივი) თავისებურებები..... | გვ.90 |
| 3.2 ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების ტექსტუალური (ენობრივი) თავისებურებები..... | გვ.95 |
| 3.3 კომპიუტერული „ჟარგონები“ ფრანგული პუბლიკაციების დისკურსებში..... | გვ.107 |
| 3.4 კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემის თავისებურებები ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების პუბლიკაციების მაგალითზე..... | გვ.115 |
| 3.5 ახალი ტექნოლოგიები მეცნიერების სამსახურში..... | გვ. 128 |
| თავი 3-ის დასკვნები..... | გვ. 144 |
| საბოლოო დასკვნები..... | გვ. 146 |
| ბიბლიოგრაფია..... | გვ. 155 |

შესავალი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება კომპიუტერული დისკურსის ფუნქციონალური თავისებურებების კვლევას ახალი ტექნოლოგიების შესახებ არსებული ფრანგული პუბლიკაციების მასალაზე, რომელიც საფუძვლად უდევს ფუნქციონალურ ლინგვისტიკას.

კვლევის ანალიზის საგანია ფრანგული კომპიუტერული რეალობის დისკურსული თავისებურებები და მასთან ერთად ტერმინოლოგიური სისტემების ფორმირება და ფუნქციონირება ზემოხსენებულ კონტექსტებში.

თემის აქტუალობა. წინამდებარე ნაშრომი თანამედროვეა და აქტუალური. ამის თემის უფლებას ბევრი მიზეზი გვაძლევს. პირველ რიგში, დღემდე არ არსებობს არცერთი ნაშრომი საქართველოში, რომელიც კომპიუტერულ დისკურსს სწავლობდეს. მომავალში მან შეიძლება შექმნას პერსპექტივა მისი ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ენისა და სინამდვილის ურთიერთობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე, სხვადასხვა კულტურათა ურთიერთზეგავლენის შედეგად, საკითხი დისკურსების შესწავლისა და შეპირისპირების თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალურია. ჩვენი მიზანი არ იყო ქართული კომპიუტერული დისკურსის ფორმირების შესწავლა, რადგან ამ თვალსაზრისით მასალა ძალზე მწირია, თუმცა ფრანგული კომპიუტერული დისკურსის კვლევა საკმაოდ აქტუალურია და არ არის კარგად გაანალიზებული. მასში იგრძნობა ინგლისური კომპიუტერული დისკურსის ზეგავლენა. ამიტომ, უარი ვთქვით, დისკურსების შეპირისპირებით კვლევაზე. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დღეს კომპიუტერული დისკურსი არა მარტო პროფესიონალ პროგრამისტებს, არამედ სხვადასხვა პროფესიის, სოციალური ჯგუფისა და ასაკის ადამიანებსაც აინტერესებთ. ისინი არა მარტო კომპიუტერს იყენებენ, არამედ კომპიუტერულ ტერმინოლოგიას ფლობენ. ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემა უნიკალურია, რომელშიც ინგლისური ტერმინოლოგია ჭარბობს. გვხდება ასევე კომპიუტერული პროფესიული ჟარგონები, რომლებიც ჯერ კიდევ კარგად არ არის

შესწავლილი. კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემების თავისებურებები არ ყოფილა შესწავლილი ახალი ტექნოლოგიების შესახებ არსებული ჟურნალების სტატიების ტექსტების მასალაზე.

კლევის აქტუალურობა ნაკარნახევია ასევე, სამეცნიერო სამყაროში კომპიუტერული ტერმინოლოგიისადმი მზარდი ინტერესით ინტერდისციპლინარული კვლევის ჭრილში. ამ მხრივ, უნდა აღვნიშნოთ ისეთ მეცნიერთა ნაშრომები, როგორებიცაა ჯ.ბრაუნი, რ. ბარტი, ჯ.იული, ი.პოპოვი და სხვები. წინამდებარე დისერტაციაში კომპიუტერული დისკურსები განხილულია სამეცნიერო ჟურნალების მასალაზე, რითაც შესაძლებელი გახდება ენის ნომინაციური პროცესების ანალიზი ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ფონზე.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ ნაშრომები არ არსებობს, რაც მიუთითებს კიდევ ნაშრომის აქტუალურობაზე. ნაშრომი შესრულებულია ფუნქციონალური ლინგვისტიკის ჭრილში, რაც საშუალებას გვაძლევს ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ფუნქციონირება განვიხილოთ თანამედროვე მეთოდების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით.

თემის აქტუალურობა იმითაც არის განპირობებული, რომ დისკურსის ცნება თანამედროვე სამეცნიერო პარადიგმას ეკუთვნის. დისკურსის თეორიისა და პრაქტიკის წარმოქმნა და განვითარება, მისი ანალიზი პასუხობს ენის, როგორც სოციალური მოვლენისადმი მიდგომას და იმ ტენდენციას, რომ მან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მოახდინოს ინტეგრირება, როგორიცაა: ფილოლოგია, სოციოლოგია, სემიოტიკა, კულტურული ლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და ა.შ. ენობრივ თავისებურებებს სწორედ, დისკურსის თეორიით შეიძლება დავაკვირდეთ ფუნქციური ლინგვისტიკის კონცეფციაზე დაყრდნობით, რომლისთვისაც ენა კომუნიკაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „დისკურსი“ დიდი ხანია არსებობს მისი დეფინიცია დღემდე არაერთგვაროვანი რჩება. წარმოდგენილ დისერტაციაში შევეცადეთ მოგვეხდინა ტერმინი „დისკურსის“ შესახებ არსებული ინტერპრეტაციების სისტემატიზაცია და ანალიზი, ლინგვისტიკაში და

ლინგვისტიკასთან დაკავშირებულ დისციპლინებში, რომლებიც ადამიანური ყოფიერების არსის შემეცნებისკენაა მიმართული.

კვლევის მიზნები და ამოცანები. დისერტაციის მიზანია დავადგინოთ ფრანგული თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების შესახებ არსებული პუბლიკაციების დისკურსული მახასიათებლები და მათი ფუნქციური თვისებები. ამისთვის საჭიროა შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

1. განვსაზღვროთ დისკურსის ცნება თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების მრავალფეროვნების ფონზე;
2. განვსაზღვროთ ფუნქციონალური ლინგვისტიკის სფერო, რომლის ჩარჩოებშიც კვლევა მიმდინარეობს;
3. აღვნიშნოთ ლინგვისტიკაში ძირითადი მიდგომები დისკურსის ტიპოლოგიური და სტრუქტურული კატეგორიების ასაღწერად;
4. განვსაზღვროთ დისკურსის ანალიზის ასპექტები;
5. გამოვავლინოთ ფრანგული კომპიუტერული დისკურსის კონტექსტუალური და ტექსტუალური მახასიათებლები;
6. განვსაზღვროთ ახალი ტექნოლოგიების ტერმინების ფორმირების ძირითადი ტენდენციები;
7. გამოვავლინოთ კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემების ყველაზე პროდუქტიული მოდელები, რომლებსაც ფრანგულ ენაში დაფიქსირების ყველაზე მაღალი ხარისხი გააჩნია;
8. შევადაროთ ინგლისური ენიდან ნასესხები ტერმინები იმ ერთეულებს, რომელთა ადაპტირება მოხდა ფრანგულ ენასთან, ტერმინოლოგიურ სფეროში ანგლიციზმების ფართოდ გამოყენების გათვალისწინებით.
9. შევისწავლოთ სხვადასხვა სფეროდან მნიშვნელობების ინფორმატიკის სფეროში გადატანის კოგნიტიური მექანიზმები;
10. გავაანალიზოთ კომპიუტერულ ტერმინოლოგიურ სისტემაში არსებული მეტაფორული მოდელები და მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია.

მეცნიერული სიახლე. ნაშრომის მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილ იქნეს ფრანგული კომპიუტერული დისკურსის მაკონსტიტუირებელი

ტექსტუალური და კონტექსტუალური ნიშნები ახალი ტექნოლოგიების შესახებ არსებული ფრანგული სამეცნიერო პუბლიკაციების მასალაზე.

ნაშრომის თეორიული ღირებულება ისაა, რომ ჩვენ ვცდილობთ შევიმუშავოთ დისკურსის ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგია მისი კონტექსტუალური და ტექსტუალური თავისებურებების გათვალისწინებით. დისკურსის ანალიზის მეთოდოლოგიის დემონსტრირება ფრანგული პუბლიკაციების, ინტერნეტჟურნალების სტატიების მასალაზე ხდება, რომლებიც შეიძლება სხვა ტიპის დისკურსების მაკონსტიტუირებელი ნიშნების გამოსავლენად გამოვიყენოთ.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება ქართული კომპიუტერული დისკურსის სპეციფიკის შესასწავლად. შეიძლება ისინი გამოვიყენოთ ზოგადი ენათმეცნიერების სალექციო კურსის სწავლებისას, ასევე ისეთი სპეცკურსების სწავლებისას, რომლებიც ფუნქციურ ლინგვისტიკასა და დისკურსის თეორიას ეძღვნება.

დისერტაციის კონცეპტუალური იდეები ასახულია შემდეგ დებულებებში:

1. ფრანგული კომპიუტერული დისკურსი იქმნება ინგლისური კომპიუტერული დისკურსის ზეგავლენით და ჰიბრიდული ბუნება აქვს;
2. ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემა ძირითადად წარმოდგენილია დიდი რაოდენობის ინგლისური ნასესხობებითა და ჟარგონიზმებით;
3. რამდენადაც კომპიუტერული დისკურსი კომპიუტერული ტერმინებისაგან შედგება, ამდენად საჭიროა მათი წარმოქმნის პროცესების ტიპოლოგიის განსაზღვრა;
4. კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემის ფორმირებისას განსაკუთრებულ როლს ასრულებს ასოციაცია, როგორც აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება და მეტაფორა, როგორც ანალოგიის სახესხვაობა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეცნიერული ცოდნის განვითარებაში.

კვლევის თეორიული საფუძველი. წინამდებარე დისერტაციის თეორიული საფუძველი დისკურსის თეორიის თანამედროვე კონცეფციაში მდგომარეობს,

რომელიც ასახულია მრავალ მეცნიერთა ნაშრომებში. ესენია: ი. ჰაბერმასი, რ. ბარტი, ტ.ა. ვან დეიკი, მ. ფუკო, ზ.ჰარისი, ა. გრაისი, დ.შიფრინი, ს. ტომპსონი, ე. ჰოფმანი, უ. ლაბოვი და სხვები. სწორედ ამ მეცნიერებმა შექმნეს და განავითარეს დისკურსის თეორია და აჩვენეს კოგნიტიური და ენობრივი სტრუქტურების ერთიანობა ადამიანის არსებობის მრავალფეროვნებაში. დისკურსის თეორიასა და დისკურსის ანალიზს, როგორც ინტერდისციპლინარულ მოვლენას თანამედროვეობის მიუხედავად, საკუთარი ისტორია აქვს. პირველად ტერმინი „დისკურსი“ ფრანგულ ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოიყენეს, როდესაც ის „დიალოგურ მეტყველებას“ გულისხმობდა, მოგვიანებით ის დისკურსის ისეთ სახეობებად გარდაიქმნა, როგორცაა: „მეტყველება“ და „ტექსტი“. ძნელი იყო დისკურსის მნიშვნელობის გაშიფვრა მისი ლოგიკურ-ცნებითი სტრუქტურის ანალიზის მეშვეობით. თუმცა, ცნება „დისკურსი“ დამკვიდრდა ლინგვისტიკაში და მან ის მნიშვნელობა მიიღო, რომელიც სტრუქტურალისტების და პოსტსტრუქტურალისტების შრომებშია აღწერილი (ე.ბენვენისტი, ჯ. სერლი, ტ.ა. ვან დეიკი, მ. ფუკო და სხვები).

დღეს, ტერმინს „დისკურსი“ მრავალი დისციპლინა იყენებს, ჰუმანიტარული დისციპლინებიდან დაწყებული სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო დისციპლინებით დამთავრებული. მისი დეფინიციის მრავალფეროვნების მიუხედავად, ეს ცნება საუბრის, გამონათქვამის სემას უტოლდება.

ყველაზე უკეთ დისკურსის დეფინიცია მოცემულია ლინგვისტურ ენციკლოპედიაში: „დისკურსი“-გაბმული ტექსტია, ექსტრალინგვისტური, პრაგმატიკული, სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორებით; ტექსტი, რომელიც აღებულია მოვლენის ასპექტში; მეტყველება, რომელიც განიხილება როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება, როგორც კომპონენტი, რომელიც ადამიანთა და მათი შეგნების მექანიზმების ურთიერთქმედებაში (კოგნიტიურ პროცესებში) მონაწილეობს. დისკურსი ცხოვრებაში ჩაფლული მეტყველებაა“(ლინგ.ენციკ. 1998: 136–137). ეს დეფინიცია საინტერესოა, თუმცა დისკურსის სხვა მნიშვნელობები არანაკლებ სასარგებლო აღმოჩნდა თავად დისკურსის მოვლენისა და არსის გასააზრებლად, რომლებსაც დეტალურად განვიხილავთ პირველ თავში. თუ ნარუტიუნოვას განსაზღვრებას

გავითვალისწინებთ, რომელიც პრიორიტეტს ტექსტს ანიჭებს, დისკურსი შეიძლება ტექსტის ლინგვისტიკის საგნად განვიხილოთ, ხოლო დისკურსის ანალიზი მის ერთ-ერთ მეთოდად.

თავდაპირველად დისკურსის ანალიზი სტრუქტურალისტების (ზ. ჰარისი) პოზიციიდან ტექსტების კვლევას გულისხმობდა. დისკურსის ანალიზი არსებითად სტრუქტურულად ორიენტირებული ტექსტის გრამატიკას და ტექსტის ლინგვისტიკას (ო. მოსკალსკაია, ი.პოპოვი, გ. პაული და სხვები) ემთხვეოდა. მოგვიანებით 70-იან, 80-იან წლებში, კომუნიკაციურ-პრაგმატიკული მოდელებისა და ასევე კოგნიტიური თეორიის იდეების გავლენით დისკურსის ანალიზში გაჩნდა ფუნქციურ-ლინგვისტური მიმდინარეობა. ის ყურადღებას აქცევს ტექსტის შექმნის პროცესს მოსაუბრის/მწერლის მიერ ან მისი ინტერპრეტაციის პროცესს მსმენელისა თუ მკითხველის მიერ (ტ.ა.ვან დეიკი, ჯ.ბრაუნი, ჯ. იული). დისკურსის ანალიზის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ პრაგმატიკული ფაქტორები, სიტუაციის კონტექსტი და ცოდნა სამყაროს შესახებ (ვან დეიკი 1989; ბრაუნი, იული 1983).

დ. მენგენოს აზრით, უმჯობესია დისკურსის ანალიზი განვიხილოთ, როგორც ისეთი დისციპლინა, რომელიც იმის ნაცვლად, რომ ტექსტშივე განახორციელოს ლინგვისტური ანალიზი, ან თავისივე „კონტექსტის“ სოციოლოგიური ან ფსიქოლოგიური ანალიზი, ცდილობს ტექსტები გადმოსცეს გამონათქვამების მექანიზმების მეშვეობით სოციალურ გარემოში, რომლებიც ამის შესაძლებლობას იძლევა (მენგენო 2009:18-19).

დისკურსის ანალიზის ერთ-ერთ ფუნქციურად მიჩნეულია ტ.ა. ვან დეიკი. დისკურსის ანალიზი ეყრდნობა იმ მისაზრებას, რომ ტექსტის სტრუქტურა მისი კონტექსტის ბუნებით არის განპირობებული. დისკურსი შეიძლება განვიხილოთ სამი ასპექტით: ა) როგორც ენის გამოყენების საშუალება; ბ) როგორც გარკვეული წარმოდგენების საზოგადოებრივ შეგნებაში „შეღწევა“; გ) როგორც სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდების ურთიერთქმედება (გ. ბრაუნი, გ. იული). დისკურსის სტრუქტურის ამგვარი გაგება შემდეგი ტიპის მოთხოვნებს აყენებს:

-დისკურსის ენის გამოყენება, მისი შესწავლა ტექსტის ანალიზს გულისხმობს. ის სხვადასხვა სფეროს მოიცავს: სინტაქსს, ლექსიკას, პოლიფონიის „ხმებს“, ფუნქციებს,

ცალკეული კომპონენტების მოდალიზაციის განსხვავებულ გზებს იმ მიზნით, რომ გამოააშკარავოს ან კიდევ ბუნდოვანი გახადოს გარკვეული დეტალები;

-დისკურსი აყალიბებს, ასისხლხორცებს წარმოდგენას და აუცილებელს ხდის ტექსტების წარმოქმნას და მათ ინტერპრეტაციას;

-დისკურსი, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ინდივიდების ურთიერთქმედება, შესწავლილ უნდა იქნეს მოცემული საზოგადოების სოციალურ სტრუქტურათა კულტურების კონტექსტში (ბრაუნი, იული 1983: 93 – 97).

დისკურსის ანალიზი მხოლოდ ენობრივი ჩარჩოებით არ შემოიფარგლება, ვინაიდან დისკურსი ინტერდისციპლინარული მოვლენაა და დისკურსის ანალიზი შეიქმნა სხვადასხვა მეცნიერების კვლევის რამდენიმე სფეროს შესაყარზე, როგორცაა: სემიოტიკა, ეთნოგრაფია, ნარატიული ანალიზი, სამეტყველო ურთიერთობის ანალიზი, ტექსტის ლინგვისტიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლოგია და ხელოვნური ინტელექტის თეორია (ვან დეიკი 1989: 119).

დისკურსის ანალიზში აქცენტები კეთდება იმაზე, თუ რომელი ზემოხსენებული სფეროს წარმომადგენელი აწარმოებს ანალიზს. ამგვარად, დისკურსის ანალიზი უნდა განვიხილოთ მის წინაშე მდგარი პრობლემებისა და შესასწავლი ობიექტების საფუძველზე.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდია ტექსტუალური, ანუ ტექსტის სტრუქტურული ანალიზი ყველა დონეზე და კონტექსტუალური ანალიზი, რომელიც დისკურსის ექსტრალინგვისტურ პარამეტრებს ეხება. მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა შევიმუშავოთ ფრანგული კომპიუტერული დისკურსების მაკონსტიტუირებელი ნიშნები. ამას გარდა, დისკურსის ანალიზი დაგვეხმარება თვალი მივადევნოთ ფრანგული კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემების ევოლუციისა და ფუნქციონირების თავისებურებებს, კომპიუტერულ ჟარგონიზმებს ჩვენ მიერ შერჩეული პუბლიკაციების კონტექსტებში. ნაშრომში ვიყენებთ კვლევის დამხმარე მეთოდებს:

1. აღწერისა და სინთეზის მეთოდს; მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა შევისწავლოთ დისკურსის საკვლევი კატეგორიების მიმართ განსხვავებული

მიდგომები(დეფინიცია, ნიშან-თვისებები, კლასიფიკაცია, ტიპოლოგია, ტერმინების წარმოქმნის ძირითადი ტენდენციები) და მიღებული ინფორმაცია განვაზოგადოთ შესაბამისი დასკვნების სახით;

2. სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის მეთოდი, რომლის ამოცანა იმ ენობრივი ელემენტების მნიშვნელობების, სტრუქტურებისა და ფუნქციონირების კვლევაა, რომლებიც ფრანგული კომპიუტერული ჟარგონული და ტერმინოლოგიური სისტემების ფორმირების პროცესში მონაწილეობენ;

3. ლოგიკურ-სინტაქსური ანალიზის მეთოდი, რომლის ამოცანა ენობრივი ერთეულების გამოხატვის წესების, ფორმირებისა და გარდაქმნის კვლევაა მათი ფუნქციონირების პროცესში.

საკვლევ მასალად გამოყენებულია *Le magazine des technologies de demain* და *Le Monde numérique-Le magazine des nouvelles technologies*, ინტერნეტგამოცემები. განხილულ იქნა დისკურსები 2013 წლის დეკემბრიდან 2016 წლის ნოემბრამდე, დაახლოებით 2800 დისკურსი. აქცენტი ძირითადად კეთდება თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ არსებულ ფრანგულ პუბლიკაციებზე. ქართული კომპიუტერული დისკურსი ისეთი სახით არ არსებობს, რომ შესაძლებელი იყოს მისი მეცნიერული კვლევა. ზემოხსენებული ჟურნალების შერჩევა განპირობებულია მრავალი ფაქტორით. პირველ რიგში, ისინი საკმაოდ პოპულარულია საფრანგეთში. ეს არის ინტერნეტგამოცემები და მათზე წვდომა ადვილია. ჟურნალებში მოცემული ენობრივი მასალა სრულად და ადეკვატურად ასახავს იმ სურათს, რომელიც პროგრამისტების პროფესიული ენის ირგვლივ ჩამოყალიბდა, რომელთა საქმიანობა ასე თუ ისე დაკავშირებულია კომპიუტერთან. ჟურნალები წერილობით დაფიქსირებული დისკურსის ფორმაა, რაც უზრუნველყოფს აუცილებელი თვისობრივი და რაოდენობრივი ემპირიული მასალის გამოყენებას, მასში მოცემული ინფორმაციის აღწერასა და ანალიზს.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია 154 გვერდზე და შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის, და კვლევის პროცესში გამოყენებული 206 დასახელების სამეცნიერო ლიტერატურისაგან.

თავი 1. დისკურსის კატეგორია თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

1.1 ტერმინ „დისკურსის“ კონკრეტული და სემანტიკური მნიშვნელობები

ლინგვისტიკაში და ასევე ლინგვისტიკის მომიჯნავე მეცნიერებებში, დისკურსის კვლევის პრობლემას უამრავი ნაშრომი ეძღვნება. დისკურსის თანამედროვე თეორიის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ისეთ მეცნიერთა სახელებთან, როგორებიცაა ი.ჰაბერმასი, რ. ბარტი, მ. ფუკო, ზ. ჰარისი, ა.გრეიმასი, ი.კრისტევა, ტ.ა. ვან დეიკი, უ. ლაბოვი, და მრავალი სხვა მეცნიერი. ამ მეცნიერთა ნაშრომების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი სახის დასკვნა დისკურსთან მიმართებაში. დისკურსის განხილვა შესაძლებელია მსოფლიო თანამედროვე სამყაროში სხვადასხვა თვალსაზრისით. ინტერდისციპლინარული თეორიული დებულებების სინთეზი დისკურსის შესახებ საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ იმ ტენდენციებს, რომლებიც დისკურსის თეორიასთან დაკავშირებით ლინგვისტიკაში არსებობს. ჩვენი მიზანია დისკურსის ანალიზი და კვლევა, რისთვისაც დგება შემდეგი საკითხების განხილვის აუცილებლობა:

- დისკურსის ცნების განსაზღვრა თანამედროვე ჰუმანიტარულ მრავალფეროვან სამყაროში;
- თავად ფუნქციონალური ლინგვისტიკის განსაზღვრა;
- ენათმეცნიერებაში ძირითადი მიდგომების განსაზღვრა დისკურსის ტიპოლოგიური და სტრუქტურული კატეგორიების აღწერის თვალსაზრისით;
- დისკურსის ანალიზის ასპექტების განსაზღვრა.

ვინაიდან დისკურსი ინტერდისციპლინარული კატეგორიაა, შესაძლებელია მისი კვლევა სხვადასხვა განზომილებაში და ასევე სხვადასხვა სახით მისი მეცნიერული ინტერპრეტაცია. სწორედ ამიტომ, ის საჭიროებს მრავალმხრივ შესწავლას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის კვლევაც, თუ როგორ ვლინდება დისკურსი ლინგვისტიკასთან კავშირში მყოფ ცოდნის სხვადასხვა სფეროში.

დისკურსის კატეგორიას იკვლევენ სხვადასხვა ჰუმანიტარული დისციპლინის თვალსაზრისით. მაგალითად, პრაგმალინგვისტიკის თვალსაზრისით, დისკურსი

კომუნიკაციის პროცესში მონაწილეთა ინტერაქციული ქმედებაა, რომლითაც ხდება კონტაქტის დამყარება და შენარჩუნება, ემოციური და ინფორმაციული გაცვლა, ერთმანეთზე ურთიერთზეგავლენა, მომენტალურად მონაცვლე კომუნიკაციური სტრატეგიების გადახლართვა და კომუნიკაციის დროს მათი ვერბალური და არავერბალური განსახიერება, კომუნიკაციური სვლების განსაზღვრა მათი ექსპლიციტური და იმპლიციტური შინაარსის ერთიანობაში. ვ.კარასიკის აზრით, ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისით, დისკურსი შეისწავლის მეტყველების წარმოქმნის, აღქმისა და ინტერპრეტაციის შიდა და გარეგან მექანიზმებს, რომლის დროსაც მეტყველებაში მონაწილე პირთა სოციო-ფსიქოლოგიური ტიპების, მათი როლის, დანიშნულებისა და განწყობის გათვალისწინება ხდება. ფსიქოლინგვისტიკას ასევე აინტერესებს სხვადასხვა ტიპის სამეტყველო შეცდომების კვლევა და კომუნიკაციური კომპეტენციის დარღვევა. ლინგვისტიკის თვალსაზრისით, დისკურსი კომუნიკაციის ფუნქციონალური პარამეტრების განსხვავებულ რეგისტრებს სწავლობს, რომლებშიც ზეპირი და წერიტი მეტყველების ჟანრობრივი თავისებურებები შედის.

ფუნქციონალური ლინგვისტიკა დისკურსს განიხილავს ისე, რომ მას შემადგენელ ნაწილებად ყოფს და მიმართულია კომუნიკაციის ტექსტური თავისებურებების ასახვისაკენ. ფუნქციური ლინგვისტიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანია დისკურსის კვლევის თვალსაზრისით შინაარსობრივი, ფუნქციური და ფორმალური კოჰერენტულობა, რომელთა ხერხებია მოდალური შეზღუდვა, ტექსტის მიკრო და მაკროსტრუქტურული დონეები (კარასიკი 2000 : 5 -20).

ვ.კარასიკის აზრით, დისკურსის ლინგვოკულტუროლოგიური გაგება, ქცევის ვერბალური და არავერბალური ერთობლიობით განსაზღვრული ეთნოსის კომუნიკაციის სპეციფიკურ საკითხებს მოიცავს. დისკურსი, როგორც კოგნიტიური სემანტიკის მოვლენა, კომუნიკაციის რეპრეზენტაციის მოდელების შესწავლას გულისხმობს ადამიანის შეგნებაში სხვადასხვა სცენარებისა და მენტალური სქემების სახით. სოციოლინგვისტიკაში დისკურსის კატეგორიის ცნება გამოიყენება კომუნიკაციაში მონაწილე ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთა წარმომადგენელ პირთა მიერ, ანალიზის დროს და ასევე კომუნიკაციის გარემოებების ფართო სოციოკულტურულ

კონტექსტში ანალიზის დროს. სოციოლინგვისტიკა დისკურსის ორ ძირითად ტიპს გამოყოფს: პერსონალურს (პიროვნულად ორიენტირებულს) და ინსტიტუციურს (სტატუსით ორიენტირებულს).

მეტყველების ლინგვისტიკის თვალსაზრისით, დისკურსი განიხილება როგორც ცოცხალი ზეპირი მეტყველების პროცესი, ამ პროცესისათვის დამახასიათებელი დადგენილი წერითი მეტყველებისაგან გადახრებით. ამ შემთხვევაში დისკურსი ყურადღებას აქცევს სპონტანურობის, დასრულების, თემატური ბმისა და სხვა ადამიანებისათვის გაგების ხარისხს (კარასიკი 2000: 5–20). კულტურული, პუბლიცისტიკა და სოციოლოგია დისკურსს იმ მნიშვნელობით განიხილავს, რომელიც მას ფრანგმა პოსტსტრუქტურალისტმა მიშელ ფუკომ მიანიჭა. მისი აზრით, დისკურსი მეტყველების წარმოქმნის სოციალური მექანიზმების მთელი სამყაროა, იდეოლოგიური და ძალაუფლებრივი შეზღუდვებით, რომელიც ენაშია შერწყმული განსაზღვრული მენტალობის გამოსახატავად. "დისკურსი არა მარტო ისაა, რითაც სურვილი მჟღავნდება, არამედ ისიც, რაც სურვილის ობიექტს წარმოადგენს...დისკურსი არა მარტო ისაა, რისი მეშვეობითაც ვლინდება მსოფლიოში ბრძოლები და მორჩილების სისტემა, არამედ ისიც, რისი გულისთვისაც იბრძვიან, ის რითიც იბრძვიან, ძალაუფლება, რომლის ჩაგდებაც სურთ (ფუკო 1996: 51).

სხვადასხვა სფეროს მიერ დისკურსის კვლევა ერთმანეთს კი არ გამოირიცხავს, არამედ პირიქით, ერთმანეთს ავსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ სფეროს საზღვრები საკმაოდ მყიდვეა. ამ სფეროების გენეზისი განსხვავებულია და ამიტომ, კანონზომიერია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი მეცნიერი დისკურსს სხვადასხვა მიმართულებით იკვლევს. ესენია: სამეტყველო აქტების თეორია, კომუნიკაციის ლოგიკური პრაგმატიკა, დიალოგის ანალიზი, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, დისკურსის კრიტიკული ანალიზი, კომუნიკაციის სოციოლინგვისტური და ეთნოგრაფიული პრობლემები, კოგნიტიური ლინგვისტიკა და ფსიქოლინგვისტიკა. თუკი ენაზე გავამახვილებთ ყურადღებას, მაშინ დისკურსი მიიღებს სამეცნიერო შემეცნების სპეციფიკური ობიექტის მნიშვნელობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ ადამიანის შინაგან სამყაროს ვერბალური

შეტყობინების აღქმით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი პირველ რიგში ლინგვისტური ცნებაა.

ფ.დე სოსიური თვლიდა, რომ ლინგვისტიკის ჭეშმარიტი ობიექტი ენობრივი სისტემაა (მეტყველების საპირისპიროდ). ნ. ჩომსკი მოუწოდებდა ლინგვისტებს, რომ შეესწავლათ ენობრივი კომპეტენცია და ენის გამოყენების საკითხებისაგან მოეხდინათ აბსტრაქცირება.

უნდა აღინიშნოს, რომ დესკრიფციული ლინგვისტიკა, რომელიც იმ საკითხს სწავლობს, თუ როგორაა ენა მოწყობილი, ადგილს უთმობს ფუნქციურ ლინგვისტიკას, რომელიც სწავლობს თუ როგორ და რატომ ფუნქციონირებს ენა. ლინგვისტურ მეცნიერებაში ძალას იკრებს შეხედულება, რომ ვერც ერთი ენობრივი მოვლენა ვერ აღიქმება ადეკვატურად, მათი ფუნქციონირების მიღმა, თუკი მათი დისკურსიული ასპექტები არ იქნება გათვალისწინებული (კიბრიკი 1995: 219).

აუცილებელია განვიხილოთ ლინგვისტური ფუნქციონალიზმის ძირითადი კონცეფციები, რათა შემდეგ შევძლოთ ტერმინი „დისკურსის“ კოგნიტიურ-სემანტიკური მნიშვნელობის გაშლა.

ფუნქციონალიზმის ძირითადი იდეის მიხედვით ენას აღიქვამენ, როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტს, რომელიც განსაზღვრული მიზნების მიღწევას, ამა თუ იმ ფუნქციის შესრულებას ემსახურება (უ.ეკო, უ.ლაბოვი და სხვ.). მ. მაკაროვის აზრით, ფუნქციონალიზმის მეთოდოლოგია გულისხმობს, როგორც ენის სტრუქტურის შესწავლას, ასევე მის ფუნქციონირებას მათ შორის შესაბამისობის გამოვლენის მიზნით. თეორიულად ფუნქციონალიზმი ფორმისა და ფუნქციის ურთიერთდამოკიდებულების აღიარებას და იმის გათვალისწინებას ეფუძნება, რომ ენის გამოყენება მის სტრუქტურაზე მოქმედებს (მაკაროვი 2003: 83).

ბევრმა მეცნიერმა ამ საკითხს თავისი ნაშრომი მიუძღვნა და მათი ანალიზი (ი. სტეპანოვი, ნ. არუტიუნოვა, უ. ლაბოვი, გ. ლიჩი, გ. პარე) საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ფუნქციონალიზმის ზოგიერთი ნიშან-თვისება, რომლებიც ლინგვისტიკის მოცემულ მიმართულებას განსაზღვრავს.

ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი კონცეპტი დაკავშირებულია ნიშნის გამოყენების მნიშვნელობასთან განსაზღვრულ დისკურსიულ სამყაროში, იმ დროს, როდესაც ესა თუ ის ენა თავისებურად, ზოგად კანონზომიერებას წარმოადგენს სინტაქსურ, სემანტიკურ, პრაგმატიკულ და ა.შ. გამოყენების დონეზე(შაროლო 1983: 27). როდესაც ლინგვისტური მოვლენის შესწავლას ვცდილობთ, აუცილებელია, რომ გავითვალისწინოთ ექსტრალინგვისტური ფაქტორები. ამ მხრივ, ენა უნდა განვიხილოთ არა როგორც სტატიკური პროდუქტი, არამედ, როგორც „თავის-თავში არსებული საგანი“, სოციოკულტურული, მენტალური და სხვა ტიპის სისტემებით (ლიჩი 1987: 76–77). ამას გარდა, ენის ფუნქციური თვალსაზრისით შესწავლა მრავალი ფუნქციის გამოვლენას გულისხმობს, რომლებიც მნიშვნელოვანია ურთიერთობის გარკვეული ტიპისათვის. მნიშვნელოვანია ასევე იმის განხილვა, თუ როგორ ხდება ამ ფუნქციების კომუნიკაციურ სიტუაციაში გამოყენება. ფუნქციონალიზმისათვის ასევე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ უკავშირდება კომუნიკაციის პროცესში საერთო და ინდივიდუალური კომპეტენციები.

თუ დავეყრდნობით ვ. ფოლის მოსაზრებას, ენის ფუნქციური აღწერა ენის სხვადასხვა დონეზე ვრცელდება: 1)სამეტყველო სემანტიკის სისტემასა და ფუნქციებზე თავისი არგუმენტებით; 2)მორფოლოგიურ სისტემაზე; 3)პრაგმატიკულ სისტემაზე; 4)სოციალური ნორმების სისტემაზე სამეტყველო მოვლენებისა და საქმიანობის განსხვავებული ტიპებით (ფოლი, ციტირებულია დემიანკოვის მიერ, 2003: 35). როდესაც დისკურსზე, როგორც ტექსტის ცნების სახეობაზე ვსაუბრობთ, ვუახლოვდებით ჰ.ლევი-ტარის იდეას იმის შესახებ, რომ ენის გასაგებად, არა მარტო ტექსტის ბუნებას, ენის ფუნქციონირების ერთეულს უნდა დავეყრდნოთ, არამედ დისკურსულ პროცესებსაც, რომლებიც მოცემული ტექსტის წარმოქმნასა და გაგებაზე ზემოქმედებენ. ამასთან დაკავშირებით, ენისადმი ფუნქციური დამოკიდებულება გულისხმობს, რომ ტექსტი განისაზღვრება მისი კონტექსტუალური ცვლილებებით, რომლებიც კომუნიკაციის მონაწილეებს და მათ ფონურ ცოდნას გულისხმობს (ლევი-ტარი 1995:5-6).

ფუნქციონალიზმზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წინადადების სტრუქტურა და ფუნქცია ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს. ამიტომ,

ლინგვისტური კვლევისას მათი განხილვა ერთობლივად, როგორც ერთი სისტემის ისე უნდა მოხდეს (ი. არნოლდი, გ. კალშანსკი).

ჩვენი კვლევის საგანი ფუნქციონალიზმია, რომელიც რთული კომპლექსური ენობრივი ობიექტებით ოპერირებას ახდენს, რომლებიც ენობრივი საქმიანობის პროცესში ფუნქციური დანიშნულების ინსტრუმენტებს წარმოადგენს. სწორედ, ერთ-ერთი ასეთი ობიექტი დისკურსია, ხოლო დისკურსის ანალიზი ლინგვისტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ხდება (კიბრიკი 1995: 219).

დისკურსის თეორია, როგორც ამას ტ.ა. ვან დეიკი აღნიშნავს, ძველ რიტორიკასა და პოეტიკაში არსებული ტრაქტატებით იწყება, რომლებიც 2000 წელზე მეტი ხნისაა (ვან დეიკი 1994: 7). ფართო გავრცელება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ტერმინმა „დისკურსი“ XX საუკუნის 60-70-იან წლებში მიიღო. წლების განმავლობაში ამ ცნებამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. მოხდა მისი გადააზრება. დღეს სიტყვა „დისკურსი“, ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის პროცესებს აღნიშნავს. მან დაკარგა ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, რომელიც „გაქცევას, კურსიდან გადახვევას“ ნიშნავდა (ბელოზოროვა 2002: 10).

თეორიული ლიტერატურის ანალიზმა დაგვანახა, რომ ამ ტერმინის ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად ხდება, რაც ჩვენ ნაშრომში დისკურსის სათანადოდ განსაზღვრის აუცილებლობას ითხოვს.

თუ ტერმინის გამოყენების ისტორიას გავადევნებთ თვალს, სრული სურათი შეგვექმნება მისი გამოყენების ევოლუციის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენ ნაშრომში დისკურსის კატეგორიასთან მიმართებაში გარკვეული პოზიცია დავაფიქსიროთ.

თავდაპირველად ეს ტერმინი სუფთა ლინგვისტური მნიშვნელობით ზელინგ ჰარისმა გამოიყენა 1952 წელს, სტატიაში, რომელიც რეკლამის ენის კვლევას ეძღვნებოდა (ჰარისი 2001:10). სრული დატვირთვით ამ ტერმინის გამოყენება ენათმეცნიერებაში ორი ათეული წლის შემდეგ დაიწყო.

ტერმინ „დისკურსის“ ლინგვისტური მნიშვნელობით გამოყენებისას ხდება მეტყველების, ტექსტის და დიალოგის ტრადიციული ცნებების განხილვა, დაზუსტება

და განვითარება. მეტყველების ცნებიდან დისკურსის ცნებაზე გადასვლა დაკავშირებულია ლინგვისტიკის სწრაფვასთან დაუპირისპირონ ენა და მეტყველება, რომელიც ფ.დე სოსიურს ეკუთვნის, შემოიყვანონ მესამე წევრი, რომელიც ტრადიციული ლინგვისტური მეთოდებით კვლევას ექვემდებარება (რ.ბარტი, ჩ.მორისი, უ.ეკო).

ამგვარად, ერთი მხრივ, დისკურსი განიხილება როგორც მეტყველება, რომელიც კომუნიკაციურ სიტუაციაში ერთვება, მეორე მხრივ, დისკურსული ანალიზის რეალური პრაქტიკა დაკავშირებულია ასევე ინფორმაციის გადაცემის კანონზომიერ კვლევასთან, რომელიც არადიალოგური კომუნიკაციური სიტუაციის ჩარჩოშია (ვან დეიკი 1989: 114). ამით, რეალურად ხდება დისკურსში დიალოგური ურთიერთმიმართებების ზოგიერთი სტრუქტურის აღწერა, რომელიც სტრუქტურალიზმის ხაზს აგრძელებს. მას საფუძველი ზ. ჰარისმა ჩაუყარა.

ტერმინი „დისკურსი“ გამოიყენება ასევე ლინგვისტიკის მიღმა და ძალზე პოპულარულია კულტურულლოგიაში, სოციოლოგიასა და პუბლიცისტიკაში. მისი ასეთი კვლევა სტრუქტურალისტებისა და პოსტსტრუქტურალისტების (მ. ფუკო, ა.გრეიმასი, ჟ.დერიდა, ი.კრისტევა) სახელთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, ხდება სტილის ტრადიციული ცნებებისა და ინდივიდუალური ენის ცნებების დაზუსტება. ზემოხსენებულ მეცნიერთა გაგებით, ტერმინი „დისკურსი“ საუბრის საშუალებას აღწერს და აუცილებლად განსაზღვრავს, როგორია დისკურსი ან ვისია დისკურსი, ვინაიდან მკვლევრებს აინტერესებთ არა თავად დისკურსი, არამედ მისი კონკრეტული სახესხვაობები, რომელსაც ენობრივი განმასხვავებელი ნიშნები, სტილისტური სპეციფიკა, ასევე თემატიკის, დარწმუნების სისტემების, მსჯელობის ხერხების სპეციფიკა და ა.შ. აქვს (გრეიმასი 1996: 78).

შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი, მოცემული გაგებით, სტილისტური სპეციფიკა და მის მიღმა არსებული იდეოლოგიაა. საუბრის ხერხი ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს და ქმნის დისკურსის საგანს, ასევე მის შესაბამის სოციალურ სტრუქტურებს. არსებითად, იმის განსაზღვრა, თუ როგორი დისკურსია ან ვის ეკუთვნის ის, შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალური ქმედების მქონე სუბიექტის კომუნიკაციური თავისებურება. თანაც ეს სუბიექტი შეიძლება იყოს

კონკრეტული, ჯგუფი ან აბსტრაქტულიც კი. მ. ფუკო თავის ნაშრომში „ცოდნის არქეოლოგია“(1969) იკვლევს კულტურის ენობრივი ფენის მიმართებას სოციალურ ფენასთან. ასეთი ანალიზისათვის მას შემოყავს ტერმინები „დისკურსიული პრაქტიკა“ და „დისკურსიული ფორმაცია“. დისკურსიული პრაქტიკა ენის მსგავსი კულტურის შემეცნების მექანიზმებია, რომლებსაც სტრუქტურირების უნარი გააჩნია (ფუკო 1994: 65 – 68).

ი.ჰაბერმასი დისკურსის ცნებას განმარტავს, როგორც განსაკუთრებული ტიპის კომუნიკაციას, სპეციფიკურ დიალოგს, რომლის მიზანი რეალობის ანალიზია, რომელიც თავისუფალია მკვლევარის სუბიექტივიზმისაგან. სამეტყველო კომუნიკაციის მონაწილეები რეალობის ანალიზს ახდენენ და შეგნებულად უარს აცხადებენ აზროვნებაში არსებულ სტერეოტიპებზე. მისი გაგებით, დისკურსი „რეალობის აღქმის ინსტრუმენტია“(ჰაბერმასი 1985: 47).

დისკურსის აღნიშნული განსაზღვრა ერთმანეთზე ზემოქმედებს და ავსებს თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებულ მის განსაზღვრებას. დისკურსის კატეგორიის მრავალსპექტურობა საშუალებას იძლევა მასზე ვისაუბროთ, როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით (ტ.ა ვან დეიკი). თუკი დისკურსზე ფართო გაგებით ვისაუბრებთ, მაშინ ის წარმოადგენს რთულ კომუნიკაციურ მოვლენას, რომელიც მოსაუბრეებს შორის ხდება, რომლებიც ერთმანეთს გარკვეულ დროისეულ მონაკვეთში უსმენენ, თვალყურს ადევნებენ დროისეულ, სივრცობრივ და სხვა კონტექსტებში. ეს კომუნიკაციური ქმედება შეიძლება იყოს ზეპირი, წერილობითი, ჰქონდეს ვერბალური და არავერბალური შემადგენელი კომპონენტები. ამის ტიპური მაგალითებია: საუბარი მეგობართან, დიალოგი ექიმსა და პაციენტს შორის, გაზეთის, ჟურნალის კითხვა. დისკურსი ვიწრო გაგებით (როგორც ტექსტი ან საუბარი, მეტყველება) წარმოადგენს კომუნიკაციური ქმედების დასრულებულ ან განგრძობით „პროდუქტს“, მის წერილობით ან სამეტყველო შედეგს, რომლის ინტერპრეტაცია რეციპიენტის მიერ ხდება. ზოგადი გაგებით დისკურსი კომუნიკაციური ქმედების წერილობითი ან სამეტყველო ვერბალური პროდუქტია (ვან დეიკი 1977: 25 -28).

განვიხილოთ თუ როგორ ახდენენ დისკურსის ინტერპრეტაციას. ანეუსტროევა გამოყოფს დისკურსის განსაზღვრებისადმი ორ მიდგომას:

1. დისკურსს განიხილავენ როგორც ტექსტს.
2. დისკურსს განიხილავენ კომუნიკაციის მომენტში (ნეუსტროევა 2000:102). პირველ შემთხვევაში, დისკურსი განხილულია ვიწრო გაგებით, რაც ტექსტის ტრადიციულ აღქმამდე დაიყვანება, რაც მისი გამარტივებული სახით გაგებას წარმოადგენს. დისკურსის მსგავსი გაგება აღმოჩნდა თავად ფ.დე სოსიურის, შ.ბალის პ.რიკერის ნაშრომებში, რაც განპირობებული იყო 70-იანი წლების ტენდენციებით ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბების სფეროში, როდესაც ენა აღიქმებოდა, როგორც ნიშანთა სისტემა.

ლინგვისტური ენციკლოპედიის მიხედვით, დისკურსი შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „დისკურსი (ფრ. *Discours*-მეტყველება) შეკრული ტექსტია, რომელიც ხასიათდება ექსტრალინგვისტური, პრაგმატიკული, სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორებით; ტექსტი აღებულია მოვლენის ასპექტში; მეტყველება განიხილება, როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება, როგორც კომპონენტი, რომელიც ადამიანთა და მათი კოგნიტიური პროცესების ურთიერთქმედებაში მონაწილეობს. დისკურსი-მეტყველებაა, რომელიც ცხოვრებაშია ჩაფლული (ლინგვ.ენციკ. 1998: 136–137). ასეთი გაგებით, დისკურსი განიხილება, როგორც კომუნიკაციური მოვლენა (წერითი ან ზეპირი ფორმით), რომელიც შეიცავს სოციალურ კონტექსტს და წარმოადგენს გვიქმნის კომუნიკაციის მონაწილეებზე, შეტყობინების წარმოქმნასა და აღქმაზე.

დისკურსი ზოგადად რთული კომუნიკაციური მოვლენაა, რომელიც ტექსტის გარდა ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც მოიცავს. ნებისმიერ დისკურსში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ავტორის კომუნიკაციური განზრახვა; ურთიერთმიმართება ავტორსა და ადრესატს შორის; ყველა ტიპის გარემოებები; ეპოქის ზოგადი იდეოლოგიური თვისებები და სტილისტური კლიმატი; თავად შეტყობინების ჟანრობრივი და სტილური ნიშან-თვისებები; მთელი რიგი ასოციაციები წინარე გამოცდილებით, რომლებიც მოცემულ ენობრივ ორბიტაში ასე თუ ისე მოხვდა (გასპაროვი 1996: 10).

ვ.დემიანკოვი ითვალისწინებს დასავლეთ ევროპის მეცნიერთა გამოცდილებას, აღრმავებს მას და ასეთ დეფინიციას გვთავაზობს: "დისკურსი-ტექსტის თავისუფალი

ფრაგმენტია, რომელიც ერთზე მეტი წინადადებისაგან ან წინადადების დამოუკიდებელი ნაწილებისგან შედგება. ხშირად, თუმცა ის ზოგჯერ, ძირითადი კონცეპტის გარშემო კონცენტრირებას ახდენს; ქმნის საერთო კონტექსტს, რომელიც მოქმედ პირებს, ობიექტებს, გარემოებებს, დროს, ქცევებს და ა.შ. აღწერს, რომელიც არა იმდენად წინადადების თანმიმდევრობით განისაზღვრება, არამედ იმ საერთო თვისებებით, რომლებიც დისკურსის შემქნელსა და სამყაროს აღქმას შორის არსებობს და დისკურსის გაშლასთან ერთად იქმნება. დისკურსის საწყისი სტრუქტურა ელემენტარული პროპოზიციების თანმიმდევრობაა, რომლებიც ერთმანეთთან კონიუნქციისა და დიზიუნქციის ლოგიკური ურთიერთობებითაა დაკავშირებული.

დისკურსის ელემენტებია: გადმოცემული მოვლენები, მისი მონაწილეები, კონტექსტი, ანუ გარემოებები, რომლებიც თან ახლავს მოვლენებს, ფონი, რომლებიც ხსნის მოვლენებს, მოვლენებში მონაწილე პირთა შეფასება, ინფორმაცია, რომელიც დისკურსს მოვლენებთან აკავშირებს (დემიანკოვი 1992: 7). ასეთი დეფინიცია ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი აზრით, რადგანაც მის დახასიათებაში ჩართულია ისეთი ნიშნები, რომლებიც სხვადასხვა დისციპლინებს უკავშირდება, სემიოტიკიდან დაწყებული კომუნიკაციის თეორიით, სოციოლოგიით, მოდალური ლოგიკით და ა.შ. დამთავრებული. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დისკურსი ინტერდისციპლინარული კვლევის ობიექტია. დისკურსის მსგავსი გაგება მოცემულია ცნობილი მეცნიერების ნაშრომებში, როგორებიცაა ტ.ა. ვან დეიკი, ჯ.ფისკი, ი.ჰაბერმასი, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში, პირველ რიგში, ენის ფუნქციურ მხარეს აქცევდნენ ყურადღებას.

ტ.ა. ვან დეიკის მიერ შემოთავაზებული დისკურსის დეფინიცია, რომელსაც ამ სფეროში კვლევის პრიორიტეტი აკისრია, საგრძნობლად აფართოვებს ტერმინის სემანტიკურ მოცულობას. ის დისკურსს განსაზღვრავს, როგორც „ენას თავის მუდმივ მოძრაობაში, რომელიც შეიცავს ისტორიული ეპოქის მთელ მრავალფეროვნებას, როგორც კომუნიკანტის ინდივიდუალურ და სოციალურ თავისებურებებს, ასევე კომუნიკაციურ სიტუაციას, რომელშიც შეტყობინება ჟღერს. დისკურსში აისახება როგორც ნაციონალური, საყოველთაო, ისე ინდივიდუალური, კერძო მენტალიტეტი

და კულტურა (ვან დეიკი 1989: 57). ვან დეიკი დისკურსს განიხილავს, როგორც ენის პრიზმას ფართო სოციოკულტურულ ასპექტში.

მსგავსს განმარტებას გვაძლევს პოსტსტრუქტურალისტი რ. ბარტი. მისი გაგებით, დისკურსი ენის სახესხვაობაა, სოციოლექტია, რომელიც სავსეა მნიშვნელობებით, იდეოლოგიით. დისკურსზე საუბრისას რ.ბარტი ხაზს უსვამს ადამიანის ზემოქმედებას ენაზე და სოციოლექტის ზემოქმედებას ადამიანზე, რადგანაც ადამიანის აზროვნება დატვირთულია იდეოლოგიით, ის აისახება ენაში, ხოლო იდეოლოგიები¹, რომლებიც ორგანულად ახასიათებს ენას, ენის მეშვეობით აზროვნებას ეუფლებიან. რ. ბარტი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც ენის გამოყენება და დისკურსის ქმედება იდეოლოგიასთან დააკავშირა. ეს ის ღირებულებებია, რომლებითაც ადამიანები ცხოვრობენ, რისიც ადამიანებს სწამთ და რითაც ადამიანები ხელმძღვანელობენ (ბარტი 1994: 23). თანამედროვე შრომებში იდეოლოგიის შესახებ, ბოლო თეზისი აიხსნება როგორც შეფასებითი აზრის მქონე ბადა, რომლის გამომუშავება კოლექტიურად ხდება, რომელიც თავსდება ინდივიდსა და სამყაროს შორის და რომლითაც გაშუალებულია მისი დამოკიდებულება ამ სამყაროსთან, რაც იდეოლოგიის ბარტის მიერ შემოთავაზებულ გაგებას შეესაბამება (ლევინი 1994: 124-134). ბარტის გარდა დისკურსის იდეოლოგიასთან კავშირს ითვალისწინებდა ჯონ ფისკი.

ჯ.ფისკი დისკურსს განიხილავს, როგორც რეპრეზენტაციის სოციალურ სისტემას, რომელიც სპეციალურად მოცემულ თემაზე მნიშვნელობათა წარმოქმნისა და გაცვლისათვისაა ორგანიზებული. ის წერს, რომ დისკურსი მსჯელობის საგანია, რასაც ერთვის სოციალური სიტუაცია და იდეოლოგია. დისკურსი შეთანხმებულად იქმნება ადამიანთა სხვა ჯგუფისათვის (ან ადამიანისათვის) და ყოველთვის იდეოლოგიურად შეფერილია. ისინი, ვინც ქმნიან და იცავენ დისკურსის მნიშვნელობას, ყველაფერს აკეთებენ, რომ ამ მნიშვნელობის „ნატურალიზება“ მოახდინონ, მიანიჭონ მას საღი აზრი. დისკურსის გამავრცელებელია მასობრივი

¹ იდეოლოგიემა, პოლიტიკური ტერმინია და ნიშნავს რომელიმე იდეოლოგიის ნაწილს. იდეოლოგიემას არ აქვს, ტერმინისაგან განსხვავებით კონკრეტული განსაზღვრება. ის იცვლება პოლიტიკურ პრაგმატიკასთან ერთად.

საინფორმაციო საშუალებები. სწორედ, ისინი ახდენენ მის ლეგიტიმაციას. ამიტომაც, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია ან პროფესიული ჯგუფი ცდილობს თავისი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ჰქონდეს, რომლებიც მისი დისკურსის ლეგიტიმაციას და ბუნებრიობას უზრუნველყოფენ (ფისკი 1991:215).

დისკურსის თეორიის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მიშელ ფუკომ. დისკურსის ცნება და დისკურსის ანალიზის ცნება მისი ფილოსოფიური კონცეფციის ძირითადი ცნებებია. ფუკოსთან დისკურსი ერთგვარი „სინტაქსური“ ობიექტია, „ენობრივი ფორმა“, რომელიც გვევლინება, როგორც პირველადი მოვლენა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს არასინტაქსური მოვლენების ცხოვრებას. მისთვის დისკურსი პირველადია კომუნიკაციის სხვა გამოხატულების ფორმებთან შედარებით. ის კითხვის ქვეშ აყენებს ისეთი ობიექტების პირველობას, როგორებიცაა „ავტორი“, „ტექსტი“ და „ნაწარმოები“ (ფუკო 1996: 7–47).

ფუკო დისკურსს განიხილავს როგორც დამოუკიდებელ მოვლენას, რომელსაც სამყაროს აბსოლუტური ინტერპრეტაციისაკენ მოძრაობის პრეტენზია გააჩნია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მ. ფუკო დისკურსს ერთგვარ კონსტრუქციასთან აკავშირებს, რომელიც ენობრივი სტრუქტურებისაგან შედგება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ადამიანის არსებობის სიღრმისეულ არსში ჩაწვდომა.

დისკურსის თეორიის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ე.ბენვენისტმა. მან შეძლო ეჩვენებინა და დაემტკიცებინა, რომ ფრანგული ენის ზმნური დროების სისტემების განხილვით, ხდება ერთი და იმავე ზმნის დროების განაწილება ორ ურთიერშემავსებელ სისტემაში, რომელიც ორი განსხვავებული შეტყობინების პლანს წარმოადგენს: ისტორიის პლანს და მეტყველების პლანს. მისთვის, მეტყველების პლანი ლინგვისტიკის მრავალი სფეროს განსაკუთრებული კვლევის ობიექტი გახდა. ბენვენისტის მიდგომა დისკურსის აღწერისადმი შეიძლება კლასიკურად ჩაითვალოს, ვინაიდან მან პირველმა მიანიჭა ამ ცნებას ტერმინოლოგიური სტატუსი. "დისკურსი ნებისმიერი გამონათქვამია, რომელიც გულისხმობს მსმენელსა და მოსაუბრეს, რომლის განზარხვაა ზემოქმედება მოახდინოს პირველზე (მსმენელზე)" (ბენვენისტი 1974: 276). მოცემულ განმარტებაში

კარგად ჩანს ენობრივი მოვლენისადმი ფუნქციური მიდგომა. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაზე მეტად ამ საკითხის გაშლა რ. იაკობსონმა შეძლო.

მან დისკურსის საკმაოდ სრულყოფილი დეფინიცია მოგვცა. მისი აზრით, დისკურსი წარმოადგენს ენობრივ მოვლენას, რომელშიც ადრესანტი უგზავნის შეტყობინებას ადრესატს, რომელთანაც ფიზიკური არხის მეშვეობით მასთან საერთო კონტექსტში ეფლობა, ხოლო ადრესატი, რომელიც ადრესანტთან ერთად იყოფს საერთო კოდს, ახდენს ინფორმაციის დეკოდირებას (გაშიფვრას) (იაკობსონი 1963:197).

დისკურსის ასეთი გაგება სრულიად შეესაბამება ლინგვისტიკაში ფუნქციონალურ მიდგომას და შეიძლება საფუძვლად დაედოს ბევრ სამეცნიერო კვლევას. ჩვენ მიერ განხილულ თეორიულ მასალას გადაკვეთის მრავალი საერთო წერტილი აქვს ამ ტერმინის სემანტიკის თვალსაზრისით, რაც მის შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს, განსაკუთრებით ისეთ ტერმინებთან მიმართებაში, როგორებიცაა ტექსტი და მეტყველება, რომლებიც XX საუკუნის 70-იან წლებში თითქმის დისკურსის სინონიმებად განიხილებოდა.

1.2 ცნებების „დისკურსი“, „ტექსტი“, „მეტყველება“ ურთიერთმიმართება

მოცემულ პარაგრაფში შევეცდებით განვიხილოთ ის მიმართება, რომელიც ცნებებს „დისკურსს“, „ტექსტს“ და „მეტყველებას“ შორის არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნებები ერთმანეთს ჰგავს, მათ შორის არსებობს ოპოზიცია დაწერილი ტექსტი/ზეპირი დისკურსი, რაც ავიწროვებს ამ ტერმინების მნიშვნელობებს. დიქოტომია დაწერილი ტექსტი/ზეპირი დისკურსი ბევრი ფუნქციონალისტიკისათვის (ი.გალპერინი, ე.კუბრიაკოვა) საფუძველი გახდა ლინგვისტიკაში ორი მიმართულების გამოსაყოფად-დისკურსის ანალიზი და ტექსტის ლინგვისტიკა. დისკურსის ანალიზის კვლევის ობიექტი, მათი აზრით, მხოლოდ ზეპირი მეტყველება უნდა იყოს, ხოლო ტექსტის ლინგვისტიკა კი მხოლოდ დაწერილ ტექსტებს უნდა იხილავდეს. თუმცა, ასეთი მიდგომა უნაკლო როდია, რადგანაც მისი გამოყენება ბევრ შემთხვევაში შეუძლებელია. მაგალითად, თუ ავიღებთ მოხსენებას, ის მოიცავს როგორც დაწერილ ტექსტს, ასევე საჯაროდ ზეპირ გამოსვლასაც, ანუ კომუნიკაციურ მოვლენას, რომელშიც თავმოყრილი და ასახულია ენობრივი შეტყობინების მთელი სპეციფიკა (მაკაროვი 2003: 87 – 89).

XX საუკუნის 70-იან წლებში, მოცემულ საკითხზე მსჯელობის არაადეკვატურობის გამო, უცხოელმა ლინგვისტებმა მესამე კატეგორია-სიტუაციის კატეგორია შემოიყვანეს. დისკურსის დეფინიცია ასე იყო წარმოდგენილი: „დისკურსი არის ტექსტი სიტუაციის დამატებით“, ხოლო ტექსტი არის დისკურსი სიტუაციის გამოკლებით“ (ვიდოვსონი 1973: 205–207). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ფორმულირება მაინც ვერ ამოწურავს ყველა საკითხს, რომელიც ტექსტისა და დისკურსის გამიჯვნის თვალსაზრისით წარმოიქმნება, რადგანაც ერთი არაერთმნიშვნელოვანი ცნება მეორე არაერთმნიშვნელოვანი ცნების მეშვეობით აიხსნება. ამგვარად, ჩვენ უნდა განვმარტოთ ტექსტის ცნება, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტის კატეგორიას, რომელიც დიდი ხანია არსებობს ლინგვისტიკაში, დღემდე არ მიუღია საერთო და მკვეთრი განსაზღვრება თავად ცნების სირთულიდან გამომდინარე.

ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი ტექსტს შემდეგნაირად განმარტავს: „ტექსტი ენობრივი ნიშნების ერთიან აზრობრივი კავშირის

თანმიმდევრობას წარმოადგენს, რომელთა ძირითადი თვისებებია კოჰერენტულობა და მთლიანობა“ (ლინგენციკ. 1998: 507). ასეთი განმარტება, ლაკონურია, მაგრამ ჩვენი აზრით, ვერ შლის სრულად ტექსტის კატეგორიის მთელ არსს, ამიტომ ჩვენ ამ მოვლენის შემდგომ განხილვას გავაგრძელებთ.

ლ. ლოსევა ტექსტს განსაზღვრავს, როგორც წერითი ფორმით შეტყობინებას, რომელიც აზრობრივი და სტრუქტურული დასრულებული ფორმით და ავტორის გამონათქვამთან გარკვეული დამოკიდებულებით ხასიათდება. თავის განსაზღვრებაში ლ. ლოსევა იმ ნიშნებით ხელმძღვანელობს, რომელიც ყველა წერით ტექსტს ახასიათებს. ეს ნიშნებია:

1. ტექსტი შეტყობინებაა წერითი ფორმით;
2. ტექსტს გააჩნია შინაარსობრივად და სტრუქტურულად დასრულებული სახე;
3. ტექსტი გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას შეტყობინებისადმი (ლოსევა 1980: 4 -5).

ტექსტის უფრო ფართო გაგებას გვთავაზობს ი. გალპერინი, რომელიც ტექსტს განიხილავს, როგორც „მეტყველებითი შემოქმედების პროცესს“, რომელსაც წერითი დოკუმენტის ფორმით დასრულებული სახე აქვს. ის ნაწარმოებია, რომელიც შედგება სახელწოდებისაგან და მთელი რიგი ზეფრაზული ერთეულებისაგან, რომლებიც გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური, სტილისტური კავშირებით, რომელთაც გააჩნიათ განსაზღვრული მიმართულება და პრაგმატიკული მიზანდასახულობა (გალპერინი 1981:18). ტექსტის ასეთი განსაზღვრება დამახასიათებელია ბევრი ლინგვისტური სკოლისათვის და ფორმალური ლინგვისტიკისათვის, რომელიც აბსტრაქტულ სტატიკურ ენობრივ სტრუქტურებს შეისწავლის. ისეთი მკვლევრები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ფორმალისტების რიცხვს (მ.ჰალიდეი, კ.ფილმორი, ჯ.ტომპსონი, რ.სალკი და სხვა), ითვალისწინებენ ტექსტის განსაზღვრების ნაკლოვანებებს, რომ ტექსტი იქმნება და აქტუალიზირდება არა მარტო გრამატიკული, სტილისტური, ლექსიკური, სტრუქტურული და მათი მსგავსი ერთეულების კავშირებით, არამედ ასევე კონტექსტითა და კომუნიკაციური პროცესის მონაწილეებით.

ენისადმი ფუნქციური მიდგომის შესაბამისად, მ. ჰალიდეი, რ.ჰასანი, ტექსტს განსაზღვრავენ, როგორც ენის ერთეულს. ისინი ამბობენ, რომ ტექსტი შეიძლება იყოს ერთი წინადადებაც კი, ვინაიდან ტექსტი ფორმა კი არა, არამედ პირველ რიგში სემანტიკის, მნიშვნელობის მქონე ერთეულია. ტექსტისათვის მნიშვნელოვანია, არა წინადადებების რაოდენობა, მათი მოცულობა და სტრუქტურა, არამედ, ტექსტის ამ წინადადებებში რეალიზაცია (ჰალიდეი, ჰასანი 1976: 275).

მსგავსს მოსაზრებას გამოთქვამს რ. ბარტი. ის ამბობს, რომ „ტექსტი ესთეტიკური პროდუქტი კი არა, არამედ აღსანიშნი პრაქტიკაა; [...] ის ობიექტი კი არა, საქმიანობაა, განზოგადოებული ნიშნების ერთობლიობა კი არ არის, რომელთაც ესათუ ის აზრი გააჩნიათ, ესაა ერთმანეთის მონაცვლე ნაკვალევის არსებობის დიაპაზონი; ტექსტის ინტენცია მნიშვნელობა კი არაა, არამედ აღსანიშნია ამ ტერმინის სემიოლოგიური და ფსიქოანალიტიკური გამოყენების თვალსაზრისით (ბარტი 1994: 17). ბარტი ტექსტს ხსნის სხვა ცნების მეშვეობით, ანუ ინტერტექსტის მნიშვნელობით, რომელიც ი. კრისტევამ შეიმუშავა. მისი აზრით, ინტერტექსტი, არსებული ციტატების, დისკურსების თავმოყრის სივრცეა, რომელთაგანაც შედგება კულტურა, რომლის ატმოსფეროში თავისი სურვილის მიუხედავად ჩაფლულია ნებისმიერი ავტორი (კრისტევა 1989:428). კრისტევას მიერ ინტერტექსტის განსაზღვრება მჭიდროდ უკავშირდება მ. ბახტინის ნაშრომების მისეულ კომენტარს. სწორედ მან დაადგინა დიალოგსა და ტექსტს შორის პარალელი და სიტყვის სტატუსი.

ი. კრისტევა ამტკიცებს, რომ ნებისმიერი ტექსტი სხვა არაფერია, თუ არა ინტერტექსტი, „ტექსტური სიბრტყეების გადაკვეთის ადგილი, როგორც წერის სხვადასახვა სახეების დიალოგი, სიტყვა რომელიც ეკუთვნის მწერალს და მიმღებს, რომელიც შედგება ახლანდელი და წინამორბედი კულტურული კონტექსტისაგან“ (კრისტევა 1989: 428). ტექსტის ასეთი გაგება ღირებულია ასევე ჩვენი კვლევისათვის, ანუ კომპიუტერული ტექსტი-დისკურსის ფორმირების თვალსაზრისით.

ტ.ვან დეიკი, ტექსტის გაგებით, რ. ბარტსა და ი.კრისტევას უახლოვდება. მათთვის ტექსტი არის აბსტრაქტული თეორიული კონსტრუქცია, რომელიც თავის რეალიზაციას დისკურსში პოულობს (ვან დეიკი 1977: 3). ჩვენთვის ამ მეცნიერთა

თვალსაზრისი მისაღება და მათ ჩვენი კვლევის ობიექტის კომპიუტერული დისკურსების ანალიზისას გამოვიყენებთ.

კ.ფილმორის ნაშრომებში, რომლებიც ენობრივ კომუნიკაციაში ფუნქციურ მიმართულებას ემხრობა, ტექსტი განიხილება, როგორც ადამიანის ენობრივი უნარის სრულყოფილი პროდუქტი(ფილმორი 1981: 23). ეს თვალსაზრისი აშკარად განსხვავდება აბსტრაქტული ენობრივი სტრუქტურების ანალიზისაგან, რომელსაც სტრუქტურალიზმი და კომპარატივისტიკა იკვლევს.

ამგვარად, ფუნქციონალიზმის თვალსაზრისით, ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს ზეპირი გამონათქვამიც და წერილობით დაფიქსირებული ფორმაც; მეტყველების შემოქმედებითი პროცესი და მისი შედეგი; ტექსტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სიდიდის ნაწყვეტი დროსა და სივრცეში. ფორმულირებებს შორის განსხვავება დაკავშირებულია ტერმინის პრაგმატიკულ მიმართულებასთან და ტერმინის გამოყენების სფეროსთან. ჩვენი აზრით, ტექსტის კატეგორიის გაგება კი ეფუძნება სტრუქტურული და ფუნქციური მიდგომების ინტეგრაციას და ზემოხსენებულ მეცნიერთა შეხედულებებს აერთიანებს.

თ.გამყრელიძე ტექსტს და დისკურსს აიგივებს. ის წერს: „ტექსტი ანუ დისკურსი-ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტი-ლექსიკურ-გრამატიკულ მთლიანობასთან ერთად არსებითად სემანტიკური მთლიანობაც არის. ტექსტი ანუ დისკურსი ის ენობრივი ერთეულია, რომელსაც საზოგადოდ საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს, რომლის საშუალებითაც ფაქტობრივად ხორციელდება კომუნიკაციის პროცესი“(გამყრელიძე 2003 :434).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ტექსტი არის ერთგვარი ზეპირი ან წერილი ფორმით ენობრივი გამოყენების პროდუქტი, რომელიც სემანტიკურად დაკავშირებული წინადადებებით რეალიზდება, რომლებიც ჩაფლულია ინტერტექსტში და თავის თავში მოიცავს კულტურულ აზრთა მთელ მასას, ან კონტექსტებს. ტექსტს ახასიათებს ისეთი არსებითი ნიშნები, როგორებიცაა: ინფორმაციულობა, მთლიანობა, დასრულებული ფორმა, ლექსიკური, გრამატიკული, სტილისტური კოჰერენტულობა, მიზანმიმართულება, პრაგმატულობა.

მ. მაკაროვი აღნიშნავს, რომ ძალიან ხშირად ხდება ტექსტისა და დისკურსის დაპირისპირება ოპოზიციური კრიტერიუმებით: ფუნქცია-სტრუქტურა, პროცესი-პროდუქტი, დინამიკურობა-სტატიკურობა, აქტუალურობა-ვირტუალურობა (მაკაროვი 2003: 87).

იმისათვის რომ მკვეთრად გავმიჯნოთ ტექსტი დისკურსისაგან, შეიძლება გამოვიყენოთ ვ. ბოგდანოვის მოსაზრება. ის მეტყველებას და ტექსტს განიხილავს, როგორც დისკურსის ორ არათანაბარი მნიშვნელობის მქონე ასპექტს და აღნიშნავს, რომ ყველა ტიპის მეტყველების ტექსტად გადაყვანა არ შეიძლება და არც ყველა ტექსტის რეპროდუცირება არ შეიძლება მეტყველების მეშვეობით. ამიტომ დისკურსი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტექსტი და მეტყველება, ანუ ყველაფერი ის, რისი წარმოთქმა და ჩაწერა შეიძლება. ტექსტი ვიწრო გაგებით აღიქმება, როგორც ენობრივი მასალა (ბოგდანოვი 1990: 3).

თუკი ვ. ბოგდანოვის კონცეფციას მივყვებით, ტერმინები დისკურსი, ტექსტი და მეტყველება შეიძლება განვიხილოთ არა როგორც ოპოზიციური, არამედ მოკავშირე ცნებები, სადაც ტექსტი და მეტყველება იქნება სახეობის გამომხატველი ცნებები მათ საერთო ტერმინ დისკურსთან მიმართებაში (ბოგდანოვი 1990: 5–6).

მ. მაკაროვის აზრით, ეს თვალსაზრისი ძალზე მნიშვნელოვანი და ღირებულია, რადგანაც მასში მოცემულია ტერმინ „დისკურსის“ განმაზოგადებელი ხასიათი და ამასთან ერთად აღარ არის აუცილებელი დისკურსის განსაზღვრა ოპოზიციით მონოლოგი/დიალოგი, ზეპირი/წერიტი (მაკაროვი 2003: 89).

დიქოტომიის მსგავსი გაგება დისკურსი/ტექსტი, ოღონდ ცოტათი უფრო კატეგორიული, მოცემული აქვს მ. ბისიმალიევას, რომელიც ამბობს, რომ დისკურსი და ტექსტი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ფუნქციური ლინგვისტიკის ურთიერთჩანაცვლებადი კატეგორიები (ბისიმალიევა 1999: 78-85). ეს იდეა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი კვლევის პრაქტიკულ ნაწილში, ინტერნეტჟურნალების ტექსტები შეგვიძლია შესაბამისი დისკურსების სახით განვიხილოთ.

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც დისკურსის, ტექსტის და მეტყველების ცნებების გამიჯვნას ეხებოდა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ლინგვისტურ ლიტერატურაში უფრო ხშირად შეიძლება შეგვხდეს ტერმინი „დისკურსი“ როგორც სახეობის უფრო ფართო გამოყენების მაგალითი ცნებებთან „ტექსტი“ და „მეტყველება“ მიმართებაში. ფილოსოფიის, სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის ტერმინოლოგიაში დისკურსის ფართო გაგებით გამოყენება უკვე დიდი ხანია ნორმად იქცა, აღნიშნავს მაკაროვი (მაკაროვი 2003: 90). ახლა შეიძლება ვთქვათ: დისკურსი მისი სახეობების ტექსტისა და მეტყველებისათვის ზოგადი ტერმინია.

1.3. დისკურსის სტრუქტურული მახასიათებლები

სანამ დისკურსის სტრუქტურულ მახასიათებლებს განვიხილავთ, საჭიროა გამოვყოთ დისკურსის ტიპოლოგიური და ტონალური განზომილებანი. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს დისკურსის ტიპების კლასიფიკაცია, თუმცა ლინგვისტიკაში მათი მკვეთრი ტიპოლოგია მაინც არ გვაქვს. ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ თავად დისკურსის ტიპის ცნება არაა საკმარისად განსაზღვრული. ჩვენ მაინც შევეცდებით, რომ გამოვყოთ დისკურსის ტიპოლოგიის განსაზღვრისათვის გარკვეული წესები და კრიტერიუმები, რაც დაგვეხმარება დისკურსის ანალიზის ჩასატარებლად და ასევე საკვლევი მასალის ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტიპოლოგიური თავისებურებების გამოსავლენად.

დისკურსის ტიპოლოგიის ნიშან-თვისებად მ. მაკაროვი ფორმალობის კატეგორიას მიჩნევს, რომელიც კონტაქტურობის შემადგენელ კატეგორიას წარმოადგენს. ეს ნიშან-თვისებებია: სინტაქსური, ლექსიკური, ფონეტიკური გაფორმება, გამონათქვამის მოცულობა და სიჩქარე, თემატიკა და სხვა (მაკაროვი 2003: 210).

ფორმალური დისკურსი სტრუქტურულად ორგანიზებულია, სინტაქსურად, ლექსიკურად და ფონეტიკურად ნორმირებულია. ზეპირი დისკურსის დროს საუბრის სიჩქარე ზომიერია, ინფორმაციის მოცულობა იზრდება და კომუნიკაციური როლები თანმიმდევრულად იცვლება. არაფორმალური დისკურსი ნაკლებად სტრუქტურული ხასიათისაა, მასში სიტყვები მეორდება. ის ხასიათდება მეტყველების სწრაფი ტემპით, მეტყველების რითმით, თემატიკური მრავალფეროვნებით და სხვა. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც: დისკურსი წინასწარ არის მომზადებული თუ არა. წინასწარმომზადებული დისკურსი მთელი რიგი ნიშან-თვისებებით ხასიათდება. ის მეტად გაშლილია, თანმიმდევრული, კოჰერენტული, დასრულებული, მასში უფრო ხშირად იყენებენ ისეთ კავშირებს, როგორებიცაა: *როდესაც, იმ დროს, ამის გარდა, თუმცა* და ა.შ. და ასევე სტრუქტურულ მარკერებს: *პირველ რიგში, დასკვნის სახით* და ა.შ., გამოიყენება ასევე ატრიბუტიული ფრაზები ორი ან მეტი განსაზღვრებითა და ზმნიზედით, მაშინ, როდესაც სპონტანური მეტყველება/ტექსტი შედგება მარტივი და ხშირად გამოყენებული ლექსიკისაგან, მარტივი წინადადებებისაგან, ასევე

მრავალფუნქციური კავშირებისაგან: და, მაგრამ და ა.შ. ამას იზიარებენ ისეთი მეცნიერები როგორებიცაა: ჰ.ბრაუნნი, კ.ფილმორი (მაკაროვი 2003: 211).

მ.მაკაროვი ერთ მნიშვნელოვან შენიშვნას აკეთებს, როდესაც საუბრობს წინასწარმომზადებულ პარამეტრებზე. მათი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი ტიპური წერითი თუ ზეპირი დისკურსების მახასიათებელი თვისებების გამოსავლენად, რადგანაც დისკურსის როგორც ერთ, ისე მეორე ტიპში შესაძლებელია მიზანმიმართულად მოხდეს სპონტანური ნიშნების ჩანაცვლება (მაკაროვი 2003: 212-213).

კონტაქტურობის კატეგორია დაკავშირებულია იმ კონტაქტთან, რომელიც არსებობს მოსაუბრესა და ადრესატს შორის დროსა და სივრცეში და შეიძლება გამოხატულ იქნას პირის, დროის და ადგილის დეიქსისის საშუალებით, თუ გამოვიყენებთ მაკაროვის მოსაზრებას წერის დროს ასეთი კონტაქტი ნორმაში არ არსებობს. ზეპირი ურთიერთობისას, მოსაუბრე და ადრესატი სიტუაციაში ერთვება, რაც აისახება პირველი და მეორე პირების ნაცვალსახელების გამოყენებაში. თავს იჩენს მოსაუბრისა და ადრესატის მსჯელობის პროცესები, მათი ემოციები. ასევე ხდება შესტების და მთელი რიგი არავერბალური საშუალებების გამოყენება. წერის დროს მოსაუბრე და ადრესატი გამიჯნულია ალწერილი სიტუაციისაგან. მნიშვნელოვანია ასევე სოციალური დეიქსისის გამოყენება, რაზეც მიუთითებენ ფილმორი, იული. მისი განსაზღვრა ხდება მოსაუბრესა და ადრესატს შორის სოციალური დისტანციის ხარისხით. ის გამოიხატება ენის მეშვეობით, ასევე სოციალური ასპექტის სხვა საშუალებებისა და ხერხების სიმბოლიზაციით (მაკაროვი 2003: 213).

ინტერაქციის ყველა ზემოხსენებული კატეგორიების გათვალისწინებით ვ.კარასიკი გამოყოფს დისკურსის ორ ტიპს: 1.პერსონალურს; 2.ინსტიტუციურს (კარასიკი 2000 :37-54).

პერსონალური დისკურსის კომუნიკაციის მონაწილეები კარგად იცნობენ ერთმანეთს. ინსტიტუციური დისკურსის დროს კომუნიკაციაში მონაწილეობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. ასეთი ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკანტები თავიანთი სტატუსის შესაბამის შესაძლებლობებს

იყენებენ. კარასიკის აზრით, პერსონალური დისკურსის ორი სახესხვაობა არსებობს: საყოფაცხოვრებო და ყოფიერებითი ურთიერთობა (კარასიკი 1998: 190).

საყოფაცხოვრებო ურთიერთობა კარგად ნაცნობ ადამიანებს შორის დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს. ძირითადი ინფორმაცია გადმოიცემა მიმიკით. წარმოთქმულ მეტყველებას მოქმედება მოსდევს. ასეთი ტიპის დისკურსი ხასიათდება სპონტანურობით, ძლიერი სიტუაციური დამოკიდებულებით, მკვეთრად გამოხატული სუბიექტურობით, ლოგიკის დარღვევით, გამონათქვამების სტრუქტურული გაფორმებით, სიტყვების სწრაფი, ბუნდოვანი წარმოთქმით (დრიდზე 1984: 77). ადამიანები ამ დროს ჟარგონებსაც იყენებენ. ამ დროს, კომუნიკანტები ისეთ ნიშნებს იყენებენ, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ისინი კონკრეტულ კოლექტივს მიეკუთვნებიან, რაც შეიძლება უცხოებისათვის გაუგებარი იყოს. საყოფაცხოვრებო ურთიერთობისას ადრესატს უნარი შესწევს მოსაუბრეს ნათქვამი მაშინვე გაიგოს. ადრესატის აქტიური როლი დისკურსის ამ ტიპში მოსაუბრეს საშუალებას აძლევს, რომ ოპერატიულად შეცვალოს თემატიკა, ასევე გამოიყენოს ქვეტექსტი (ირონია, სიტყვათა თამაში, ალუზია და ა.შ.).

ყოფიერებითი დისკურსი ცდილობს თავისი შინაგანი სამყარო ყოველმხრივ გაშალოს. ის მონოლოგის სახით მიმდინარეობს. ურთიერთობა უფრო გაშლილი სახით ხდება, დატვირთულია აზრებით, გამოიყენება მეტყველების ყველა ფორმა ლიტერატურული ენის ბაზაზე. ყოფიერებითი ურთიერთობა წარმოდგენილია მხატვრული და ფილოსოფიური შინაარსის ტექსტებით. მიუხედავად იმისა, რომ საყოფაცხოვრებო დისკურსი ყოფიერებითისაგან განსხვავდება, მაინც მათ ერთი რამ აქვთ საერთო. ორივე ადრესატის მხრიდან მეტყველების შინაარსის გააზრებას ეფუძნება.

პერსონალური დისკურსის დროს შინაარსის გააზრება ურთიერთობის კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული, მეორე შემთხვევაში კი ნიშნის ფორმაზე და ადრესატის პერსონალურ კონცეპტუალურ სფეროზე (კარასიკი 2000 : 5-20).

ინსტიტუციური დისკურსი ადამიანებს შორის სპეციალიზირებულ ჩარჩოებში მოცემული სტატუსისა და როლის მიხედვით ურთიერთობებს წარმოადგენს. ამ დროს ადამიანები შეიძლება არც კი იცნობდნენ ერთმანეთს, თუმცა კომუნიკაცია უნდა

ჰქონდეთ მოცემული სოციუმის ნორმების შესაბამისად. ინსტიტუციური დისკურსის ბირთვს კომუნიკაციის მონაწილეთა საბაზისო წყვილებს შორის ურთიერთობა წარმოადგენს. მაგალითად, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მეცნიერსა და მის კოლეგებს, ჟურნალისტსა და მკითხველს შორის. თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა ტიპის ინსტიტუციური დისკურსი: პოლიტიკური, დიპლომატიური, იურიდიული, სამხედრო, პედაგოგიური, რელიგიური, მისტიკური, სამედიცინო, საქმიანი, სარეკლამო, სპორტული, სცენური, საინფორმაციო-მასობრივი (კარასიკი 2000: 5–20). ეს ნუსხა შეიძლება იმისდა მიხედვით შეიცვალოს, რომ არსებობს თანამედროვე ინსტიტუტების შერწყმის, შეცვლის ტენდენცია.

ინსტიტუციური დისკურსი პერსონალურისაგან მიზნითა და კომუნიკაციის მონაწილეებით განსხვავდება. ინსტიტუციური დისკურსის მონაწილეები თავიანთი თვისებებითა და ქცევის დანიშნულებით განსხვავდებიან. ერთ მხარეს არიან აგენტები, ანუ ინსტიტუციის წარმომადგენლები, მეორე მხარეს კი კლიენტები, ადამიანები, რომლებიც ამ აგენტებს მიმართავენ. ვ.კარასიკის აზრით, ინსტიტუციური ურთიერთობა, თავისებური ნიღბებით კომუნიკაციაა. სწორედ კომუნიკაციის ტრაფარეტულობით პრინციპულად განსხვავდება ინსტიტუციური დისკურსი პერსონალურისაგან.

ინსტიტუციური დისკურსის თავისებურება იმლება მის ტიპში, ანუ საზოგადოებრივი ინსტიტუტის ტიპში, რომელიც კოლექტიურ ენობრივ შეგნებაში განსაკუთრებული სახელით აღინიშნება. ადამიანებს განსაზღვრული ფუნქციები გააჩნიათ. არსებობს შენობა-ნაგებობები მოცემული ფუნქციების შესასრულებლად, საზოგადოებრივი რიტუალებით და ქცევითი სტერეოტიპებით, ასევე ტექსტები, რომლებიც მოცემულ სოციალურ წარმონაქმნში ყალიბდება. ვ.კარასიკი ამა თუ იმ ინსტიტუციური დისკურსის ასაღწერად მიზანშეწონილად მიიჩნევს შემდეგი კომპონენტების განხილვას: მონაწილეები, ქრონოტოპი, მიზანი, ღირებულებები, სტრატეგიები, თემატიკა, ჟანრები, კულტუროგენური ტექსტები, დისკურსიული ფორმულები (კარასიკი 2000: 5-20).

ასეთი კომპონენტები შეიძლება დისკურსის ექსტრალინგვისტურ განზომილებას მივაკუთვნოთ და ისინი დისკურსის კონტექსტუალური ცვალებადი

ერთეულების კლასიფიკაციას შეესაბამება, რომელიც მაკაროვმა შემოგვთავაზა (მაკაროვი 2003: 205 – 206).

დისკურსის ტიპოლოგიური მახასიათებლების გარდა მნიშვნელოვანია მისი ტონალური განზომილებანი. ვ.კარასიკის აზრით, დისკურსის ტონალობაში იგულისხმება დისკურსის სახესხვაობებში არსებული განსხვავებანი. ეს ისეთი პარამეტრებია, როგორებიცაა: სერიოზულობა, არასერიოზულობა, ყოველდღიურობა ან რიტუალობა, უნისონისაკენ ან კონფლიქტისაკენ სწრაფვა, ურთიერთობის დისტანციის გაზრდა ან შემცირება, ღია (პირდაპირი) ან ირიბი ინტენციის გამოხატვა, ინფორმაციული ან ფატიკური ურთიერთობის გამოხატვა (კარასიკი 2000 : 37 – 48).

განვიხილეთ დისკურსის ტიპოლოგიური ასპექტები. აღვნიშნეთ, რომ დღემდე საკითხი დისკურსის ტიპოლოგიის შესახებ ღიაა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ახლა შეგვიძლია განვიხილოთ დისკურსის სტრუქტურული მომენტები, რაც მოცემული პარაგრაფის სათაურს წარმოადგენს. შეგვიძლია მოკლედ ჩამოვაყალიბოთ მოცემული პარაგრაფის იდეები დასკვნის სახით:

დისკურსს აქვს თავისი ტიპოლოგია და შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ორი ფორმით: პერსონალური დისკურსით და ინსტიტუციური დისკურსით. დისკურსს აქვს პარამეტრები, რომლებსაც განეკუთვნება დრო, ადგილი და აუდიტორია, აუდიტორიის კონტაქტურობა.

კომუნიკაციას აქვს წინასწარი მომზადების ხარისხი და ასევე ურთიერთობის ფორმალობის ხარისხი. დისკურსს აქვს ურთიერთობის შედეგი და მიზანი, ურთიერთობის ტონალობა. დისკურსის ტონალურ განზომილებას ისეთი პარამეტრები მიეკუთვნება, როგორებიცაა სერიოზულობა/არასერიოზულობა, ყოველდღიურობა/რიტუალობა, უნისონისაკენ/კონფლიქტისაკენ სწრაფვა, ურთიერთობის დისტანციის გაზრდა ან შემცირება, ღია/ირიბი ინტენციის გამოხატვა, ინფორმაციულობის/ ფატიკურობისაკენ მიმართული ურთიერთობა.

განვიხილოთ დისკურსის სტრუქტურული მახასიათებლები. მათი განსაზღვრით შესაძლებელი გახდება ფრანგული კომპიუტერული დისკურსების

ანალიზის ჩატარება ახალი ტექნოლოგიების შესახებ არსებული პუბლიკაციების მასალაზე.

დისკურსის კვლევის ერთ-ერთი მთავარი საკითხი მისი სტრუქტურის კვლევაა. ამასთან ერთად, მ. მაკაროვი მიუთითებს, რომ სტრუქტურის კატეგორია დისკურსთან მიმართებაში ძალიან ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული (მაკაროვი 2003: 177). დისკურსის სტრუქტურაზე საუბრისას, უნდა მივყვეთ კვლევის ობიექტის იდეალიზაციის სხვა დონეს. ჩვენ დისერტაციაში, ვიყენებთ დისკურსის სტრუქტურის ფართო გაგებით კვლევას, რომელიც მთელ რიგ მეცნიერთა ნაშრომებში გვხვდება. ესენია: ტ.ა. ვან დეიკი, უ. ლაბოვი, ჯ. ჰაიმსი, ე. პადუჩევა და სხვები. ყველა მათგანი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ დისკურსის ანალიზის დროს უნდა განვასხვავოთ სტრუქტურის შემდეგი დონეები: 1. მაკროსტრუქტურა; 2. მიკროსტრუქტურა (ვან დეიკი 1981, დრიდზე 1984).

თუ ვისაუბრებთ დისკურსის მაკროსტრუქტურაზე, ესენია ეპიზოდები მონათხრობში, რეკლიკის ფორმები ზეპირ დიალოგში, გაზეთებისა და ჟურნალების სტატიები და რუბრიკები, სცენარები, სქემები, თემები. დისკურსის ამ მსხვილ ფრაგმენტებში არსებობს საზღვრები. ესენია: თემატური, რეფერენციური, მოვლენებთან დაკავშირებული, დროისეული, სივრცითი და ა.შ. ერთობლიობა. მაკროსტრუქტურების სხვადასხვა დისკურსების კვლევას აწარმოებდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ე. პადუჩევა, ტ.ა. ვან დეიკი, და სხვები.

საინტერესოა ვან დეიკის მიერ შემოთავაზებული მაკროსტრუქტურის დეფინიცია: „მაკროსტრუქტურა დისკურსის ძირითადი შინაარსის განზოგადოებული აღწერაა, რომელსაც ადრესატი გაგების პროცესში ქმნის“ (ვან დეიკი 1996: 43). მაკროსტრუქტურის აგება უნდა მოხდეს ტექსტის სრულყოფილი წარმოდგენით, რომელიც მოსმენილ ან წაკითხულ ინფორმაციას აჯამებს, რომელიც გარკვეული დროით ადამიანთა მეხსიერებაში რჩება. ვან დეიკის თქმით, ნებისმიერ რეფერატს ან რეზიუმეს შეიძლება მაკროსტრუქტურა ვუწოდოთ, რომელიც ამა თუ იმ დისკურსის ინფორმაციას აჯამებს. ამასთან დაკავშირებით დისკურსის მაკროსტრუქტურას შეიძლება სემანტიკური მაკროსტრუქტურა ვუწოდოთ.

როდესაც ვან დეიკი დისკურსის მაკროსტრუქტურაზე საუბრობს, ის გამოყოფს სუპერსტრუქტურის ცნებას, სტანდარტულ სქემას, რომლის მიხედვითაც კონკრეტული დისკურსი იგება. თუკი დისკურსის მაკროსტრუქტურა დაკავშირებულია კონკრეტული დისკურსის შინაარსთან, სუპერსტრუქტურა დაკავშირებულია მის ჟანრთან (ვან დეიკი 1978: 263 – 275).

დისკურსის მაკროსტრუქტურა შეიძლება დაფუძირისპიროთ მის მიკროსტრუქტურას. მიკროსტრუქტურა გულისხმობს დისკურსის დანაწევრებას დისკურსის მინიმალურ შემადგენელ ერთეულებად-პრედიკატებად. დისკურსის კვლევა მიკროდონეზე ტექსტის სემანტიკური ელემენტების კვლევას ნიშნავს, რაც სიტყვების და წინადადებების მნიშვნელობების ანალიზს, წინადადებებს შორის ურთიერთმიმართებასა და ურთერთკავშირს, ასევე მნიშვნელობათა სტილისტურ და რიტორიკულ წარმონაქმნებს გულისხმობს (ვან დეიკი 1996: 45).

დისკურსის სტრუქტურის აღწერისადმი არსებობს კიდევ ერთი მიდგომა. მისი კოჰერენტულობის განხილვა. თუკი ზოგიერთი დისკურსი ნაწილებისაგან შედგება, უნდა არსებობდეს რაღაც, რაც ამ ნაწილებს შორის კავშირს და შესაბამისად, მოცემული დისკურსის მთლიანობას უზრუნველყოფს. დისკურსის სტრუქტურაზე საუბრისას, უნდა განვასხვავოთ გლობალური და ლოკალური კოჰერენტულობა. გლობალური კოჰერენტულობის უზრუნველყოფა დისკურსის თემის ერთიანობით ხდება, ანუ იმით, თუ რაზეა საუბარი მოცემულ დისკურსში. ლოკალური კოჰერენტულობა მინიმალური დისკურსიული ელემენტებისა და მათი შემადგენელი ნაწილების ერთიანობას გულისხმობს.

ტ.ა. ვან დეიკი ლოკალურ კოჰერენტულობაში გამოყოფს შემდეგ ტიპებს: რეფერენციულს (მონაწილეთა იდენტობა), სივრცითს, დროისეულს, მოვლენებთან დაკავშირებულს (ვან დეიკი 1985: 139).

მოცემული პარამეტრებით შეიძლება ვიმსჯელოთ დისკურსის მნიშვნელოვან ნიშან-თვისებაზე, მის კოჰერენტულობაზე, რომლითაც დისკურსი შეიძლება განვასხვავოთ გამონათქვამების მოუწესრიგებელი მასისაგან. თუკი დასკვნას გამოვიტანთ დისკურსის სტრუქტურული შემადგენელი ელემენტების აღწერის თვალსაზრისით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დისკურსის სტრუქტურული

ორგანიზება დამოკიდებულია თავად დისკურსის ტიპზე, ვინაიდან მის განსხვავებულ ტიპებში თავმოყრილია ყველა სტრუქტურული თავისებურება.

გ.ლუბანიძის აზრით: „კოპერენტულობა-სწორედ ისეთი კატეგორიაა, რომელიც ეფუძნება ტექსტის ნიშნობრივ გაგებას, მაგრამ ამავე დროს ეფუძნება სწორედ ნიშნის მთლიან (არადიფერენცირებულ) წარმოდგენას, ე.ი. ეკუთვნის არა ტექსტის ფორმას და არა მის შინარსს, არამედ ორივეს ერთად[...] კოპერენტულობა [...]უკავშირდება ტექსტის შინარსს, ხოლო კოპეზია-მის ფორმას, მაგრამ უპირატესობა ენიჭება პირველ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც კოპერენტულობა სინთეზური კატეგორიაა“ (ლუბანიძე 2004 : 296-297).

დისკურსის ანალიზის დროს სტრუქტურული პრინციპების ერთფეროვნება ადგილს უთმობს ინტუიციურ, სუბიექტურ მოსაზრებებს (მაკაროვი 2003: 178). ეს საშუალებას გვაძლევს დისკურსის ანალიზი ჩავატაროთ ერთი და იმავე დისკურსის შიგნით.

1.4. დისკურსის ანალიზის ასპექტები და სტრუქტურა

დისკურსის ანალიზი, სხვა ანალიზის მსგავსად დისკურსის საგნის, მიზნის, მიდგომებისა და მიმართულებების განსაზღვრას ითხოვს. უნდა დავადგინოთ ეს კომპონენტები და ვაჩვენოთ, თუ როგორ მოქმედებენ ისინი კვლევით პროცესებში ენობრივი კომუნიკაციის შესწავლის ფუნქციური პლანის თვალსაზრისით.

ინტერდისციპლინარულ მიმართულებას, რომელიც დისკურსს შეისწავლის და ასევე, ლინგვისტიკის შესაბამისი ნაწილია, ეწოდება დისკურსის ანალიზი. მართალია, დისკურსი მრავალი დისციპლინის კვლევის საგანი იყო, როგორებიცაა: რიტორიკა, სტილისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, თუმცა როგორც სამეცნიერო მიმართულება, დისკურსის ანალიზი XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში ჩამოყალიბდა. დისკურსის თეორიისა და ანალიზის წარმოქმნა გამოწვეული იყო ლინგვისტიკაში მთელი რიგი ახალი ტენდენციებით. პირველ რიგში, მეცნიერთა სწრაფვით სინტაქსი გაეტანათ წინადადების საზღვრების მიღმა, ასულიყვნენ ზეფრაზული ერთობლიობის დონემდე და ტექსტამდე. ამას გარდა, დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეტყველებას, ასევე მეტყველების სუბიექტურ ასპექტს, როგორც სოციალურ ქმედებას.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებითად, დისკურსის ანალიზს ემთხვეოდა სტრუქტურულად ორიენტირებული ტექსტის გრამატიკას, ტექსტის ლინგვისტიკას, დისკურსის სემანტიკას თავდაპირველი გაგებით. დისკურსის ანალიზი, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკას განეკუთვნება, გააჩნია განვითარებისა და ჩამოყალიბების რამდენიმე ეტაპი და წყარო. პირველ რიგში, თანამედროვე გაგებით, დისკურსის ანალიზი ეფუძნება ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ კვლევებს და მათ კავშირს პოეტიკასა და სემიოტიკასთან (ვ.პროპი, კ.ლევინ-სტროსი).

დისკურსის ანალიზის მეორე მნიშვნელოვანი წყაროა ენის სოციოლოგია, რომელსაც წარმოადგენს ე.გოფმანი. ის, დიდ ყურადღებას აქცევდა ყოველდღიური საუბრის კვლევას (გოფმანი 1981: 43).

დისკურსის ანალიზის მესამე წყარო იყო ნაშრომები ანალიტიკურ ფილოსოფიაში, რომლებიც საფუძვლად დაედო ჯ.ოსტინისა და ჯ.რ. სერლის

სამეტყველოს აქტების თეორიას. მათ საშუალება მისცეს მკვლევრებს ლინგვისტური ობიექტები სოციალურ ქმედებებთან დაეკავშირებინათ, თანაც არა მარტო ცალკეული გამონათქვამების დონეზე, არამედ ასევე, სამეტყველო აქტების თანმიმდევრობის დონეზე (სერლი 1969, ოსტინი 1962).

დისკურსის ანალიზისთვის მეოთხე მნიშვნელოვანი წყაროა სოციოლინგვისტიკა, რომელიც 60-იან წლებში აღორძინდა (ლაბოვი, ჰაბერმასი, ფაირკლავი). მისი ძირითადი ყურადღება ენობრივი ვარიანტულობის მოვლენებზე იყო მიპყრობილი, რომლებიც სოციალური ფაქტორებითაა განპირობებული (სქესი, ასაკი, განათლება, ეთნიკური ჯგუფი).

დღეს, დისკურსის ანალიზი სხვადასხვა მეცნიერებების მეთოდებსა და ხერხებს იყენებს. მ. მაკაროვი გამოყოფს კვლევის 5 სფეროს, რომელშიც დისკურსის ანალიზი გამოიყენება:

1. დისკურსის ანალიზი იკვლევს სამეტყველო კომუნიკაციის ზეპირ და წერით ფორმებს. კვლევის მასალად შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაწერილი ტექსტები და ზეპირი დისკურსების ტრანსკრიპტები.
2. დისკურსის ანალიზი იკვლევს ენობრივი კომუნიკაციის საგნობივ-შინაარსობრივ მხარეს, რომლის დროსაც დიდი ყურადღება ეთმობა მის სოციალურ ორგანიზებას.
3. დისკურსის ანალიზს იყენებენ ადამიანთა სოციალური ქმედებების ნიშან-თვისებათა კვლევისას. ანალიზი მიმართულია ლინგვისტური რესურსების გამოვლენისაკენ, რომლებიც გამოიყენება ამა თუ იმ დისკურსის ასაგებად.
4. დისკურსის ანალიზი შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი ტიპის ტექსტებისა და მეტყველების ჟანრების რიტორიკული, არგუმენტირებული სტრუქტურების შესწავლისას.
5. დისკურსის ანალიზი იკვლევს ადამიანის შინაგან და გარეგან ბუნებას, მის ყოფას, აზროვნებას, როგორც ინდივიდუალურს, ასევე სოციალურს (მაკაროვი 2003: 80).

ვინაიდან ასე თუ ისე, დისკურსი დაკავშირებულია საუბრის სემასთან, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ზემოხსენებული სფეროების კვლევის საგანი დისკურსის

ანალიზის დროს, ის გამონათქვამებია, რომელთა სტრუქტურირების ხერხებს გააჩნიათ მოცემული კოლექტივისათვის მნიშვნელობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება ტექსტების ანალიზი (ზეპირი და წერიტი), რომლებიც ერთი და იმავე კოლექტივის მიერ გაზიარებულ მრწამსს შეიცავენ. დისკურსის ანალიზის მიზანია გამონათქვამთა გაფანტული სიმრავლის პოზიციური ერთიანობის შექმნა(ვან დეიკი 1985: 234).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს დ.კრისტალის მოსაზრება. იგი დისკურსს განიხილავს, როგორც ენის უწყვეტ მონაკვეთს, რომელიც წინადადებას აღემატება. ის და ვან დეიკი, დისკურსის ანალიზის ერთეულად მიიჩნევენ ტექსტს (კრისტალი 1980: 148 – 151).

ასეთი მიდგომით, რომელიც დისკურსის ანალიზისათვის პრინციპულია, ხდება ენის კვლევა მის აქტუალურ გამოყენებაში, ენის როგორც სტრუქტურის საპირწონედ. დისკურსი გულისხმობს კოგნიტიურ გააზრებას. ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დისკურსი ხდება ტექსტი, როდესაც მისი განხილვისას ცდილობენ მოიგვან არა მარტო ლინგვო-სემანტიკური სტრუქტურები, არამედ ასევე ფარული ასოციაციური კავშირები, სურთ დაადგინონ სიტყვათა გამოყენებასა და განსაზღვრულ სოციალურ კონტექსტს შორის კორელაცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორ ხდება სიტყვების შერჩევა, რომ კომუნიკაციაში მონაწილე პირებმა ერთმანეთს გაუგონ და ასევე თუ რა მიზნით ხდება მოცემული ვერბალური შეტყობინების ფორმირება. თანამედროვე ლინგვისტიკაში დისკურსისასდმი ასეთი მიდგომა დისკურსის ანალიზს წარმოადგენს.

თუ გავითვალისწინებთ ზემოხსენებულ მეცნიერთა მოსაზრებებს, დისკურსი განიხილება როგორც ტექსტი პლუს კონტექსტი. დისკურსის ანალიზი უნდა ეხებოდეს ორ ასპექტს - ტექსტს და ასევე კონტექსტს.

ჯ.ჰაიმსმა მოახდინა დისკურსის კონტექსტუალური პარამეტრების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია. მან შემდეგი მომენტები გამოყო:

-გარემო (კომუნიკაციის პროცესის დრო და სივრცე, გარემოცვა, გარემო თავისი ფიზიკური პარამეტრებით) და სცენა (ურთიერთობის მოცემული აქტის კულტურული განსაზღვრა, მისი ადგილი კომუნიკაციის პროცესში);

-კომუნიკაციის მონაწილეები (კომუნიკანტები), მათ განეკუთვნებათ მოსაუბრე, რომელიც ზემოქმედების ინიციატორია, ადრესატი, მოსაუბრის მიერ განზრახ შერჩეული კომუნიკაციური ზემოქმედების ობიექტი, მსმენელი, როგორც მოსაუბრისა და ადრესატის ურთიერთობის მოწმე;

-სავარაუდო შედეგი და კომუნიკანტების მიზნები;

-გასაღები-კომუნიკაციური მოვლენის ფსიქოლოგიური, ემოციური ტონალობა მოცემულ კულტურულ სიტუაციაში;

-ინფორმაციის გადაცემის არხები და მეტყველების ფორმები, ანუ თავად ენობრივი კომუნიკაციის სისტემის მაწარმოებელი კომპონენტები;

-ნორმები, რომლებიც თავად ინტერაქციას და მის ინტერპრეტაციას მიეკუთვნება;

-სამეტყველო ჟანრები, რომლებიც დაკავშირებულია ურთიერთობის კულტურულად განსაზღვრული, სტრუქტურულად ორგანიზებული ლინგვისტური მასალის ფორმებთან (მაკაროვი 2003: 205 - 206; ჰაიმსი 1975: 26-37).

ყველა ეს პარამეტრი დისკურსისათვის არსებითია. მათი განსაზღვრა დისკურსის ანალიზის მიზნებსა და ამოცანებს პასუხობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისკურსის ტექსტუალური ანალიზი ტექსტის ანალიზს გულისხმობს მის ყველა დონეზე; უმცირესი სტრუქტურული დონიდან დაწყებული-ფონეტიკური (მიკროდონე), ყველაზე მაღალ სინტაქსურ დონემდე (მაკროდონე).

დისკურსის ფონეტიკური გარსის შესწავლას შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს მის გასაგებად. მახვილის დასმით ავტორმა შეიძლება გამოყოს ან პირიქით, ფარული გახადოს ზოგიერთი გამონათქვამი; ინტონაციას თავისი აზრობრივი დატვირთვა აქვს. მისი მეშვეობით განვსაზღვრავთ გამონათქვამის კომუნიკაციურ მიმართულებას (ვან დეიკი 1998:3).

დისკურსის მორფოლოგიური ანალიზი მისი ლექსიკური ერთეულების სიტყვაწარმოებას მოიცავს. მოცემულ დონეს სადისერტაციო ნაწილის კვლევის პრაქტიკულ ნაწილში განვიხილავთ ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური ბაზის ფორმირების გამოვლენისას.

დისკურსის სინტაქსური დონე სინტაქსური კონსტრუქციების განხილვას გულისხმობს, რომლებიც დისკურსის მოცემული ფორმისათვის ტიპურია. ასე მაგალითად, წინადადებების სინტაქსმა შეიძლება კომუნიკანტთა სემანტიკური როლების განაწილება ასახოს. ამის მიღწევა შესაძლებელია სიტყვების შერჩევით, ან კიდევ აქტიური ან პასიური კონსტრუქციების გამოყენებით.

დისკურსის სემანტიკა და ლექსიკაც შეიძლება ტექსტუალური კვლევის მასალა გახდეს. ვან დეიკის აზრით, მოცემულ დონეზე, უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რომელი ლექსიკური ერთეული გამოიყენება და როგორ გამოიყენება ის გამონათქვამში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სიტყვებს, რომლებიც დისკურსის მონაწილეთა, მათი საქციელისა და მახასიათებელი თვისებების აღსანიშნავად ან ასაღწერად გამოიყენება. დადებითი აზრის გამოსახატავად დადებითი კონოტაციის მქონე სიტყვებს იყენებენ, ხოლო უკმაყოფილების გამოსახატავად-სიტყვებს უარყოფითი კონოტაციით (ვან დეიკი 1996: 8).

ტ.ა.ვან დეიკისათვის დისკურსის ტექსტუალური ანალიზის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია რიტორიკული ასპექტი. ის ამტკიცებს, რომ ტექსტის ყველა სტრუქტურული დონე რიტორიკული ასპექტის ზეგავლენას განიცდის. როგორც ცნობილია, არსებობს სხვადასხვა ხერხი იმისათვის, რომ ტექსტმა მეტი დამაჯერებლობა შეიძინოს. ჩვეულებრივ, მათ უწოდებენ სტილისტურ ხერხებს ან მეტყველების ფიგურებს (ვან დეიკი 1996: 12 – 17).

მ.მაკაროვის აზრით, ფუნქციური მიდგომით ენის კვლევის ფარგლებში, დისკურსის ანალიზი დღესდღეობით შესანიშნავ ალტერნატივას წარმოადგენს ლინგვისტიკის მრავალი მიმართულებისათვის, რომელთაც მკაცრი კვლევითი პროცედურების შემუშავებისკენ სწრაფვა ახასიათებდა, რომლებიც ფორმალური

კრიტერიუმების ლოგიკას ეფუძნება და ალგორითმულ ვერსიფიკაციას უშვებს (მაკაროვი 2003: 83 – 84).

მოკლედ უნდა შევხვით ჰიბრიდული ტექსტის საკითხს. კ. შეფნერმა და ბ.ადაბმა წამოაყენეს თეზისი იმის შესახებ, რომ დღეს თანამედროვე ინტერკულტურულ კომუნიკაციაში ჩნდება ჰიბრიდული ტექსტები (შეფნერი, ადაბი 2001:1632).

ჰიბრიდული ტექსტები კონტაქტის, ენათა და კულტურათა ურთერთქმედების შედეგს წარმოადგენს. ასეთი კონტაქტები სხვადასხვა კომუნიკაციური მიზეზების შედეგად წარმოიქმნება: საინფორმაციო, კომერციული, პოლიტიკური, პროპაგანდისტული, პოლიტიკური, საგანმანათლებლო, გასართობი და სხვა.

ჰიბრიდული ტექსტი ისეთი ტექსტია, რომელიც ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის დროს გაჩნდა. ძალიან ხშირად ასეთ ტექსტს ადგილობრივი კულტურისათვის შეიძლება უჩვეულო, უცნაური ნიშან-თვისებები ჰქონდეს. შეფნერისა და ადაბის აზრით, ეს იმაზე კი არ მიუთითებს, რომ მთარგმნელი არაკომპეტენტურია, არამედ, პირიქით, წარმოადგენს ადეკვატური თარგმანის შედეგს. თუმცა ჰიბრიდული ტექსტი ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება ადგილობრივი კულტურის ნორმებს, ეს კულტურა მათ ღებულობს, ვინაიდან ემსახურება განსაზღვრულ კომუნიკაციურ მიზანს. უამრავი მიზეზი არსებობს ჰიბრიდული ტექსტების წარმოსაქმნელად. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1. მოცემულ კულტურაში სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები ქმნის წინაპირობებს ტექსტების ახალი ტიპების წარმოსაქმნელად, რომელთაც ადგილობრივ კულტურაში თავიანთი მოდელები, ნიმუშები არ გააჩნიათ.

2. ინტერკულტურული კომუნიკაციის მზარდი პროცესი სხვადასხვა ტიპის ტექსტებს შორის საზღვარს არღვევს. ეს ყველაფერი დაკავშირებულია კულტურებს შორის კონვერგენციის ტენდენციით. ამის მაგალითია ევროკავშირში არსებული ენობრივი მდგომარეობა. ჰიბრიდული ტექსტი შეიძლება გაჩნდეს, როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, ისე სარეკლამო ტექსტებში, ასევე უბრალო საყოფაცხოვრებო ურთიერთობისას (შეფნერი, ადაბი, 2001: 1654).

ჰიბრიდული ტექსტის შექმნის ინიციატივა შეიძლება საზოგადოებისგან მოდიოდეს, ან სხვადასხვა ქვეჯგუფებისაგან (მაგალითად პროფესიული ჯგუფებისაგან), ან ინდივიდისაგან (მაგალითად, მთარგმნელისაგან). ნათარგმნი ტექსტი ინარჩუნებს ორიგინალი ტექსტის ნიშნებს. ამის მაგალითად გამოდგება კომპიუტერული დისკურსი, რომელიც ბოლომდე არაა ჩამოყალიბებული არც საფრანგეთში და არც ჩვენთან საქართველოში. მეცნიერები გამოყოფენ ჰიბრიდული ტექსტების თავისებურებებს:

1. ჰიბრიდული ტექსტი ჩნდება ადგილობრივ კულტურაში ორიგინალი ტექსტის ზიგიერთი ნიშან-თვისების ადაპტაციის წყალობით (წლიური ანგარიშები);
2. ჰიბრიდული ტექსტები დებულობენ სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს (ლექსიკური მარაგი, სინტაქსი, სტილი და ა.შ.), რომლებიც ადგილობრივი კულტურის ენის ნორმებს ეწინააღმდეგება (შეფნერი, ადაბი, 2001: 1657).

ჰიბრიდული ტექსტი ტრანზიტული და ისტორიული მოვლენაა, ვინაიდან ტექსტი დისკურსის ერთ-ერთი სახეობაა, ტექსტის ჰიბრიდულობა დისკურსზეც ვრცელდება, რომელსაც ეს ტექსტი მიეკუთვნება. ასე მაგალითად, ჰიბრიდულობის თვისებას დებულობს არა მარტო ნათარგმნი ტექსტები, არამედ ზოგადად დისკურსები, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, სადაც დისკურსიული პრაქტიკა ჯერ კარგად არაა მყარი და ბევრი რამის სესხება ხდება სხვა კულტურების დისკურსებიდან. ასეთი რამ ხდება ტექსტის დისკურსის ინტერტექსტში ჩართვით. ტექსტი-დისკურსი თავად ხდება ინტერტექსტი (შეფნერი, ადაბი 2001: 1658).

თავი 1-ის დასკვნები

ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა დისკურსის ცნების განსაზღვრა თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების მრავალფეროვნების ფონზე და ასევე ის, რომ დისკურსი უშვებს მრავალ სამეცნიერო ინტერპრეტაციას და აქტიურად ფუნქციონირებს თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების ყოველდღიურობაში.

მიგვაჩნია, რომ

დისკურსის კატეგორიის ფართო გაგება უფრო მეტად ჰუმანიტარულ დისციპლინებში გვხვდება. დისკურსი და ტექსტი უნდა განვიხილოთ არა როგორც ოპოზიციური, არამედ როგორც მოკავშირე კატეგორიები. ამ შემთხვევაში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი დადებითი მომენტი იმ დროს, როდესაც არ არსებობს დისკურსის დეფინიციის აუცილებლობა ისეთი ცნებების დაპირისპირებით, როგორებიცაა მონოლოგი/დიალოგი/, ზეპირი/წერიტი, რამაც საშუალება მოგვცა, რომ კომპიუტერული ჟურნალები ახალი ტექნოლოგიების შესახებ შესაბამის დისკურსებად მიგვეღო.

სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით, ჩვენ ასევე განვსაზღვრეთ, რომ დისკურსს აქვს საკუთარი ტიპოლოგია და შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ორი სახესხვაობით - ინსტიტუციური და პერსონალური დისკურსით.

დისკურსის ტიპოლოგიურ პარამეტრებს განეკუთვნება:

- ურთიერთობის დრო, ადგილი და აუდიტორია;
- აუდიტორიის კონტაქტურობა;
- წინასწარმომზადებული ურთიერთობის ხარისხი და ასევე ურთიერთობის ფორმალობის ხარისხი;
- ურთიერთობის შედეგი და მიზანი;
- ურთიერთობის ტონალობა.

დისკურსს გააჩნია ასევე სტრუქტურული ფორმები: მაკროსტრუქტურული და მიკროსტრუქტურული დონის. დისკურსის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია მისი

ტიპოლოგიური და სტრუქტურული შემადგენელი ელემენტების განხილვა, რომლებიც ტექსტუალურ და კონტექსტუალურ ცვალებად ერთეულებს განეკუთვნება. თანამედროვე დისკურსის ანალიზის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ დისკურსის ენობრივი მახასიათებლები მისი კონტექსტუალური მახასიათებლებით განისაზღვრება.

კვლევამ გვიჩვენა, რომ დისკურსის ტექსტუალური ანალიზი გულისხმობს ენობრივი სტრუქტურების განხილვას ყველა დონეზე: ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სემანტიკურ, ლექსიკურ და სტილისტურ დონეებზე. კონტექსტუალური ანალიზი ექსტრალინგვისტური ფაქტორების განხილვას გულისხმობს. ესენია: დრო, ადგილი, კომუნიკაციის მონაწილეები, ურთიერთობის მიზანი და შედეგი, ურთიერთობის ტონალობა, ინფორმაციის გადაცემის არხი, ინტერაქციის ნორმები.

განვიხილეთ ასევე ჰიბრიდული ტექსტები, რომლებიც განპირობებულია ორი ფაქტორით: 1) დისკურსის კრიზისით და 2) დისკურსის არასრულყოფილი ფორმირებით, როდესაც ის სხვა კულტურიდან სესხულობს აგების სქემას.

ჩვენ ვეყრდნობით ფუნქციონალურ ლინგვისტიკას და ფუნქციონალისტიკის კვლევებს, თუმცა, გვერდს ვერ ავუვლიდით სტრუქტურალისტიკის შეხედულებებს. ჩვენი აზრით, მათი გამოცდილების შესწავლამ დიდი დახმარება გაგვიწია, რომ გაგვეანალიზებინა და გაგვეაზრებინა დღემდე ბოლომდე შეუსწავლელი დისკურსის ფენომენი.

საინტერესოდ მიგვაჩნია ს.ანტონოვას მიერ შემოთავაზებული დისკურსის დეფინიცია, რომელიც ლინგვისტიკაში ფუნქციონალურ მიდგომას შეესაბამება. ამგვარად, დისკურსი მისთვის არის კომუნიკაციური მოვლენა, რომელიც მოსაუბრესა და მსმენელს, მწერალსა და მკითხველს შორის განსაზღვრულ სივრცობრივ-დროისეულ და სოციალურ-კულტურულ კონტექსტში ხდება. ეს მოვლენა მოიცავს როგორც ლინგვისტურ, ისე ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს (ანტონოვა 2004:55).

დისკურსის აღნიშნული დეფინიცია ნ.არუტიუნოვასა და რ.იაკობსონის დისკურსზე არსებულ შეხედულებებს ეყრდნობა და ჩვენთვის საკვებით მისაღებია.

ამგვარად დისკურსი- ბმული ტექსტია, რომელიც განპირობებულია ექსტრალინგვისტური, პრაგმატიკული, სოციო-კულტურული და სხვა ფაქტორებით, ტექსტი, სადაც ადრესანტი შეტყობინებას უგზავნის ადრესატს, რომელიც საერთო კონტექსტში ერთვება და ადრესანტთან საერთო კოდის გამოყენებით ინფორმაციის დეკოდირებას ახდენს.

თავი 2. ახალი ტექნოლოგიების შესახებ არსებული ტერმინების ფორმირების ძირითადი ტენდენციები

2.1 ტერმინთა წარმოქმნის პროცესების ტიპოლოგია

კომპიუტერული დისკურსი კომპიუტერული ტერმინოლოგიისაგან შედგება. კომპიუტერული ტერმინოლოგიის ცოდნის გარეშე, ძნელია კომპიუტერული დისკურსის გაგება. ამიტომ, სანამ ჩვენი საკვლევი მასალის ანალიზს შევუდგებით, განვიხილოთ ზოგადად ტერმინოლოგია და შემდეგ კომპიუტერული ტერმინოლოგია. ტერმინოლოგია, ერთ-ერთი ყველაზე მოძრავი სისტემაა, რომელსაც დამოუკიდებელი დისციპლინა სწავლობს.

მისი განვითარების დამახასიათებელი თვისებაა კვლევის სპეციალიზაცია. ადრე მიმდინარეობდა მუშაობა ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის სფეროში, თუმცა დღეს თითქოს შენეებულია ეს პროცესი. ტერმინის შესწავლა ხდება მისი პრაგმატიკული და სოციალური ფუნქციების პლანში. ბოლო დროს, კოგნიტიური ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად შეიქმნა ნაშრომები, რომლებიც ტერმინოლოგიური სისტემების ფორმირებისა და ფუნქციონირების კვლევას ეძღვნება.

ტერმინოლოგიური სისტემების შევსების წყაროების საკითხის კვლევას ლინგვისტები მისი განვითარების ყველა ეტაპზე ახორციელებდნენ: კლასიკოსებიდან დაწყებული თანამედროვე მკვლევარებით დამთავრებული. ტერმინოლოგიური სისტემების სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის პრობლემებით მრავალი მეცნიერი იყო დაკავებული (დ.ლოტე, ლ. კანდელაკი, რ. პიოტროვსკი, ვ.გაკი, ა.სუპერანსკაია და სხვები).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინები შეიძლება გამოხატული იყოს მშობლიური ენის სიტყვებით, უცხოური ენის ან საერთაშორისო სიტყვებით, შეიძლება ასევე ხელოვნურად იყოს შექმნილი ლექსიკური ერთეულებით. ეს კომპიუტერულ ტერმინებსაც ეხება.

ხშირად ამბობენ, რომ ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება ზოგადად საერთო ლექსიკის სიტყვებისათვის დამახასიათებელ სიტყვაწარმოებას იმეორებს. ტერმინოლოგიაში პროდუქტიული და აქტიურია იგივე ხერხები, რაც საერთო ლექსიკაში: სემანტიკური, სინტაქსური, მორფოლოგიური (დანილენკო 1977:89). მართალია, არსებობს ტერმინოლოგიური კლასიფიკაციის სხვადასხვა ტიპები, მაგრამ ჩვენ გვინტერესებს კომპიუტერული ტერმინოლოგიის ფორმირების პროცესი.

ა.სუპერანსკაია ტერმინოლოგიური ფორმირების ხერხების განზოგადობას ახდენს. მისი ხერხების გამოყენებით ჩვენ კომპიუტერული ტერმინოლოგიის კლასიფიკაციას გთავაზობთ:

1. სესხება;
2. კალკირება;
3. აბრევიაცია;
4. ტერმინების წარმოქმნა დერივაციული ხერხით.

ჩვენი მიზანია, შემოხსენებული კლასიფიკაციის გათვალისწინებით, გავაანალიზოთ ფრანგული კომპიუტერული ტერმინების ფორმირების პროცესი. ტერმინოლოგიური სისტემების ფორმირებისას ადამიანის საქმიანობის მიზანმიმართული ასახვა ხდება.

ვ.ვინოგრადოვი, ტერმინის მნიშვნელოვან ფუნქციაში დეფინიციურ ფუნქციას გამოყოფს, რომელიც იმას გულისხმობს, რომ ტერმინი ცნებას კი არ ასახელებს, როგორც ამას ჩვეულებრივი სიტყვა აკეთებს, არამედ ის ცნებას ებმის. ტერმინის მნიშვნელობა, მისი ცნების განსაზღვრა, დეფინიციას, რომელსაც მას მიაწერენ. თუ უცნობია განსაზღვრება, ტერმინიც უცნობია. ეს განსხვავება ზოგადლიტერატურულ სიტყვებსა და ტერმინებს შორის პრინციპულია. ზოგადი ლექსიკის სიტყვებს გააჩნიათ სინონიმები, ანტონიმები, ტერმინებისათვის კი - ეს უცხოა. არ არსებობს მნიშვნელობით ახლო მყოფი ტერმინები, არსებობს ტერმინოლოგიური დუბლეტები. ამგვარად, ტერმინოლოგიური სისტემებისათვის ტერმინების შექმნის და შერჩევის ერთ-ერთი მნიშვნელოვან კრიტერიუმს ცნებასთან მათი შესაბამისობა, დეფინიცია წარმოადგენს (ვინოგრადოვი 1982: 47).

ერთდროულად, ტერმინის ეს თვისება ტერმინოლოგიური ნომინაციის უამრავ რაოდენობას იძლევა, ვინაიდან ენობრივი ერთეულების არჩევანი არ წარმოადგენს განმსაზღვრელს. ლ. ვიტგენშტაინი წერდა: “სიტყვის მნიშვნელობა, საბოლოო ჯამში, განისაზღვრება იმით, თუ რისი აღნიშვნის უნარი გააჩნია. თუკი A საგანი რეგულარულად აღინიშნება B სიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულმა სიტყვამ

გაიფართოვა მნიშვნელობა ან კიდევ შეიძინა ახალი მეტაფორული აზრი“ (ციტ. გაკის მიერ 1998: 200).

იმ შემთხვევაში, თუკი ამა თუ იმ ცნების სახელწოდება ენაში არ არის, სპეციალისტი თავად ქმნის მას. შემდგომში ის შეიძლება ტერმინი გახდეს. ამისათვის, ტერმინმა შერჩევის და დამტკიცების პროცედურა უნდა გაიაროს.

ტერმინი-ცნების ზუსტი მნიშვნელობა შეიძლება აღქმულ იქნეს მხოლოდ მოცემული ტერმინოლოგიური ველის ტერმინების სისტემაში. მეტად მნიშვნელოვანია ტერმინისათვის თავად დეფინიცია.

თუ ავიღებთ კომპიუტერულ ტერმინს *prédicat*, რომელიც ასევე „შემასმენელს“ ნიშნავს, მას ასეთი დეფინიცია აქვს: *propriété mathématique liée à un certain nombre de variables, que l'on établit avant l'exécution d'une instruction*—მათემატიკური თვისება, რომელიც დაკავშირებულია ცვალებადი სიდიდეების განსაზღვრულ რაოდენობასთან, რომლებიც ინსტრუქციის შესრულების დასაწყებად დგინდება. მოცემული დეფინიციის აზრი მნიშვნელოვნად განსხვავდება სიტყვის *prédicat* (პრედიკატი, შემასმენელი) ლექსიკური მნიშვნელობისაგან

უნდა აღნიშნოს, რომ სიტყვათა მნიშვნელობები ცვლილებას განიცდის: მნიშვნელობის გაფართოება, შევიწროვება, გადატანითი (მეტაფორა და მეტონიმია) მნიშვნელობით გამოყენება, დესემანტიზაცია. ნებისმიერ სიტყვას, ტერმინოლოგიზაციის პროცესის შედეგად, შეუძლია გახდეს ტერმინი. ასევე შესაძლებელია ერთი სფეროს ტერმინის გადააზრება და სხვა სფეროს ტერმინოლოგიურ სისტემაში გადასვლა.

ამ პროცესს შეიძლება ტრანსტერმინოლოგიზაცია ვუწოდოთ (მოლნარი 2012:51). ტრანსტერმინოლოგიზაციის შედეგად წარმოიქმნება სფეროთაშორისი ომონიმები. მაგალითად, შევადაროთ *იზომორფიზმი*(მათ.)—*იზომორფიზმი* (ლინგვ.). გადასვლა არა მარტო ცალკეულ ტერმინს, არამედ ტერმინების მთელ ჯგუფსაც შეუძლია.

განხილული მასალის ანალიზით, შესაძლებელი გახდა სიტყვათა მნიშვნელობების ცვლილებები მნიშვნელობის გაფართოვების ან მეტაფორული

გადატანის შედეგად წარმოგვეჩინა. მაგალითად: *accusé de réception* (ქვითარი)-ინტერნეტით ინფორმაციის მიღების დასტური; *aiguillage*-(ისრების გადაყვანა)-პროგრამების განსხვავებულ სექციებში მუშაობის მონაცვლეობითი გადასვლის რეჟიმი; *puits*-(ჭა)-დანადგარი-ინფორმაციის მიმღები; *verrou*-(ურდული)-კოდი, რომელიც ინფორმაციის მიღების საშუალებას არ იძლევა და სხვა.

კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემის დამახასიათებელი თავისებურებაა ორი მნიშვნელოვანი სფეროდან დიდი რაოდენობით სესხება. ესენია: ლინგვისტიკა და მედიცინა. ლინგვისტიკასთან არსებობს მისი ერთგვარი მსგავსება. კომპიუტერის მუშაობა პროგრამირების ენებს ეფუძნება. მედიცინასთან მისი მსგავსება იმიტომ არსებობს, რომ „ხელოვნური ინტელექტი“ ადამიანის ინტელექტის ანალოგიით შეიქმნა, მას ადამიანისათვის დამახასიათებელი მრავალი „პრობლემა“ გააჩნია.

ასე მაგალითად, ენათმეცნიერებიდან, კომპიუტერულ ტერმინოლოგიურ სისტემაში შევიდა შემდეგი ტერმინები: *alphabet* (ანბანი)-პროგრამირების ენის საბაზისო ელემენტების ერთობლიობა; *analyse lexicale* (ლექსიკური ანალიზი)-მანქანის ენაზე პროგრამის ენის გადაყვანის პირველი ფაზა, *caractère* (ასო)-ენობრივი ნიშანი; *comparaison* (შედარება)—ოპერაცია, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს ურთიერთმიმართება ორ მონაცემს შორის; *contexte*(კონტექსტი)-სტრუქტურირებული ინფორმაციის ერთობლიობა; *dictionnaire* (ლექსიკონი)-ბეჭდური ფორმით სიმბოლოთა მისამართების ნუსხა; *écriture*(ხელწერა)-ინფორმაციის რეგისტრაცია მეხსიერებაში; *grammaire* (გრამატიკა)-წესების ერთობლიობა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს ენის პროგრამირების სემანტიკა და სინტაქსი და სხვა. ეს ტერმინები ლინგვისტიკიდანაა ნასესხები. უნდა აღინიშნოს ასევე ის ტერმინები, რომლებიც მედიცინიდან მოხვდა კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში. მაგალითად: *diagnostic* (დიაგნოსტიკა)-შეტყობინება, რომელიც პროგრამის რეალიზაციას ახლავს და რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროგრამის სათანადო ფუნქციონირების შესახებ, ან კიდევ შესაძლო შეცდომების შესახებ; *distortion* (დაჭიმვა) – სიგნალის დეფორმაცია არხში გავლის დროს; *réseau de neurones* (ნეირონების სისტემა)-სისტემა, რომელიც

ელემენტარული უჯრედებისაგან შედგება; *purge*(ოყნა)*d'un fichier*-მეხსიერების გაწმენდა; *virus* (ვირუსი)-კომპიუტერული ვირუსი და ა.შ.

კომპიუტერულ სისტემაში გვხვდება ასევე ადამიანური საქმიანობისათვის დამახასიათებელი სიტყვების გადააზრების შემთხვევები. მაგალითად: *arbre*— ინფორმაციის განსხვავებული ელემენტების იერარქიული სტრუქტურა; *drapeau*-ნიშანი ეკრანზე და სხვა.

კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში გვხვდება სემანტიკური ველის იგივე სიტყვები: *arbre* (ხე)-ინფორმაციის განსხვავებული ელემენტების იერარქიული სტრუქტურა; *arborescence* (ხის ვარჯი)-გრაფიკული სტრუქტურა, რომელიც ერთმანეთთან განსაკუთრებული გზებით დაკავშირებული ელემენტებისაგან შედგება; *feuille* (ფოთოლი)-ინფორმაციის იერარქიული სტრუქტურის საბოლოო ელემენტი; *racine* (ფესვი)-სეგმენტირებული პროგრამის ძირითადი ნაწილი; *bibliothécaire* (ბიბლიოთეკარი)-საექსპლოატაციო სისტემების არქივებისა და კატალოგების მართვის დამხმარე პროგრამა; *bibliothèque* (ბიბლიოთეკა)-წინასწარ შედგენილი და შემუშავებული პროგრამებისა თუ პროცედურების ერთობლიობა, რომლებიც განკუთვნილია პროგრამისტებისათვის; *catalogue*(კატალოგი)-პროგრამების ნუსხა, რომლებსაც ბიბლიოთეკა შეიცავს და ა.შ.

ფრანგულ ენაში მრავლადაა სინონიმები. ერთი სიტყვის კვალდაკვალ სხვა სიტყვები, რომლებიც იმავე ლექსიკო-სემანტიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან, ანალოგიურ გადატანით მნიშვნელობას იღებენ. საერთოდ, ტერმინებისათვის არაა მისაღები სინონიმების არსებობა. თუმცა, ეს იდეალურ ტერმინს ეხება. რეალურ ცხოვრებაში ძნელია თავი აარიდო ტერმინთა სინონიმების არსებობას, თუნდაც მიზანმიმართული რეგულირების საშუალებითაც კი. დიდი რაოდენობით გვხვდება ასევე ტერმინოლოგიური დუბლეტები. ზოგჯერ საერთო გამოყენების სიტყვა იცვლის მნიშვნელობას, და მისი სინონიმი ტერმინოლოგიის შემადგენლობაში ხვდება. მაგალითად სინონიმური წყვილებია: *ancre* (ლუზა)- *point d'ancrage* (ლუზის ჩაშვების ადგილი) -დოკუმენტის საწყისი ან ბოლო ზონა, სადაც გადატანის ადგილი მდებარეობს; *barrière de sécurité*(დამცავი ბარიერი)-*pare-feu*-(ცეცხლსაწინააღმდეგო დანადგარი) პროგრამა, რომელიც მიღებულ ინფორმაციას ვირუსების არსებობის

შესახებ ამოწმებს; *champ* (ველი)- *zone*(ზონა)-ჩანაწერის ნაწილი, რომელიც ერთი ტიპის მონაცემებს შეიცავს; *chiffrement*(ინფორმაციის კოდირება)-*cryptage* (ინფორმაციის კოდირება)-დამცავი პროცედურა, რომელიც ინფორმაციის კოდირებისაგან და მისი გაშიფვრის გასაღებისაგან შედგება; *conflit*(კონფლიქტი)-*collision*(შეტაკება)-კომპიუტერის მუშაობის დროს ხარვეზი, როდესაც ერთდროულად ორი პროგრამა გახსნილი, რომელიც ერთი რესურსის წვდომას ითხოვს; *console*(სადგარი)-*pupitre*(პიუპიტრი, პულტი)-დიალოგის მართვის პროცედურა მომხმარებელსა და ცენტრალურ კომპიუტერს შორის; *contrôleur d'accès* (კონტროლიორი)-*portier* (პორტიე)-პროგრამა, რომელიც მომხმარებლის წვდომის ოფიციალურობას აკონტროლებს; *nettoyeur* (მეეზოვე)-*ramasse-miettes*(დამლაგებელი)-პროგრამა, რომელიც კომპიუტერის მეხსიერების გასასუფთავებლად გამოიყენება; *pièce jointe*(თანდართული დოკუმენტი)-*fichier joint* (თანდართული დოკუმენტი)-მიზმული მონაცემები და სხვა.

ვ.გაკის თქმით, ბევრ ფრანგულ ტერმინს საფუძვლად მეტაფორული გადააზრება უდევს, ამასთან ერთად ნომინაციის პროცესში გარეგნული ნიშნები გამოიყენება, რომლებიც ნაკლებადაა დაკავშირებული მის დანიშნულებასთან.

კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მეტაფორიზაცია ნომინაციის ყველაზე პროდუქტიულ საშუალებას წარმოადგენს. მაგალითად: *chien de garde*-დამცავი პროგრამა, *devoreur de nombres*—ზემძლავრი კომპიუტერი; *grappe*-ერთგვაროვანი დანადგარების ერთობლიობა(კომპიუტერების, ტერმინალების), რომლებიც მართვის ერთ პულტთანაა მიერთებული; *ping-pong*-ინფორმაციის გადაცემა ერთი ტერმინალიდან მეორეზე და ა.შ.

ზოგჯერ მეტაფორული გადააზრება ცნებათა მთელ ჯგუფს ეხება. მაგალითად: *héritage* (მემკვიდრეობა)-პროგრამების შედგენის საბაზისო კონცეპტი, რომელიც „ნათესაობის“ (*parenté*) პრინციპს იყენებს. თუკი პროგრამა იქმნება როგორც უკვე არსებული პროგრამის სახესხვაობა, „მშობელი პროგრამის“ ყველა თვისება და მეთოდი ავტომატურად წარმოებულ პროგრამაზე გადადის: *logiciel -parent -logiciel — enfant*. თუკი ახალ პროგრამულ პროდუქტს მხოლოდ ერთი საწყისი აქვს, მაშინ საუბარია *héritage simple*-ზე. მაგალითად: *N'avoir qu'un seul parent*. იმ შემთხვევაში,

თუკი რამდენიმე საწყისი პროგრამა გვაქვს, საუბარია „რამდენიმე ნათესავისაგან მიღებულ მემკვიდრეობაზე“ - *héritier de plusieurs parents, héritage multiple*.

ფრანგულ ენაში გვაქვს კომპიუტერული ტერმინების უამრავი სინონიმური რიგი, რომელიც მეტაფორული გადააზრების შედეგად იქნა მიღებული. ესენია: *la messagerie, un moniteur, un moteur de recherche, un navigateur, un ordinateur portable, une page d'accueil, une page web, un pare-feu, une pièce jointe, un pirate, un portail, un répertoire, un scanneur, un serveur, une souris, un tableur, un attachement, une barrière de sécurité, un calculateur, une cellule, un cheval de Troie, une contribution, déboguer, le dégroupage, le détournement d'adresse, un disque compact, un écran de contrôle, l'effacement, un fichier des questions courantes, un fil de la discussion, formater, fusionner, un gestionnaire de périphérique, glisser-déposer, un grapheur, une grappe, un hameçonnage, un hypertexte, instaurer, l'interférence, la ligne d'accès, lister, un logiciel d'enseignement, un mémoire cache, un ordinateur de poche, un adaptateur-un décodeur, l'administrateur de site -le webmaster; l'arrosage-le bombardement—le spamming, une adresse, une apliquette, une arrobasse, l'assistance en ligne, le cadre, une calculette, un cédérom, le courriel électronique, cliquer, compresser, configurer, la convivialité, un curseur, un écran tactile, une fenêtre, un fichier, la foire aux questions (FAQ), un format, le forum, un fournisseur d'accès, une icône, l'Internet sans fil, une intruse, un lien, en ligne, un logiciel éducatif, mél., un paquet, un pointeur, une police de caractères, un réseau local, restaurer, la visualisation, la syndication, un tutoriel, un additif, un ancre, l'anneau de sites, l'antémémoire, une ardoise électronique, la balise, une bogue, une broche de raccordement, le brouillage, un message incendiaire, le canular, le correctif, le décalage, la défaillance, un filoutage, un écran témoin, un fouineur, une invite, implanter, un logement, un magasin de données, une manche à balai, un marquage, une mappe, un minimessage, un moteur de balayage, un mouchard, le nommage, un numériseur, une page sur la toile, pair à pair, une patte de sortie, un pavé tactile, un pilote de périphérique, poste à poste, un programme malveillant, la réalité virtuelle, une requête, une réseautique, une retouche, une surbrillance, un survol, un témoin de connexion, un tirage, une vignette, une visite, cliché, désembrouiller, implémenter, un ludiciel, une morphose, la réalité de synthèse, riper.*

ტერმინოლოგიური მეტაფორიზაცია ტერმინოლოგიური ნომინაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხერხს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრულ პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ცნებების, საგნების და პროცესების კატეგორიზაციაში მონაწილეობს.

მეტაფორიზაციის პროცესის ანალიზი შეიძლება ჩავატაროთ კოგნიტიურ საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, თუ რა უდევს საფუძველად მეტაფორიზაციას, კონცეპტუალურ კავშირებს, კონცეპტების ასოციაციური ურთიერთქმედების მექანიზმებს და მოდელებს.

მეტაფორა განიხილება, როგორც ლინგვოშემოქმედებითი კოგნიტიური პროცესის შედეგი, რომელზეც უშუალო ზემოქმედებას ახდენს ენა და მოცემული კულტურისათვის დამახასიათებელი სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ხერხი.

ახალი ტერმინოლოგიური ერთეულების სემანტიკის ჩამოყალიბების დონეზე, მეტაფორიზაცია შეისწავლება, როგორც გარკვეული კოგნიტიური ოპერაციების კომპლექსი, რომლის შედეგადაც ენაში უკვე არსებულ სიტყვას ახალი მეტაფორული მნიშვნელობა ენიჭება, ან კიდევ მნიშვნელობის ფორმირება ახალი ან ნაწილობრივ მოდიფიცირებული მენტალური სივრცის ფონზე ხდება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აღსაწერად ყველაზე რთული კოგნიტიური ასპექტია. ტერმინოლოგიისათვის კოგნიტურმა თეორიამ უნდა გასცეს იმ შეკითხვებზე პასუხი, რა შეკითხვებსაც კოგნიტიური ლინგვისტიკა სვამს. კერძოდ: 1) როგორ ახდენს ადამიანი სინამდვილის კონცეპტუალიზაციას და შემეცნების სტრუქტურირებას? 2) როგორია კონცეპტები, როგორ განვსაზღვროთ ისინი, რა ურთიერთმიმართებაში იმყოფებიან ისინი, როგორ ხდება მათი განლაგება შემეცნების სისტემაში? კოგნიტიური ტერმინოლოგია შეისწავლის ასევე სპეციფიკურ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ტერმინების ურთიერთობა საქმიანობის სპეციალური სფეროს კონცეპტებთან.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის წარმოქმნის პროცესში მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოცემულ სფეროში განვსაზღვროთ მეტაფორული ასოციაციების სემანტიკური სტრუქტურა. დესკრიფციულ თეორიაში მეტაფორას აღწერენ, როგორც

სიგნიფიკატიური და დენოტატიური დესკრიპტორების ერთობლიობას, რომლებიც შესაბამისად წყაროს სფეროს და მეტაფორული პროექციის სფეროს მიზანს წარმოადგენენ (ლაკოფი, ჯონსონი 1981: 390).

დესკრიფტორების ენა საშუალებას იძლევა შეფასდეს მეტაფორული მოდელები, დისკურსში მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით. განვიხილოთ მეტაფორული მოდელები საგნების ფორმისა და შინაარსის მიხედვით.

მეტაფორული გადააზრების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ორი ქვეჯგუფი: შედარება ხდება პერცეფციული, უმეტესად ვიზუალური, ან კიდევ კოგნიტიური წესით. მაგალითად, შედარება პროცესისა და შედეგის მიხედვით:

diagnostic -(მედიცინაში-დიაგნოსტიკა; ინფორმატიკაში-პროგრამის ან კომპიუტერის მუშაობაში ხარვეზების აღმოჩენა; *distorsion*-(მედიცინაში-დაჭიმვა; ინფორმატიკაში-არხში გავლისას სიგნალის დეფორმაცია).

შედარება მიზეზობრივი თვალსაზრისით: *donnée parasite*-(მედიცინაში-პარაზიტები, რომლებიც დაავადებას იწვევენ; ინფორმატიკაში-პარაზიტული მონაცემები, რომელსაც შეუძლიათ კომპიუტერის „დაავადების“ გამოწვევა); *virus*-(ვირუსი, ადამიანის ვირუსის ანალოგიით, რომელსაც შეუძლია კომპიუტერის „დაავადების“ გამოწვევა).

შედარება ფორმის მსგავსების მიხედვით: *clone*-(ბიოტექნოლოგიაში-ორგანიზმი, რომელიც გენეტიკურად საწყისის იდენტურია; ინფორმატიკაში- სისტემა, რომელიც სხვა სისტემის ან დანადგარის მოდელის მიხედვითაა შექმნილი, რომელიც სრულიად შეთავსებადია საწყისს სისტემასთან); *vocabulaire*-(ლინგვისტიკაში-ლექსიკური მარაგი; ინფორმატიკაში-კომპიუტერში საბაზისო ინფორმაციული ელემენტების ერთობლიობა); *dictionnaire*-(ლინგვისტიკაში ლექსიკონი, ხოლო ინფორმატიკაში სიმბოლური და გადამყვანი პროგრამული მისამართების ლექსიკონი).

შედარება ვითარების გარემოების მიხედვით: *harponnage*-(თევზის ჭერა ჰარპუნით ან კიდევ ანკესით; ინფორმატიკაში-ადრესატის შესახებ საიმედო ინფორმაციის ჩართვის ხერხები, რომ მომხმარებლის მხრიდან სპამისადმი ნდობა

გამოიწვიოს); *mémorisation*-(ადამიანის მიერ ინფორმაციის დამახსოვრების ანალოგია-კომპიუტერის მეხსიერებაში მონაცემების შეყვანა); *attaque*-(შეტევის, თავდასხმის ანალოგიით, ინფორმატიკაში აღნიშნავს კომპიუტერის დაცვის „გატეხვის“ მცდელობას).

შედარება საქმიანობის სფეროს მიხედვით:*architecture*-(ყოველდღიურ ცხოვრებაში-არქიტექტურა; ინფორმატიკაში-კომპიუტერის, პროცესორის, პროგრამის, ინფორმაციული სისტემის ნაწილების შეერთების წესების ერთობლიობა); *apprentissage*-(ყოველდღიურ ცხოვრებაში-სწავლა; ინფორმატიკაში-ზოგიერთი პროგრამის თვისება „თვითსწავლებისათვის“, ანუ შუალედური შედეგების გამოყენება შემდგომ მუშაობაში); *audit informatique*-(ეკონომიკის სფეროში- აუდიტი, საწარმოთა საქმიანობის ანალიზი ხარვეზების გამოვლენის მიზნით; ინფორმატიკაში-ინფორმაციული ცენტრების საქმიანობის ამომწურავი ანალიზი).

შედარება პერცეფციულ დონეზე. შედარება გარეგანი ფორმით. პერცეფციული წესით მეტაფორული გადატანის მქონე ტერმინებს შორის, ძირითადად, გვხვდება გარეგნული ფორმით ანალოგიები. მაგალითად: *grappe*-(ვიზუალური ასოციაცია-ყურძნის მტევანი-იმავე პრინციპით, ერთ საკონტროლო პუნქტთან მიერთებული რამდენიმე მსგავსი დანადგარი-კომპიუტერები); *fenêtre*-(კომპიუტერის ეკრანზე ფანჯარა-მართკუთხა ნიშანი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია განსაზღვრული საქმიანობის შესახებ); *vignette*-(პატარა ნიშანი წიგნში, ნიშანი, რომელიც ავტომობილის დაზღვევას მოწმობს; ანალოგიით-ნიშანი ეკრანზე, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ სრული გამოსახულება, თუკი მას გავადიდებთ); *balise*-(ტრანსპორტში-შემზღუდავი ბოძი; ინფორმატიკაში-დოკუმენტზე ჩასანიშნი); *drapeau*-(ყოფაცხოვრებაში დროშა, ტილო, რომელსაც სპეციალური შეფერილობა აქვს; ინფორმატიკაში-ნიშანი, რომელიც ერთი პროგრამიდან მეორეზე გადართვის საშუალებას იძლევა); *souris*-(თაგვი-შედარება გარეგნული ნიშნით ხდება, პატარა და ნაცრისფერი, კუდიით, რომელიც ხალიჩაზე დარბის).

მეტაფორული მოდელი ობიექტების ფუნქციის მიხედვით. ამ შემთხვევაში ასოციაცია ადამიანის ფუნქციებთან ხდება. მეტაფორული გადააზრების რიცხვში, რომლებიც კოგნიტიურ წესს ეფუძნება, განსაკუთრებული ადგილი ანთროპომორფულ

მეტაფორას უკავია, რომელიც მნიშვნელობით მეორე ადგილზეა კომპიუტერულ ტერმინოლოგიურ სისტემაში. მაგალითად, დიდია იმ ტერმინთა რიცხვი, რომლებიც პროგრამებს აღნიშნავენ, რომელთა სახელდება ადამიანს უკავშირდება, რომელიც ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს. მსგავსი წესით იქმნება ტერმინები დანადგარების სახელწოდებით. მაგალითად: *assistant*-(ყოველდღიურ ცხოვრებაში-დამხმარე; ინფორმატიკაში-დამხმარე პროგრამა, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის სამართავად განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად); *éditeur*-(ადამიანი-გამომცემელი; ინფორმატიკაში-ფაილების დასაბეჭდი სერვისის პროგრამა); *interpréteur*-(ადამიანი-მთარგმნელი; ინფორმატიკაში- პროგრამა ან პროცესორი, რომელსაც პროგრამის მანქანურ ენაზე სათარგმნად იყენებენ); *lecteur*-(ადამიანი-მკითხველი; ინფორმატიკაში-დანადგარი, სხვადასხვა მატარებლის მიხედვით ინფორმაციის დასათვლელად); *résident*-(ადამიანი - რეზიდენტი; ინფორმატიკაში-პროგრამა, რომელიც მუდმივად ინახება ცენტრალურ მეხსიერებაში); *superviseur*-(ადამიანი-ზედამხედველი; ინფორმატიკაში-მაკონტროლებელი პროგრამა); *traducteur*-(ადამიანი- მთარგმნელი; ინფორმატიკაში-ნებისმიერი პროგრამა, რომელსაც უნარი აქვს საწყისი პროგრამა-წყარო მანქანურ ენაზე გადაიყვანოს); *courtier*-(ადამიანი-ბროკერი, შუამავალი; ინფორმატიკაში პროგრამა-შუამავალი სერვერსა და მომხმარებელს შორის); *témoin de connexion*-(ადამიანი-მოწმე; ინფორმატიკაში-კონტროლის პროგრამა, რომელიც ინტერნეტის მომხმარებლის ქცევას აკონტროლებს); *portier*-სინონიმი: *contrôleur d'accès*(ადამიანი-კონტროლიორი; ინფორმატიკაში-პროგრამა, რომელიც ქსელის წვდომის კანონზომიერებას ამოწმებს); *pilote*-(ადამიანი-პილოტი; ინფორმატიკაში-პროგრამის ელემენტი, რომელიც პროცესით მართვას ახორციელებს).

ანთროპომორფული მეტაფორების ფორმირება ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობების ანალოგიით ხდება. მაგალითად: *système client-agent-serveur, modèle client-serveur*, ან კიდევ უსულო საგნებს მიაწერენ ადამიანის თვისებებს: *système expert, système propriétaire, terminal intelligent* და ა.შ.

ტექნიკური ხელსაწყოების ფუნქციებთან ასოციაცია. ხშირად ასოციაციები წარმოიქმნება ტექნიკის სფეროსთან ასოციაციით, რაც სავსებით ბუნებრივია, თუ

გავითვალისწინებთ იმას, რომ ინფორმატიკა ტექნიკის სფეროს განეკუთვნება. მაგალითად: *accumulateur*-(აკუმულატორი-ტექნიკაში გამოიყენება ელექტროენერჯის მარაგის შესაქმნელად; ინფორმატიკაში-კომპიუტერის ლოკალური დისკი, რომელიც განკუთვნილია მიმდინარე მონაცემების შესანახად); *générateur*-(ტექნიკაში-დენის გამოსამუშავებელი მექანიზმი; ინფორმატიკაში-პროგრამა, რომელიც გამოიყენება ერთგვაროვანი მონაცემების შესაქმნელად, მაგალითად გრამატიკული სავარჯიშოების, მელოდიების); *accélérateur*-(ტექნიკაში აქსელერატორი-დანადგარი, რომლითაც ძრავას გაზი მიეწოდება; ინფორმატიკაში ანალოგიით ნიშნავს-ოპერაციის დაჩქარების ხერხს) და სხვა.

ასოციაცია ობიექტის ფუნქციით ლინგვისტიკის სფეროში: *langage*-(ინფორმატიკაში ეს ტერმინი ადამიანური ურთიერთობის ენის ანალოგიით აღნიშნავს ენობრივ ნიშანთა და წესთა ერთობლიობას, იმ მიზნით, რომ პარტნიორთან ურთიერთობის უზრუნველყოფა მოხდეს); *redondance*-(ლინგვისტიკაში-ენობრივი სიუხვე; ინფორმატიკაში- ხერხი, რომელიც გამოიყენება პროგრამა-კორექტორში და მდგომარეობს გადასაცემ ინფორმაციაზე სხვა ინფორმაციის დამატებას, რომელიც გამოთვლილია პირველ ინფორმაციაზე განსაკუთრებული ალგორითმული სიდიდით); *alphabet*-(ანბანის ანალოგიით ინფორმატიკაში პროგრამირების ანბანის ენა); *mot*-(ენის ერთეულის “სიტყვასთან” ანალოგიით, რომელიც ცნებათა, საგნების, პირთა და მოქმედებების და ა.შ. სახელდებისათვის გამოიყენება; ინფორმატიკაში-კომპიუტერში საბაზისო ინფორმაციის ელემენტი).

მედიცინის სფეროში ობიექტის ფუნქციებთან ასოციაცია. მაგალითად: *sonde*-(მედიცინაში-ზონდი, რომელიც საშუალებას იძლევა შინაგან ორგანოში მისი შეყვანით დადგინდეს დაავადება; ინფორმატიკაში-პროგრამა, რომლითაც დისტანციურად შესაძლებელი ხდება ქსელში არსებული ხარვეზის დადგენა); *purge d'un fichier*-(მედიცინაში - ოყნა; ინფორმატიკაში-კომპიუტერის მეხსიერების წმენდა).

საყოფაცხოვრებო სფეროში არსებული ობიექტის ფუნქციასთან ასოციაცია. მაგალითად: *signature*-(ყოფაცხოვრებაში-ხელმოწერა; ინფორმატიკაში- კოდირებული მონაცემები, რომლითაც შესაძლებელია მომხმარებლის ინდენტიფიცირება); *logement*-(ყოფაცხოვრებაში-საცხოვრებელი; ინფორმატიკაში-პორტი); *verrou*-(ყოფაცხოვრებაში-

ჩამკეტი დანადგარი; ინფორმატიკაში-კოდი, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის წვდომის მისაღებად); *boîte à outils*-(ყოფაცხოვრებაში-ყუთი ინსტრუმენტებით; ინფორმატიკაში-პროგრამების ნაკრები, რომელიც საშუალებას იძლევა გამარტივდეს პროგრამირება უმარტივესი ოპერაციის ნაკრების ხარჯზე); *menu*-(ყოფაცხოვრებაში-მენიუ, რესტორანში კერძების ჩამონათვალი; ინფორმატიკაში-კომპიუტერით სარგებლობის პროცესში ოპციის არჩევანი).

ბუნებაში არსებული ობიექტის ფუნქციასთან ასოციაცია. მაგალითად: *racine*-(ფესვები; ინფორმატიკაში-სეგმენტური პროგრამის ძირითადი ნაწილი; ის შეიცავს მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია სხვა სეგმენტების გამოსაყენებლად); *ver logique*-(ანალოგია ჭიასთან ხდება; ინფორმატიკაში დაპროგრამებული ინსტრუქცია, რომელსაც ქსელში დამოუკიდებლად ჩანერგვის უნარი აქვს).

პერცეფციული ხასიათის მეტაფორების კატეგორიიდან, ძირითადად გვაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ ობიექტებთან ასოციაციის მაგალითები: *passerelle*-(ხიდი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს განსხვავებული სისტემების, პროგრამებისა და დანადგარების შეთავსებას); *talon*-(ყოფაცხოვრებაში-ჩვეის წიგნაკში ამოსახვეი ტალონის ძირითადი ნაწილი, ქვითარი; ინფორმატიკაში-ინტერფეისის პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს კომუნიკაცია სერვერსა და მომხმარებელს შორის).

არსებობს მეტაფორები ობიექტების თვისებების, მდგომარეობის მიხედვით. მაგალითად: *immeuble intelligent*-(„ჭკვიანი“ შენობა, რომელიც წინასწარაა მომზადებული ყველა აუცილებელი ტელე და კომპიუტერული კომუნიკაციის განსახორციელებლად); *convivialité*-(ადამიანის თვისება-სტუმართმოყვარეობა გადადის კომპიუტერზე, რომელიც შეიძლება იყოს „თავაზიანი“, „კეთილგანწყობილი“ მომხმარებელთან მიმართებაში); *fiabilité*-(ადამიანის თვისება-საიმედოობა გადადის ინფორმაციულ სისტემებზე, რომლებსაც გარკვეული დროის განმავლობაში ხარვეზების გარეშე მუშაობა შეუძლიათ); *maturité d'un processus*-(ადამიანის თვისება- მოწიფულობა - გადატანილია პროცესზე და აღნიშნავს საწარმოს ან სპეციალისტთა ჯგუფის მზადყოფნას მოცემული პროცესი მართოს).

ადამიანის ან საზოგადოების მდგომარეობასთან ასოციაცია. მაგალითად: *famine*-(შიშხილი; ინფორმატიკაში-აუცილებელი რესურსის ან პროცესის წვდომის არქონა); *conflict*-(კონფლიქტი-ინფორმატიკის სფეროში, რომელიც ერთნაირი რესურსის საჭიროებით ოპერაციის ერთდროული განხორციელების დროს წარმოიქმნება).

უსულო საგნების თვისებებთან ასოციაცია. მაგალითად: *traçabilité*-(გამჭვირვალობა, კონტროლი; ინფორმატიკაში-რეგისტრირებული მონაცემების მეშვეობით ინფორმაციის კონტროლის უნარი); *transparence*-(გამჭვირვალობა; ინფორმატიკაში-სისტემის თვისება ექსპლუატაციის დროს არ გამოვალინოს სირთულეები); *volatilité*-(აქროლადობა; ინფორმატიკაში-მეხსიერების მონაცემების დაკარგვის თვისება ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის დროს); *lisibilité*-(ტექსტის ხელწერის თავისებურება-კითხვის სიმსუბუქე-ხდება პროგრამის თვისება, რომლის აგებისა და გამოყენების პრინციპი ადვილი გასაგებია) და სხვა.

კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მეტაფორების მაგალითები საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხდება.

2.2 ინგლისური ენიდან ნასესხები კომპიუტერული ტერმინები

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ინტერნაციონალიზაციის შედეგად, ტერმინების სესხება ტერმინების წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. სანამ ინგლისური ენიდან კომპიუტერული ტერმინოლოგიის სესხებას განვიხილავთ, უნდა ვისაუბროთ ბერძნულ-ლათინურ ნასესხობებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინფორმატიკის სფეროს გამდიდრების თვალსაზრისით.

ა.სუპერანსკაიას აზრით, „ბერძნულ-ლათინური ელემენტები ძირითადად ნეიტრალურ ფონდს წარმოადგენს. ისინი არცერთ ცოცხალ ენას არ განეკუთვნებიან, თუმცა ამავე დროს, თანაბრად ყველა ენის კუთვნილებაა (ყოველ შემთხვევაში ყველა იმ ენის, რომელიც ევროპულ ლინგვოკულტურულ არეალში შედის)“ (სუპერანსკაია, პოდოლსკაია 1989:204).

ინფორმატიკის სფეროში ახალმა ტერმინებმა მნიშვნელობები შეიცვალა. მაგალითად: *macro-ordinateur* - საშუალო და დიდი სიმძლავრის კომპიუტერია; *micro-ordinateur*-ერთი მიკროპროცესორის საფუძველზე შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერია, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის დასამუშავებლად, *mini-ordinateur*-მცირე ზომის კომპიუტერი, რომელსაც ლოკალური დანიშნულებით იყენებენ.

ბერძნულ-ლათინური სიტყვათწარმოებითი მოდელების თვალსაზრისით, უნდა გამოვყოთ შედგენილი ტერმინები და ასევე სიტყვათწყობის შედეგად მიღებული ფორმები. შედგენილი ტერმინების რაოდენობა ბევრი არ არის. მაგალითად: *génie informatique*-ინფორმატიკული ინჟინერია, რომელიც სწავლობს ტექნიკური და პროგრამული ინფორმატიკული სისტემების შემუშავებას, დამზადებას და განვითარებას. ძირითადად გვხვდება ლექსიკური ერთეულების შეერთებით მიღებული ფორმები. მაგალითად: *routine-coroutine*-პროგრამაში, დამუშავების ერთეულია, რომელიც ენათესავება სტანდარტულ პროგრამას. მისი დროებითი შეჩერებით და შემდეგ მისი განახლებით შესაძლებელია მონაცემების გადაცემა. ის საშუალებას იძლევა მოახდინოს მონაცემთა დამუშავება ალგორითმული გამოთვლებით; *chiffrement*-ინფორმაციის ტრანსფორმაციის პროცესია ისეთი სახით, რომ ის გაუგებარი ხდება ყველა ადამიანისათვის ადრესატის გარდა; *déchiffrement*-ეს

პროცესი ემსახურება ინფორმაციის გადამუშავებას, რომ ის კვლავ გასაგები გახდეს; *commutateur* -გადამრთველი; *autocommutateur*- ავტომატური სატელეფონო კომუტატორი;

ტერმინების წარმოქმნის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად პროდუქტიული ბერძნული პრეფიქსებია: *auto-*, *co-*, *con-*, *de-*, *dicho-*, *dia-*, *ex-*, და სხვა. მაგალითად: *autocommutateur*-ავტომატური სატელეფონო კომუტატორი; *connexion*-ქსელთან მიერთება; *contention*-ტელეკომუნიკაციაში არხის ფუნქციონირება, რომელზეც რამდენიმე მაუწყებლობას შეუძლია ერთდროულად ინფორმაციის გადაცემა. ამ დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული კოლიზიის მართვის სისტემა; *coroutine*, *débogage*-ინფორმატიკული პროგრამის შემუშავების ხარვეზი, რომელიც დისფუნქციის შედეგია; *diagramme*-დიაგრამა; *diaphonie*- ერთი სიგნალის მეორეზე ინტერფერენცია და ა.შ. საკმაოდ პროდუქტიული პრეფიქსები: *micro/macro*, *multi*, *mini*, *meta*.

ბევრ ტერმინში გვხვდება ტერმინოლოგიური ელემენტები: *gramme*, *graphie*, *génie*, რომელთაც თავიანთი მნიშვნელობები აქვთ. ასე მაგალითად: *chronogramme*- ელექტროსიგნალის დროებითი ევოლუციის გრაფიკული გამოხატულება; *datagramme*- უწოდებენ მონაცემთა გადაცემას „არასანდო“ სერვისის მეშვეობით; *organigramme*-ბლოკ-სქემა; *pictogramme*-პიქტოგრამა; *diagramme*-დიაგრამა; *magnéthographie*-ციფრული ბეჭდვის ტექნიკა; *holographie*-საგნის მიერ დეფრაქციული ტალღის ამპლიტუდა და რეგისტრაციის პროცედურა. ის საშუალებას იძლევა შემდგომში აღვადგინოთ საგნის სურათი სამ განზომილებაში; *cryptographie*-კრიპტოგრაფია, შეტყობინების დაცვის ფორმა; *cryogénie*-დაბალი ტემპერატურის წარმოქმნის კვლევა, რომლის მიზანია მასში გამოხატული ფიზიკური მოვლენების გაგება; *infogénie*-ყველასათვის განკუთვნილი ინჟინერიის სამსახური და სხვა.

ტერმინოლოგიური ლექსიკის ანალიზის დროს, ლინგვისტები დიდ ყურადღებას პოლისემიის, სინონიმის, ომონიმის და ანტონიმის პრობლემებს უთმობენ. ლექსიკურ სისტემაში სემანტიკური ურთიერთობა ისეთი ტერმინების შექმნით ივსება, რომელთაც უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ. ძირითადად, ეს არსებით სახელებში ხდება.

ხშირად გვხვდება ტერმინი უარყოფითი კონოტაციით, რომელსაც დადებითი მნიშვნელობის შესატყვისი ფორმა არა აქვს. მაგალითად: *débogage*-პრობლემის აღმოფხვრა პროგრამაში (ტერმინი *bogage* არ არსებობს) ან *déroutement* - პროგრამის მუშაობაში ხარვეზები ინფორმაციის გადაცემის არხების დარღვევის ხარჯზე, (ანტონიმი არის არა *routement*, არამედ *routage*-ინფორმაციის არხების დარეგულირება); *débordement*—ზედმეტი გადატვირთვა (ტერმინი *bordement* არ არსებობს, თუმცა არსებობს ტერმინი *bord*- კიდე, ზღვარი).

კომპიუტერული ტერმინების საწარმოებლად ყველაზე პროდუქტიული პრეფიქსებია: *dé-* და *anti-*: *antivirus*-ანტივირუსული პროგრამა. მაგალითები: *dé-*გამოხატავს საპირისპირო მოქმედებას: *branchement*-ჩართვა; *débranchement*-გამორთვა; *chiffrement*-ინფორმაციის კოდირება; *déchiffrement*-ინფორმაციის დეკოდირება; *connexion*- ქსელთან მიერთება, *déconnexion* - ქსელიდან გამორთვა და სხვა.

თუმცა პრეფიქსი *dé-* პოლისემანტურია და ზოგ შემთხვევაში არ გააჩნია საპირისპირო მნიშვნელობა, ან საერთოდ არ წარმოქმნის ანტონიმს: *groupage*-სემანტიკურ ჯგუფებში პროგრამის ელემენტების გაერთიანება; *dégroupage*-დანადგარების, ექსპლუატაციური და გამოყენებითი პროგრამებისა და სერვისების დანადგარების მიწოდება მწარმოებლისაგან კომპიუტერის მიტანის დროს; სინონიმებია: *débottelage/délimitation*-ბაიტებისა და ნიშნების განცალკევება; ტერმინი *délimitation* არ წარმოადგენს ტერმინის *limitation*-შეზღუდვა, ანტონიმს და ა.შ.

ამგვარად, ტერმინების წარმოქმნა ბერძნულ-ლათინური ელემენტების ბაზაზე საკმაოდ პროდუქტიული ხერხია ინფორმატიკის სფეროში. ვინაიდან, კომპიუტერი ამერიკული „ქმნილება“, ინგლისური ენა კი ლექსიკური ენა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ახალი ცნებისათვის, ახალი სიტყვა იქმნება, შესაბამისად, კომპიუტერული ტერმინებიც ინგლისურ ენაზეა შექმნილი. ანგლიზიცმების კვლევით დაინტერესებული არიან ისეთი ლინგვისტები, როგორებიცაა დ.ლოტე, ვ.გაკი, ვ.თელია, ჟ. ბულანჟე, ლ.ჰოფმანი, ვ.შმიდტი. ბევრი ლინგვისტი ფიქრობს, რომ უცხოური ტერმინის ენაში მოხვედრისას, შეიძლება აზრობრივ შეუსაბამობას ჰქონდეს

ადგილი, რომლებშიც შეიძლება რამდენიმე ტიპი გამოვყოთ. ასე მაგალითად გ.რონდო (1981) გამოყოფს შემდეგ შემთხვევებს:

1. მაგალითად ტერმინი ერთ ენაში შეიძლება შეესაბამებოდეს მეორე ენაში არსებულ ტერმინს. თუ ასე არ ხდება, მაშინ შეუსაბამობის შემთხვევა გვაქვს. მაგალითად: ინგლისურად *computer*-ია, ფრანგულად კი *ordinateur*, ფრანგულში გვაქვს *multiplet, bite*, ინგლისურში *byte*.
2. მიმართება აღსანიშნა და ცნებას შორის ერთ ენაში უფრო ვიწროა, ვიდრე ეს მიმართება მეორე ენაში. ფრანგულში გვაქვს ასევე *micro-ordinateur, canal, mémoire, bourrage, échange*, ხოლო ინგლისურში: *notebook, lap-top channel, channel device memory, storage, jam, padding, stuffing, roll-in, roll-out, swapping*.
3. მიმართება უტოლდება სხვა ენის ორი ცნებისა და მათი აღსანიშნების მიმართებას. მაგალითად ფრანგულად გვაქვს: *carte additionnelle, carte d'extension*, ინგლისურად *add-on card*, ფრანგულად- *moniteur*, ინგლისურად- *monitor display unit*, ფრანგულად- *acheminement, acquittement*, ინგლისურად- *acknowledgement*, ფრანგულად- *compression, compectage*, ინგლისურად- *compression*, ფრანგულად- *crayon électronique, crayon optique*, ინგლისურად- *light pen*.
4. ცნება შეიძლება აღნიშნული იყოს ფრანგულ ენაში ინგლისური ენის მეშვეობით, ვინაიდან ის უცნობია მათთვის, ვინც ფრანგულად საუბრობს. მაგალითად ტერმინი *baud* -მოდულაციის სიჩქარის საზომი ერთეულია ფრანგულ ენაში, ასევე, *micropackaging*-ნახევრადგამტარი ელემენტების შეერთების ხერხები, *midframe* -საშუალო სიმძლავრის კომპიუტერი და სხვა, ფრანგულ ენაში ნასესხობების სახით არსებობს.

უნგრელი მკვლევარი ტიბორ ორში², ნასესხები სიტყვების ანალიზის შედეგად, აღნიშნავს, რომ ფრანგულ ენაში ტერმინებისათვის სხვადასხვა ლინგვისტური ხერხები გამოიყენება იმისათვის, რომ მათი ფრანგული ენისათვის მორგება მოხდეს.

² http://cief.elte.hu/Espace_recherche/Budapest/REF_12_articles/Orsi.pdf, (15.11.2016)

1. ინგლისური ენიდან ლექსიკური ერთეულების ადაპტაცია, ფრანგული ენის ორთოგრაფიული, ფონეტიკური, მორფოლოგიური წესების მიხედვით.
2. ინგლისური წარმოშობის ტერმინების ჩანაცვლება ფრანგული ტერმინებით.
3. ინგლისურიდან მეორადი ნასესხობების ფრანგული ტერმინებით შეცვლა.
4. სინონიმების შერჩევა და დამტკიცება. ტერმინოლოგიური დუბლეტების შექმნა.
5. ფონეტიკურად მოტივირებული ტერმინების შექმნა.

პირველი ჯგუფის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი კომპიუტერული ტერმინები: *compatible/compatible, to compile/compiler, to connect/connecter à, error/erreur, external/externe, to format/formater, hypertext/hypertexte, icon/icone, memory/mémoire, menu/menu, monitor/moniteur, multimédia/multimédia, to select/sélectionner, text/texte, virtual memory/mémoire virtuelle, virus/virus* და ა.შ.

ინგლისური ტერმინების უმრავლესობას ლათინური ან ძველბერძნული წარმოშობა აქვს. ასე მაგალითად, *computer* და *hardware* ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გვხვდება. ის აღნიშნავდა იმ ადამიანს, რომელიც ითვლიდა. ის ასევე იმ ხელსაწყოებს აღნიშნავდა, რომლებსაც ადამიანი თავისი საქმისათვის იყენებდა. ეს ტერმინები ინფორმატიკაში 1947 წელს დამკვიდრდა. 1965 წელს კი ისინი უკვე ფრანგულ ენაში იმკვიდრებენ ადგილს. მათი ჩანაცვლება ფრანგულში სპეციალურად შემუშავებული ლექსიკური ერთეულებით ხდება, როგორებიცაა *l'ordinateur* და *le matériel*. ტერმინი *software* იმ დროს, ინგლისურ ენაში ნეოლოგიზმი იყო, რომელიც *hardware*-ის ანალოგიით შეიქმნა. 1965 წელს ფრანგული ტერმინი იქმნება სიტყვის *software*-ის შესაცვლელად: ტერმინის *le matériel* ანალოგიით სიტყვისაგან *logique*, შეიქმნა ტერმინი *logiciel-პროგრამული უზრუნველყოფა, პროგრამა*.

ინგლისური ტერმინი *disk, disc* და მისი ფრანგული ანალოგი *disque*, ორივე ენაში მოხვდა დამოუკიდებელი გზით ბერძნულიდან ლათინურის მეშვეობით. მოცემული

ტერმინი ინფორმატიკაში გამოიყენება 1947 წლიდან, მოგვიანებით კი ჩნდება ტერმინები *floppy disk* (1972), *hard disk* (1975), ხოლო შემდეგ შეიქმნა ფრანგული კალკირებული ტერმინები *disque souple* და *disque dur*. 1975 წელს ტერმინს *disquette* ცვლის *disque souple*, ხოლო *disque* გამოიყენება მხოლოდ *disque dur*-თან კომბინაციაში. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებით ჩნდება ინგლისური ენიდან კალკი *disque compact* (1982) ინგლისური *compact disc* (1979) ასევე ხშირად გამოიყენება ფრანგულ ენაში ძირითადად შემოკლებული ფორმით *CD*.

ხშირია მეორადი სესხების ფორმები. ტერმინი ისესხა ფრანგულიდან ინგლისურმა ენამ, შემდეგ კი ეს სიტყვა, სახეცვლილი ფორმით ისევ ფრანგულში დაბრუნდა. ამ მხრივ, საინტერესოა ტერმინი *file*, რომელიც ფრანგულიდანაა წარმოქმნილი. ოდესღაც, ეს ტერმინი მეტალის ან ხის შრომის იარაღს აღნიშნავდა, რომლის დანიშნულება მასალის თანაბარი ნაწილების ჩამოჭრა იყო. მოგვიანებით აღნიშნავდა შესაბამისი მექანიზმის კბილანას. სწორედ, ამ სახით ფრანგული ტერმინი *file*, XVI საუკუნის ინგლისურ ენაში ჩნდება. ეს ტერმინი ინფორმატიკაში 1954 წელს, უკვე გადატანითი მნიშვნელობით ხვდება: კომპიუტერში მონაცემთა შენახვის ძირითადი ელემენტი, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა ეს ერთობლიობა, სხვა მონაცემებისაგან განვასხვავოთ, ვიპოვოთ, შევცვალოთ, წავშალოთ ან კიდევ შევასრულოთ სხვა ოპერაციები. ფრანგული ეკვივალენტი *fichier* შეიქმნა საოფისე დოსიეს *dossier* ანალოგიით. მოცემულ შემთხვევაში ხდება ფრანგული ტერმინით ჩანაცვლება, რომელიც ადრე ინგლისურში მოხვდა, შემდეგ კი ისევ ფრანგულ ენას დაუბრუნდა ფრანგულისთვის შესაბამისი სხვა ტერმინით. ზემოხსენებული მაგალითები ბევრი ტერმინის შექმნის ხელოვნურ ბუნებაზე და ასევე ადამიანთა მიზანმიმართული ზეგავლენით ტერმინოლოგიური სისტემის ფორმირებაზე მიუთითებს.

საინტერესოა ასევე სინონიმური დუბლეტების შექმნის პროცესი. ინგლისური ტერმინი *CD-ROM* (1983) ფრანგულ ენაში თავის ფორმას *céderom* ღებულობს, რითაც არ დევნის მთლიანად ინგლისურ ტერმინს. ასე მაგალითად, *Petit Robert électronique* აფიქსირებს ფორმას *CD-ROM*, მაშინ, როდესაც *Larousse de l'informatique* აფიქსირებს, როგორც *CD-ROM*-ს, ასევე აკრონიმს *céderom*-ს.

ხშირად, ფრანგულ ენაში ფონეტიკურად მოტივირებული ტერმინები ინგლისური ტერმინის ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე იქმნება. ზემოთ მოვიყვანეთ ტერმინის *fichier*-ს მაგალითი. ანალოგიურად შეიძლება მოვიყვანოთ სიტყვის *mél* მაგალითი. 1950 წელს ჩნდება ინგლისური ტერმინი *on-line*, 1989 წელს მტკიცდება ჟღერადობით ანალოგიური ფრანგული ვარიანტი *en ligne*.

ფრანგულ ენაში მოხდა ზოგიერთი ნასესხობის კარგად ინტეგრირება. მაგალითად, *Internet* (1973) ჰიბრიდული წარმოებისაა. *Inter* «entre, parmi»-შუაში, შორის, ლათინური წინდებულისა, რომელიც ინგლისური წარმოშობის *network* «réseau»-ქსელი, შემოკლებულ *net* სიტყვას ემატება. სიტყვა ინტერნეტი ფრანგულში გავრცელდა 1995 წელს. სულ მალე ფრანგულში გავრცელდა სიტყვა *internaute*, რომელიც ინტერნეტის მომხმარებელს აღნიშნავს. ელემენტი *-naute* ბერძნული სიტყვიდანაა *nautés* «navigateur»-*ნავიგატორი*, რომელიც თავს იჩენს ათეულობით შედგენილ სიტყვაში, რომელთაგან ყველაზე ძველია *aéronaute* და ნიშნავს *აერონავტს*. ეს ტერმინი 1794 წელს გამოიყენეს ძმები მონგოლფიერების მიმართ. ყველაზე ახალი წარმონაქმნია *entreprenaute* (1999), სინთეზური სიტყვაა და ნაწარმოებია *entrepren(eur)* და *(inter)naute*-ის დახმარებით და აღნიშნავს „საწარმოს ინტერნეტში შექმნას“.

ტიპოგრაფიული სიმბოლო @ გამოიყენება XVI საუკუნიდან ვაჭართა რეესტრებში, სადაც ისინი იტალიურ საზომ ერთეულს *anfora* «amphore»-*ამფორას* აღნიშნავდნენ, ისევე როგორც ესპანურ და პორტუგალიურ საზომ ერთეულს *arrobas*=25 გირვანქას ანუ 11,502კგ-ს. ინგლისურში კომერციული @ გაჩნდა XVIII საუკუნეში, რომ აღენიშნათ საქონლის რაოდენობა ფასთან მიმართებაში. იმეილების გამოგონების შემდეგ, ელექტრონული მისამართების ჩაწერისას, მომხმარებლის სახელსა და დომენს შორის გამყოფად გამოიყენება. ეს სიმბოლო რეი ტომლინსონმა გამოიყენა, რომელიც ელექტრონული მისამართების სისტემის იდეის ავტორი და განმახორციელებელი გახდა. ინგლისურ ფორმასთან შედარებით *at sign* [ætsain], ფრანგულ შესატყვისს რამდენიმე ვარიანტი აქვს: *arobase*, *arrobase*, *arobas*, *arrobas*. ამ სიტყვის ეტიმოლოგია უცნობია. თანამედროვე გამოყენების ფორმა, რომელიც 1995 წლით თარიღდება შეიძლება წარმოიშვა გამონათქვამიდან *a rond bas (de casse)*-პატარა *a*, რომელსაც წრე აქვს გარშემორტყმული. საქმე ეხება ტიპოგრაფიის ტექნიკურ ტერმინს. სიტყვა *Casse* ნასესხებია იტალიურიდან *cassa* «caisse» და აღნიშნავს *საამწყობო კასას*.

ინგლისური ტერმინი *e-mail*, სხვა ანგლიციზმია, რომლის გაფრანგულება განხილვას მოითხოვს. ინგლისური სიტყვა *mail* ნასესხებია ძველი ფრანგულიდან *male sacoché*, *malle-ჩანთა*, *ჩემოდანი*, მომდინარეობს ფრანცისკულიდან *malha*. ინგლისურში სიტყვა *mail-courrier* 1654 წლიდან გვხვდება, *e-mail* კი 1982 წლიდან. საქმე ეხება შემოკლებას *electronic mail* ელექტრონული მეილი, ანუ წერილი. გამონათქვამი ფრანგულში ჩნდება 1994 წელს როგორც ანგლიციზმი, მისგან ნაწარმოები კალკია *courrier électronique*. მისი შეკუმშვით მივიღეთ *courriel*, რომელიც თავიდან ჯერ კანადასა და ბელგიაში გამოიყენებოდა. წერისას რეკომენდაციას უწევენ გამოთქმას *une adresse électronique*. თუკი დღეს უპირატესობა ენიჭება სიტყვას *mél*-ს, ეს იმიტომ, რომ ალბათ ის ჟღერადობით ინგლისურ ორიგინალს ჰგავს, რამაც საშუალება მოგვცა ფრანგული ინტერპრეტაცია გაგვეკეთებინა.

საინტერესოა ტერმინის *Bit* (1948)-ის ეტიმოლოგია. ის სინთეზური სიტყვაა, რომელიც აერთიანებს *binary-ის- binaire პირველ მარცვალს* და *-t*, სიტყვის *digit* «chiffre» ბოლო ასოს. ტერმინი აღნიშნავს ბინარულ ციფრს და ინფორმაციის ელემენტარულ ერთეულს. ამ დაყოფის გარდა, ნეოლოგიზმი ავლენს ამავედროულად მძლავრ სემანტიკურ მოტივაციას. ინგლისურში *bit* წარმოადგენს ომონიმებს, რომლებიც აღნიშნავენ „პატარა რაოდენობას, ნაჭერს“; *mèche de perceuse*-ბურღის პირს და *mors de cheval*-ცხენის ლაგამს. თითოეული მათგანი წარმოქმნილია ძველი გერმანიკული ზმნისაგან *bitan* «mordre»-კბენა. ყველაზე გავრცელებული ინგლისური მნიშვნელობაა «petite quantité-პატარა რაოდენობა, რომელიც კარგად ეხამება ტექნიკური ტერმინის სემანტიკურ მნიშვნელობას. *Bit* როგორც ფრანგული ტექნიკური ტერმინი არ არის მოტივირებული. ინგლისურში 8 *bits*-ის ერთობლიობა ინფორმაციის სრულ ერთეულს შეადგენს, რომელსაც 1964 წლიდან *ბაიტს* უწოდებენ. ესაა სინთეზირებული სიტყვა ნაწარმოები *bit* და *bite-სგან* «petit bout, morceau»-პატარა ნაჭერი. ოფიციალური რეკომენდაციაა *octet*, რომელიც როგორც ჩანს ინგლისურიდანაა ნასესხები, რომელიც 1919 წლიდან მიღებულია, როგორც ბირთვული ფიზიკის ტერმინი. 60-იან წლებში, ის გადავიდა ინფორმატიკაში, როგორც ხელახალი სესხების ფორმა. *Octet* შედგება ლათინური ელემენტისაგან *oct-*

«huit »-რვა და სუფიქსი *-et*-საგან. საქმე ეხება მოტივირებულ სიტყვას. გამრავლების მისათითებლად, საერთაშორისო სამეცნიერო სისტემაში იყენებენ ბერძნული წარმოშობის პრეფიქსებს. ესენია: *giga-*, *méga-*, და ა.შ.

კანადელმა მეცნიერმა ჟან-კლოდ ბულანჟემ (2007) საინტერესო კვლევა ჩაატარა, რომელიც ლექსიკონებში ოფიციალური რეკომენდაციების დანერგვას ეძღვნებოდა. მან შეადარა Petit Robert-ის 1986, 1993 და 2007 შედეგები, ლექსიკონში ანგლიციზმების შეცვლის რეკომენდაციების თვალსაზრისით. მისი აზრით, ოფიციალური რეკომენდაციების დანერგვას 2007 წელს უფრო სისტემატური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე 1986 წელს.

დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ჩნდება ახალი ტერმინები, რომლებიც ფრანგული ჟღერადობისაა და საინტერესო ეტიმოლოგია აქვთ. მაგალითად: ტერმინი *plussoyer*, *moinsoyer*-სხვა მონაწილის წინადადებებზე დათანხმება ან არდათანხმება; *brouteur*-სიტყვათა თამაშია, ტერმინი *routeur* ნიშნავს როუტერს. ტერმინი ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ის გადატვირთულია. მაგალითად:

Fondeur-Fabricant de microprocesseurs (par exemple AMD, Intel, NVIDIA, etc.), მიკროპროცესორის მწარმოებელია. *Mapper*-ინგლისურიდან *to map* ნაწარმოები ტერმინია, *cartographe*-კარტოგრაფირება, კავშირის დამყარება დისტანციურად განლაგებულ წყაროს ან ლოკალურ წყაროს შორის. *Phishing* ან *Hameçonnage*-პროგრამის უკანონო ტირაჟირების ტექნიკა და სხვა.

2.3 კალკი

სესხების ერთ-ერთი ხერხია კალკირება ანუ ლექსიკური ერთეულების ფორმირება უცხოური ენის შესაბამისი სიტყვების ნიმუშის მიხედვით, მათი ზუსტი თარგმნით ან სიტყვათა ცალკეული მნიშვნელობების სესხებით.

ლექსიკური კალკები უცხოური სიტყვის შესაბამის ენაზე სიტყვასიტყვითი თარგმნის შედეგად იქმნება, იქნება ეს თავსართი, ფუძე, ბოლოსართი, ამ სიტყვის ფორმირების და მნიშვნელობის ზუსტი გამეორებით. ასხვავებენ კალკირების ორ ტიპს: მორფემულს და ლექსიკურს. მაგალითად, კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მორფემული კალკირების ფორმები მრავლადაა წარმოდგენილი: ინგლისურში *magnetic bubble*, ფრანგულ ენაში *bulle magnetique*, ინგლისურში *scrambling*, ფრანგულში *brouillage*, ინგლისურში *mirror disks*, ფრანგულში *disques miroirs* და სხვა. ლექსიკური ანუ სემანტიკური კალკირების დროს, ენაში არსებული ძირითადი სიტყვები ახალ მნიშვნელობას მეორე ენის ზეგავლენით იღებენ. ასე მაგალითად: ფრანგულ ენაში, ინგლისურის გავლენით, სიტყვამ *mémoire* (ინგლ. *memory*)-მნიშვნელობა გაიფართოვა და დანადგარს აღნიშნავს, რომელიც საშუალებას გვაძლევს კომპიუტერში შევინახოთ და ვიპოვოთ ინფორმაცია; *accumulateur* (ინგლ. *accumulator*)-კომპიუტერის დედა-პლატას რეგისტრი, რომელშიც ბოლოს განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია იწერება; *acteur* (ინგლ. *actor*)-აგენტი, რომელიც მოცემულ პრობლემაზე ინფორმაციის ნაწილს ფლობს და თანამშრომლობს სხვა აგენტებთან მისი გაფართოების მიზნით; *contrôleur* (ინგლ. *controller*)-მართვის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის, რესურსის, დანადგარის წვდომას; *écriture* (ინგლ. *writing*)-კომპიუტერის მეხსიერებაში ინფორმაციის ჩაწერა.

ზემოხსენებული კალკირების გარდა ცალკე გამოიყოფა ფრაზეოლოგიური კალკები. ასეთი ტიპის კალკები მრავლადაა კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში. მაგალითად: *le bras d'accès* (ინგლ. *access arm*), *chargement-lancement* (ინგლ. *load and go*), *pipeline* (ინგლ. *pipe-line*) და სხვა.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ინგლისური ენიდან კალკირებულია ის სიტყვები, რომლებთანაც ყოველდღიურ საქმიანობაში გვაქვს შეხება: *mouse-souris*,

printer-imprimante, key board-clavier, server-serveur, router-routeur, to merge-merger, spyware-logiciel espion და სხვა.

ა.სუპერანსკაიას აზრით, ვინაიდან კალკირება უშუალოდ დაკავშირებულია სიტყვაწარმოებასთან, ის ენები, რომელთაც მდიდარი დერივაციული პოტენციალი აქვთ, მას უფრო ხშირად მიმართავენ.

კალკირება დიდ ადგილს იკავებს კომპიუტერული სფეროს ტერმინოლოგიურ შემოქმედებაში. ფრანგულ ენაში უამრავი სიტყვა ინგლისურიდან კალკირების გზით ჩნდება. უნდა აღნიშნოს, რომ ფრანგულში არსებული კალკირებული ფორმები უცხოური ფორმების სრულ იმიტაციას წარმოადგენს. ამგვარად, კალკირება კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს.

2.4 აბრევიაცია

ლინგვისტები ტერმინოლოგიურ სისტემაში აბრევიატურის განსაკუთრებულ როლს აღნიშნავენ. ყველა აბრევიატურას ენაში ერთგვარი „პროტოტიპი“ გააჩნია, რთული ერთეული, რომელიც შეკვეცას ექვემდებარება.

გერმანელი მეცნიერი ფლაიშერი „არარედუცირებული ერთეულის სეგმენტირებას“ ეყრდნობა, გამოყოფს ერთსეგმენტიან და მრავალსეგმენტიან შეკვეცილ სიტყვებს. ერთსეგმენტიანი შეკვეცილი სიტყვები ერთი გადაბმული ან ორი რთული სეგმენტის არარედუცირებული ერთეულისაგან შედგება. ეს სეგმენტი შეიძლება თავში ან ბოლოში იყოს განთავსებული. „მრავალსეგმენტიანი შეკვეცილი სიტყვები“ ანუ უბრალოდ აბრევიატურები, იმის მიხედვით, თუ რისგან შედგება ისინი, ერთი ელემენტისგან თუ რამდენიმე სეგმენტისაგან. მიღებულია მათი დაყოფა საწყისს შეკვეცილ ფორმებად ანუ „საწყისი ასოებით“ წარმოადგენილ აბრევიატურებად. არსებობს ასევე „რთული შეკვეცილი სიტყვები“. ასეთი დაყოფა საკმაოდ უნივერსალური და ყველას მიერაა მოწონებული (სტეპანოვა, ფლაიშერი 1984: 134). ამ დროს პირველ ჯგუფს აბრევიატურები ეწოდება, ხოლო მეორეს მარცვლოვანი სიტყვები.

ადრე მოყვანილი მაგალითი *un CD-un cédé*, ამის დასტურია, თუმცა სიტყვაწარმოების ამ ხერხმა კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.

სიტყვათა შეკვეცის სხვა მნიშვნელოვანი ტიპია აკრონიმები. მათი რიცხვი უამრავია ინფორმატიკის ტერმინოლოგიურ სფეროში. ე.ვიუსტერის თანახმად, აკრონიმები ნებისმიერი საწყისი ასოების მიხედვით შეკვეცის ფორმებს წარმოადგენს: „ელემენტარულს“ (ასო-ბგერით) და „სეგმენტურს“ (რთულ შეკვეცილ ფორმებს). აკრონიმების ცალკე ჯგუფად გამოყოფის რელევანტურ ნიშანს „ინიციალების“ ნიშანი წარმოადგენს. ზოგი მეცნიერისათვის კი ეს „სეგმენტურობასთანაა“ დაკავშირებული. აკრონიმი შემოკლებაა, რომელიც არ იმარცვლება და წარმოითქმის, როგორც ერთი სიტყვა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავად აკრონიმი პირველად ამერიკულ სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაში XX საუკუნის 40-იან წლებში გაჩნდა, „შეკვეცის“ მნიშვნელობით, რომელიც ჩვეულებრივ სიტყვას ჰგავდა. ეს მსგავსება პირველ რიგში ფონეტიკურად მის გადაბმულ წარმოთქმაში ვლინდება. სწორედ ეს ნიშან-თვისება სიტყვის მსგავსების რელევანტური ხდება იმისათვის, რომ აკრონიმი ცალკე სიტყვამწარმოებელ კლასად განვიხილოთ (სუპერანსკაია 1989: 26).

კომპიუტერული ტერმინოლოგიის სისტემაში აკრონიმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. შემოკლებების დიდი უმეტესობა სხვადასხვა ორგანიზაციების, სისტემების და პროგრამირების ენის დასახელებას აღნიშნავს. ასე მაგალითად: *ROM-Read Only Memory*, *Algol -ALGOriThmik Language*, *APL-A Programming Language*, *RAM-Random Access Memory*, *AE-Analyste d'exploitation*, *AFK-Away From Keyboard -Join du clavier*, *AMOE-Assistance à Maîtrise d'Œuvre*, *CD-R : disque compact enregistrable (compact disc recordable)*, *BDD- base de données*, *CTM-Check The Mail -Vérifier le courrier*, *CP-Chef de projet*, *DBS-Définition des besoins*, *EO-Étude d'Opportunité*, *IHM- interface homme-machine- interface utilisateur*, *IdO-L'Internet des objets*, *NIST- National Institute for Standards and Technology*, *arXiv- Achieving Human Parity in Conversational Speech Recognition*, *IEEE-Institute of Electronic and Electronics Engineers*, *Lidar-LIght Detection And Ranging*, *L'Icann - Internet Corporation for Assigned Names and Numbers* და ა.შ. სია საკმაოდ გრძელია.

რაც შეეხება ორგანიზაციების სახელწოდებებს, შემოკლებებს, შეიძლება ათეულობით დავასახელოთ. ეს იმის საშუალებას გვამლევს, რომ ვამტკიცოთ, კომპიუტერულ ტერმინებში 10%-ს აბრევიატურა შეადგენს, ზოგჯერ კი მათი რიცხვი გაცილებით უფრო დიდია.

აბრევიატურებისა და აკრონიმების მიმართ მთავარი მოთხოვნა მათი წარმოთქმის მოხერხებულობა, კეთილხმოვანებაა. სწორედ ამიტომ, როდესაც ორგანიზაციების, სისტემების პროგრამების სახელწოდებები იქმნება, ამ მოთხოვნას ითვალისწინებენ. ზოგიერთი აკრონიმი ჟღერადობით საკუთარ სახელს ჰგავს, მაგალითად: *Diane-ინგლისური აკრონიმია -Direct Information Access Network in Europe* -ევროპის ონ-ლაინ საინფორმაციო სისტემა, რომლითაც შეიძლება

ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო და ტექნიკურ საკითხებზე არსებული ბაზის წვდომა; *Marion-* ფრანგული აკრონიმია-*Méthode d'Analyse des Risques Informatiques et Optimisation par Niveau*-საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების ანალიზის მეთოდი და ა.შ.

ფრანგულ ენაში კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემების მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ შემოკლებათა დიდი რაოდენობა, რომელიც ინგლისურიდანაა ნასესხები, უცვლელი ფორმითაა შესული ენაში. ცნობილია, რომ საფრანგეთში დიდი სამუშაო ტარდება ნასესხები ტერმინოლოგიის ფრანგულ ენასთან ადაპტაციის თვალსაზრისით, თუმცა ამის გაკეთება ინფორმატიკის სფეროში ყველაზე რთულია, ვიდრე სხვა სფეროებში.

ბევრი ლინგვისტი ამ მოვლენას იმით ხსნის, რომ ფრანგულ ენაზე თარგმნილი ინგლისური შესიტყვება ძალიან გრძელია და მისი შემოკლება არ იქნება ისეთივე ლაკონური, როგორც ინგლისურში.

ამაში დავრწმუნდებით, თუკი შევადარებთ ინგლისურ შესიტყვებას და მათ აბრევიატურებს ფრანგულ ენაში. ამკარა ხდება, რომ უფრო მოსახერხებელია ინგლისური შემოკლების შეტანა ტერმინოლოგიურ სისტემაში. მაგალითად: *BBS (sigle de l'angl. Bulletin Board System) - service destiné à mettre en relation des utilisateurs d'Internet pour partager des données; BIOS (sigle de l'angl. Basic Input/Out-put System) - ensemble d'instructions de bas niveau fournissant, dans un PC, une interface entre le système d'exploitation et le matériel; CBDS (sigle de l'angl. Connectionless Broadband Data Service) - service de données à large bande sans connexion; DDE (sigle de l'angl. Dynamic Data Exchange) - mécanisme défini par la firme Microsoft, permettant la mise à jour dynamique et simultanée de données communes entre applications.*

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური აბრევიატურების ფრანგულ ენაში შეყვანის ტენდენცია მაშინაც რჩება, როდესაც ფრანგული აბრევიატურის შექმნას არანაირი სირთულე არ ახლავს. მაგალითად: *NDRO (sigle de l'angl. Non Destructive Read Oui) - lecture non destructive d'une mémoire; PROM (sigle de l'angl. Programmable Read Only Memory) - mémoire morte programmable; CD-I (sigle de l'angl. Compact Disc-*

Interactive) - *disque compact interactif*; *CIM* (*sigle de l'angl. Computer Integrated Manufacturing*) - *production manufacturière intégrée par ordinateur* და სხვა.

შესაძლებელი გახდა არც თუ ისე დიდი რაოდენობა ფრანგული აბრევიატურების გამოვლენა, რომლებიც ფრანგული სიტყვაწყობითაა ნაწარმოები. მაგალითად: *CAO-Conception Assistée par Ordinateur*; *CFAO-Conception et Fabrication Assistées par Ordinateur*; *EAO-Enseignement Assisté par Ordinateur*; *GDT-Gestion des Données Techniques*; *GED- Gestion Électronique de Documents*; *GAB -Guichet Automatique de Banque* ; *Afnor-acronyme de Association Française de Normalisation. Afcet-acronyme d'Association Française pour la Cybernétique Économique et Technique* და სხვა. სტატისტიკურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ ფრანგული წარმოშობის აბრევიატურების არსებობა კომპიუტერულ ტერმინოლოგიურ სისტემაში 20-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ინგლისური აბრევიატურების.

არსებობს შემოკლებათა გარკვეული რაოდენობა, რომელთა ფრანგულ ენაში ადაპტირება წარმატებით განხორციელდა. მაგალითად: *assurance qualité (AQ)* (ინგლ. *quality Insurance*), *assurance qualité logiciel (AQL)* (ინგლ. *software quality Insurance*), *commande numérique de machines- outils (CNMO)* (ინგლ. *numerical control for machine-tools*), *dessin assisté par ordinateur (DAO)* (ინგლ. *computer aided drawing*) და სხვა.

ამგვარად, აბრევიატურები, ძირითადად, ნასესხებია ინგლისური ენიდან და წარმოადგენს კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემების შევსების უმდიდრესს წყაროს.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას უკავშირდება სმს შეტყობინებების წარმოქმნა. მართალია, ეს უშუალოდ, ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს, თუმცა მაინც გვინდა ორიოდ სიტყვით ვახსენოთ ის. ამ საკითხზე სადისერტაციო ნაშრომიც კი შესრულდა 2012 წელს ნათია ამაღლობელის მიერ სახელწოდებით: „ფრანგულ მოკლე ტექსტურ დისკურსში გამოყენებული სამეტყველო ფორმები“. ეს საკითხი ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ფართოდ გამოიყენება შემოკლებები. მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ანუ დისკურსს რამდენიმე ისეთი მახასიათებელი გააჩნია, რომლის წყალობით არა მხოლოდ ახალგაზრდების, არამედ სხვა სოციალური ჯგუფების ინტერესი მისდამი სულ უფრო იზრდება.

პირველ რიგში, იგი ინტერაქციის სხვა საშუალებებთან შედარებით იაფია. ამას ისიც ემატება, რომ სმს ასინქრონულია, ანუ არ საჭიროებს მიმღების მიერ დაუყოვნებელ რეაქციას. მოკლე ტექსტური შეტყობინება უხმაუროა, სურვილისამებრ შესაძლებელია მომხმარებელმა გამორთოს მიღების სიგნალი და მოზარდების უმრავლესობა ძირითადად ღამით მიმოწერას ამჯობინებს. შეტყობინებების ხასიათი კი ბევრ შემთხვევაში სასიყვარულოა. სმს-ის მოსვლას ტელეფონის მფლობელის გარდა ვერავინ გაიგებს. ეს მახასიათებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (ამაღლობელი 2012: 10-11).

სმს-ს მეტყველება³ წერთი სოციოლექტია, რომელიც რომელიმე ენის ორთოგრაფიულ ნიშნებს, თვით გრამატიკულ ფორმებს ცვლის, რომ შეკვეცოს შეტყობინების სიგრძე და დაიცვას იმ ასოთა რაოდენობა, რომელიც დასაშვებია სმს-ს დისკურსში, ან კიდევ დააჩქაროს ციფრული ტელეფონის კლავიატურით ტექსტის აკრეფა. ეს პროცესი 1990 წელს დაიწყო და მას სმს-ს ენა უწოდეს. შემოკლება დამწერლობასთან ერთად გაჩნდა, თუმცა თანამედროვე კომუნიკაციების ერაში ის ტელეგრაფულ სტილს იყენებს.

სმს-ს ენა მრავალი ხერხის კომბინაციას მიმართავს, სიტყვებისა და წინადადებების შესამოკლებლად. მაგალითად: *lgtps, tt, p, slt(longtemps, tout, pour, salut)*, ხმოვნები ამოღებულია, ზოგიერთი თანხმოვანიც კი, თუმცა სიტყვის წაკითხვა და გაგება მაინც შესაძლებელია. ფონეტიკურ ცვლილებებსაც აქვს ადგილი: *koi, jamé, grav, eske(quoi, jamais, grave, est-ce que)*. იყენებენ ასევე ტიპოგრაფიულ რეზუსს: *2m1, bi1, koi 2 9, gt, mrc,tfk (demain, bien, quoi de neuf, j'étais, merci,tu fais quoi ?)*; ასოების დასახელებით სიტყვის ჩანაცვლება: *G- j'ai, C- NRJ- énergie, a12c4 -À un de ces quatre, 2m1-demain, bi1-bien, koi 2 9-quoi de neuf*. ეს ხერხი ნასესხებია ინგლისურიდან. მაგალითად *R* გამოიყენება *are*-ის ნაცვლად, *U- you*-ს, *Y-why*-ს ნაცვლად. *Matlab*-ის პროგრამირების ენაში ციფრი გარდაიქმნება ტექსტად. მაგალითად: *num2str, 2 to* იკითხება როგორც *vers*. სმს-ს შეტყობინებებში იყენებენ ასევე ინგლისურ სიტყვებს

³ https://fr.wikipedia.org/wiki/Langage_SMS (1.12.2016).

today-ს *aujourd'hui*-ს ნაცვლად, *now*-ს *maintenant*-ს ნაცვლად. სმს-ს მეტყველება დაიყვანება 160 ნიშანზე. ცდილობენ ამ რიცხვს არ გადააჭარბონ, რომ მისი გაგზავნა უფრო ძვირი არ დაჯდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ სმს-ს ენა ინტერნერში გამოყენებული ენისაგან განსხვავდება. ეს მრავალი ასპექტით ვლინდება: სმს-ს ენას შეუძლია რომელიმე სიტყვა მისი ფონეტიკური ეკვივალენტით შეცვალოს, რომელიც იმდენივე ნიშანს შეიცავს, მაგრამ უფრო სწრაფად ხელმისაწვდომია. მაგალითად: *moi* ხდება *mw*, რადგანაც სამ კლავიშს უნდა დავაჭიროთ *mwa*-ს ასაკრეფად შვიდის და პაუზის ნაცვლად *moi*-სთვის. კომპიუტერში ასეთი ტიპის ტრანსფორმაცია ინტერესს არის მოკლებული. *O* და *I* უფრო ადვილი ასაკრეფია, ვიდრე *W*, *AZERTY*-ის კლავიატურაზე. წერტილი სმს-ს ბოლოს შეიძლება გაგებულ იქნეს, ისე, რომ ადრესატი გულწრფელი არაა.

სმს-ს ენის გამოყენება კრიტიკის ობიექტი ხდება. უამრავი არგუმენტი არსებობს მისი გამოყენების დასაცავად. მოქნილობა, შეზღუდულ სივრცეში შეტყობინების ჩაწერა, შეტყობინების ფასი დამოკიდებულია მის სიგრძეზე. მხოლოდ ამ ენის მცოდნეთათვის ხელმისაწვდომობა, გამოყენების სისწრაფე, გარკვეული გრძნობის ქონა, რომ მოცემულ სოციალურ ჯგუფს განეკუთვნები. არსებობს არგუმენტები სმს-ს ენის გამოყენების საწინააღმდეგოდ. მისი წაკითხვა რთულია, მას იყენებენ ბლოგებზე, განსაკუთრებით უძნელდებათ უცხოელ მკითხველებს, ცუდი მხედველობის მქონე ადამიანებს, სიზარმაცეს უწყობს ხელს, რომ სწორად არ წერონ. იწვევს მკითხველის მხრიდან სიმულვილს, რადგანაც მან ახალი „ენა“ უნდა ისწავლოს. ხდება ორთოგრაფიის შელახვა, რადგანაც თავად სმს-ს ენას ორთოგრაფიული შეცდომები ახლავს, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს შემოკლებებთან. ის გამოუსადეგარია ვებგერდებზე, როდესაც არსებობს სრულყოფილი კლავიატურა და მომხმარებელი არ არის შეზღუდული ინფორმაციის მოცულობის განსაზღვრაში. ხდება საძიებო სისტემის დაბინძურება. დღეს არსებობს შეუზღუდავი სმს-ები. ამდენად, ასეთი ენის გამოყენება არაა გამართლებული. ის გამოიყენება კონკრეტულ სივრცეში : ჩათში, თავად სმს-ში.

ზოგიერთი მასწავლებელი პრეტენზიას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ლიცეუმის მოსწავლეები ნაშრომებში უხვად იყენებენ სმს-ს ენას, თუმცა ეს პრაქტიკა საკმაოდ მარგინალური რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ორთოგრაფიის დონე დაბალია, ამას ვერ დავაბრალებთ სმს-ს ენის გადაჭარბებულ გამოყენებას.

ფაქტობრივად, სმს ენა შეერწყა სწრაფად ჩაწერის ფორმას და მიუახლოვდა სტენოგრაფიულ ენას. მართალია, ბევრი მოსწავლე სმს-ს ენას იყენებს, მაგრამ ამით არ შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეებს არ შეუძლიათ გამართულად წერა. მაგალითად, ფილ მარსომ, სმს-ს ენაზე თავისი რამდენიმე რომანი დაწერა. 2008 წელს, ფონდი *Bouygues Telecom*-ის ინიციატივით ჩატარდა კონკურსი სახელწოდებით „პირველი სმს რომანი“, რომელიც ფრანგულ ენაზე უნდა ყოფილიყო დაწერილი და სადაც სმს-ს ენა სწრაფი შეტყობინებების ნარატიული სტრუქტურის განმსაზღვრელი ელემენტი იქნებოდა. ეპისტოლარული რომანის მოდელის მიხედვით, შეიქმნა რომანები, რომელთა ნარატივიც აგებულია სმს-ს ენით. ასეთია მაგალითად: ამი ლაშაპელის და რიშარ პეტის *Ping-pong*-პინგ პონგი, გამომცემლობა *Éditions Z'ailées*. სმს-ს ენის გამოყენება რეალობის ელემენტი გახდა.

ხშირად გვხვდება აკრონიმი *lol*, რომელიც ინგლისური გამონათქვამის *laughing out loud* შემოკლებულ ფორმას წარმოადგენს. მისი ფრანგული ეკვივალენტი *rire aux éclats* ან *rire à gorge déployée* სიტყვასიტყვით *rire à haute voix*, შორისდებულია, რომელსაც მისი მომხმარებელი სიცილისა და კარგი განწყობის გამოსახატავად იყენებს. მან შეიძლება ჩაანაცვლოს გამონათქვამები: *je trouve cela drôle* ან *comme tu es amusant* ან *mdr*, რაც ნიშნავს *mort de rire*-სიცილისაგან მოვკვდი. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს უბრალოდ მხიარული ფაქტის ხაზგასასმელად, რომელმაც შეიძლება რეალურად სიცილი არ გამოიწვიოს.

მნიშვნელოვანია ასევე ხატულები ან სიცილაკები. ხატულა ანუ სიცილაკი (ინგლიურად *Emoticons* ან *smileys*, ფრანგულად *émoticône*) პუნქტუაციური ნიშნებისგან შემდგარი (ტიპოგრაფიული) ან გრაფიკული ხასიათის სიმბოლოა, რომლის მთავარ ფუნქციას ელექტრონულ მეტყველებაში პირისპირ კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი ემოციების გამომსახველი მიმიკებისა და ჟესტიკულაციის შეტანა წარმოადგენს. მათ ყველაზე ხშირად განსაზღვრავენ, როგორც

პარალინგვისტური ნიშნების (მიმიკა, ინტონაცია) არარსებობის კომპენსირების საშუალებებს (ამაღლობელი 2012 :145). ხატულები სხვა სპეციფიკური ნიშნების მქონე სამეტყველო ვარიაციებია.

ხატულა ანუ სიცილაკი⁴ არ უნდა აგვერიოს არც რაიმე ტიპოგრაფიულ სიმბოლოში, არც *ASCII* ხელოვნებაში ანუ *American Standard Code for Information Interchange-Code américain normalisé pour l'échange d'information*-ამერიკული ნორმირებული კოდი ინფორმაციის გასაცვლელად. პირველივე ტიპოგრაფიული ხატულას შექმნისას, რომელიც ასე გამოიყურება :-), მას ინგლისური სახელი *smiley* დაერქვა, ცნობილი ღიმილის ნახატის მსგავსად, მომღიმარე სახე ყვითელ რგოლში. მისი მსგავსი :-), რომელიც უკმაყოფილებას გამოხატავდა გაჩნდა რამდენიმე წუთით გვიან.

თავდაპირველად, ისინი ძირითადად იმისათვის გამოიყენებოდა, რომ სატიტულო ქაღალდზე დაესვათ და განესხვავებინათ სერიოზული შინაარსის საკითხები იუმორისტულიაგან, თუმცა მათი შესაძლებლობა სწრაფად გასცდა შემქმნელთა განზრახვას და მაშინვე მათი გამოყენება ტექსტებში, ემოციის გამოსახატავად დაიწყო. ამ ახალი ტენდენციისათვის ადეკვატური სიტყვათა მარაგის არქონის გამო, ეტიკეტი *smiley* მიაკუთვნეს მის მრავალ ვარიაციას, რომლებიც მაშინვე გაჩნდა ეტიმოლოგიის მიუხედავად (*en*) *smile* ⇒ *sourire*, რომელიც მხოლოდ პირველს შეესაბამებოდა. ფრანკოფონებმა სწრაფად აითვისეს ტერმინი *smiley*. მოგვიანებით 1990 წელს, შეთავაზეს ტერმინი *emoticon* ინგლისურად (*mot valise*⁵), სინთეზური სიტყვა *émotion + icône*, რომ შესაბამისად მომხდარიყო მოვლენის აღწერა, ხოლო 1996 წელს მოხდა მისი სიტყვასიტყვით თარგმნა *émoticône*.

⁴ <https://fr.wikipedia.org/wiki/%C3%89motic%C3%B4ne> (5.12.2016).

⁵ Mot-valise, mots-valises-სინთეზური სიტყვა, რომელიც სიტყვათა რიგის შეკვეცის შედეგად მიიღება და დაიყვანება ერთ სიტყვაზე. ის ინარჩუნებს პირველი სიტყვის საწყისს და ბოლო სიტყვის ბოლო ნაწილს.

ტერმინების აღრევა კვლავ ხდება, ტერმინ *smiley*-ს ხშირ გამოყენებასა და ნეოლოგიზმ ხატულას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინმა *émoticône* ანუ ქართულად ხატულამ შეიძლება სხვა ფორმების გამოყენებით ემოცია გამოხატოს. ასე მაგალითად: გული <3 ან ვარდი @]-'-,-. თუ ორივე ტერმინის გამოყენებას დავუშვებთ, სიცილაკი, ხატულას სპეციფიკური ტიპია.

ლევ სტალმა, რომელიც ჩიკაგო პრესის უნივერსიტეტში მუშაობს, აღმოაჩინა პირველი ხატულა, რომელიც 1648 წლით თარიღდება. მან ის აღმოაჩინა ინგლისელ პოეტ რობერტ ჰერიკის პოემაში *To Fortune*, ასეთი ჩანაწერი (*smiling yet* :).

ფრანგული წარმოშობის ბელგიელმა მარსელენ ჟობარმა, რომელიც ლითოგრაფი და გამომგონებელი იყო, გაზეთ *le Courrier Belge*-ის ტექსტში 1841 წლის 11 დეკემბერს პირველი ხატულა გამოიყენა ირონიის გამოსახატავად.

თანამედრვე ტიპოგრაფიული ხატულების შექმნა ზოგადად სკოტ ფალმანის სახელს უკავშირდება, რომელიც აშშ-ს კარნეჯი მელონის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. მან 1982 წლის 19 სექტემბერს შექმნა სიმბოლო :-), სასაცილო და ირონიული მესიჯების გადმოსაცემად, რომლებიც უნივერსიტეტის ბლოგზე ვრცელდებოდა. პირველი ტიპოგრაფიული ხატულები იყო :-) და :-(.

არსებობს გრაფიკული ხატულაც, რომელიც ნახატს ჰგავს. ის პოპულარული გახადეს 1970-იანი წლების დასაწყისში ძმებმა მიურეი და ბერნარ სპეინებმა. ისინი აწარმოებდნენ ყავის ჭიქებს, მაისურებსა და მისაკრავ ქაღალდებს, რომლებზეც გამოსახული იყო ხატულა შემდეგ სიტყვებთან ერთად: *ბედნიერი დღე გქონოდეთ (Have a happy day)* (ამაღლობელი 2012: 146).

ხატულას გამოყენება იცვლება გარემოსა და დისკურსის ტიპის მიხედვით. ხატულას დანიშნულებაა გამოხატოს ემოცია და გამოიწვიოს ადრესატის სწრაფი რეაქცია. ამით აიხსნება ონ-ლაინის დიალოგებსა და ბლოგებში მათი დიდი რაოდენობით გამოყენება. ის ფაქტობრივად არ გვხვდება ისეთ კომუნიკაციებში, რომლებიც მონოლოგთანაა ახლოს.

ხატულას გამოყენება დამოკიდებულია სხვადასხვა მონაწილის „ლექსიკურ მარაგზე“. ის შეიძლება შემთხვევითი მორცხვი ღიმილიდან დაიწყოს და გადავიდეს

ხატულების რეგულარ გამოყენებაზე იმათი მხრიდან, ვინც ამას მიჩვეულია. მომხმარებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ხატულა სწორად იქნა გაგებული. ასეთი შემოწმება ზოგადად, თანდათანობითი გამოყენებით ხდება. ზოგჯერ მათი გამოყენება გაუაზრებელია. ხატულას გამოყენება ხშირია შენიშვნის დროს ირონიის გამოსახატავად. ხატულა ცვლის სახის გამომეტყველებას და ხმის ცვლილებას, რომლის გადმოცემა წერის დროს შეუძლებელია.

ხატულა თავისი ფორმით ახლოსაა შორისდებულთან. ის მორფემის გარეშე გამოიყენება, მხოლოდ მსაზღვრელის ან ნაცვალსახელის წინ. ხატულა გამოხატავს ინფორმაციას ავტორის ემოციის შესახებ, თუმცა მხოლოდ წინადადების კონტექსტში. ასე მაგალითად: -*Tu es très heureux :-)* ?“- ძალიან ბედნიერი ხარ? ავტორი არა მარტო კმაყოფილია, არამედ უხარია, რომ შენ ბედნიერი ხარ.

ხატულები გამოხატავენ ემოციებს, ამიტომ თავისუფლად შეიძლება ტროპებსაც დავუკავშიროთ, როგორებიცაა ირონია და ჰიპერბოლა. ხატულა წინადადებას ანიჭებს მნიშვნელობას, ნიუანსს, რომელიც მას არა აქვს.

ხატულას ხშირად წინადადების ბოლოს სვამენ, თუმცა ის არ არის სასვენი ნიშანი. მისი ჩასმა შეიძლება როგორც წინადადების შუაში, ისე თავში. ის თეორიულად იმ ემოციას გამოხატავს, რომელიც ადრესანტმა შეიგრძნო. ვინაიდან, ხატულები სასვენი ნიშნებისაგან შედგება, ბოლოში სასვენი ნიშნის დასმა სავალდებულოა, თუმცა დღემდე გადაუჭრელია ეს პრობლემა. მაგალითად: შეიძლება ვთქვათ (*chouette ! ;*) ან (*chouette ! ;*)). ამ საკითხის გადაჭრის ყველაზე მარტივი გზა სივრცის დატოვებაა ხატულასა და სასვენ ნიშანს შორის. მაგალითად: *;-)*).

რაც არ უნდა იშვიათი იყოს, შესაძლებელია, რომ ხატულას სუფიქსი დაემატოს, რომელიც სხვა სიტყვას ქმნის (ზმნას, არსებით სახელს, ზედსართავს, ზმნიზედას და სხვა). მაგალითად: *<3able (adorable, aimable)*-საყვარელი, თავაზიანი. ხატულების განხილვა ჩვენი კვლევის საგანი არ არის, მაგრამ მაინც მიმოვიხილეთ მოკლედ ისინი, რადგანაც მჭიდრო კავშირშია ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან, ხოლო ფუნქციურად სმს მეტყველების დამახასიათებელი ენობრივი ფორმები მონაწილეობას იღებს სმს დისკურსის, როგორც სპეციფიკური დისკურსიული ფორმის, ჩამოყალიბებაში.

2.5 ტერმინების წარმოქმნა დერივაციული ხერხით

როგორც სხვადასხვა ტერმინოლოგიური სისტემების კვლევა გვიჩვენებს, მათი შევსება მოცემული ენისათვის დამახასიათებელი დერივაციული საშუალებების მეშვეობით, ტერმინოლოგიური შემოქმედების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ხელოვნური სახელდების დროსაც ყველაზე გავრცელებული ხერხია პროდუქტიული სუფიქსების, პრეფიქსების, სიტყვაწყობის გამოყენება.

ფრანგულ ენაში ფართოდ გამოიყენება თავად დერივაციული რესურსები. ვ.გაკი აღნიშნავს, რომ ფრანგული ენა დიდ მრავალფეროვნებას და მოქნილობას ავლენს სიტყვაწარმოებითი საშუალებების თვალსაზრისით სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. ის მიუთითებს მთელი რიგი სუფიქსების, პრეფიქსების და სიტყვათწყობის პროდუქტიულობაზე, რომლებიც აქტუალური ხდება ენის განვითარების ყოველ ცალკეულ ეტაპზე (გაკი 1977: 48).

ასე მაგალითად, სუფიქსი *-tique* ფართოდ გამოიყენება ინფორმატიკის სფეროში ტერმინების წარმოსაქმნელად. ის აღნიშნავს საქმიანობის წესს ან საქმიანობის საშუალებას, მისი მეშვეობით შეიქმნა ნეოლოგიზმების დიდი რაოდენობა.

ამავე დროს, საჭიროა აღინიშნოს, რომ სუფიქსი *-tique* ფართოდ გამოიყენება სპეციალისტების მიერ ტერმინების ხელოვნურად წარმოსაქმნელად. მაგალითად:

cybernétique—კიბერნეტიკა, მეცნიერება, რომელიც კონტროლის და მართვის მექანიზმებს უსასრულო სისტემებში სწავლობს.

monétique—გადახდის ელექტრონული სისტემა, ნეოლოგიზმი, რომელიც 1982 წელს კომპანია *Sligos*-ის მიერ შეიქმნა და ელექტრონიკის და ინფორმატიკის გამოყენებას აღნიშნავდა გადახდებისა და ფულადი გზავნილების სფეროში.

domotique—ნეოლოგიზმი, რომელიც საცხოვრებელი სახლების ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვას აღნიშნავს (ინტერნეტის გაყვანას, ელექტრო-ხელსაწყოების დისტანციური მართვის სისტემების შექმნას, ენერჯის ეკონომიური ხარჯვისა და კონტროლის დაყენებას, უსაფრთხოების სისტემების დაყენებას და სხვა).

automatique-ავტომატიკა, მეცნიერება, რომელიც მექანიზმებისა და სისტემების შემუშავებითაა დაკავებული, რომელთაც შეუძლიათ ადამიანის ჩაურევლად ფუნქციონირება.

connectique -ტერმინი, რომელიც 1970 წელს AMP კომპანიის მიერ შეიქმნა, იმ სფეროს აღსანიშნავად, რომელიც დანადგარების ყველა სახეობას აწარმოებდა. ის გამოიყენება ელექტრონული ტექნიკის დასაკავშირებლად და შესაერთებლად.

immotique-„ჭკვიანი სახლის“ (*un immeuble intelligent*) ხელსაწყო, ციფრული ხელსაწყოების ერთობლიობა, რომელიც შენობაშია განთავსებული. ტერმინი შემუშავებულ იქნა 80-იან წლებში.

bureautique-ავტომატიზირებული საქმის წარმოება, რომელიც 1976 წელს ლუი ნოჟეს მიერ შეიქმნა. ის ნიშნავს ინფორმატიკის გამოყენებას ოფისში.

télématique—შემუშავებულ იქნა 1978 A. Mine და S. Nora-ს მიერ, ტექნიკური მეთოდებისა და ხერხების სახელდებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმატიკისა და ელექტრონიკის მეშვეობით კავშირს. ზემოხსენებული ტერმინების ახსნა აუცილებელი იყო, რადგანაც კომპიუტერულ დისკურსებში ისინი ფართოდ გამოიყენება და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

მოცემული მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ სუფიქსი *-tique* საკმაოდ პროდუქტიულია, რომელსაც ხშირად იყენებენ ახალი ტერმინების შემქმნელი მკვლევრები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური სისტემების ხელოვნურად შექმნის თვალსაზრისით, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ასეთ ტერმინებს განზოგადოების სემა აქვთ, რაც მოცულობითი ცნებების შექმნის საშუალებას იძლევა, რომლებიც ჰიპერონიმების კატეგორიას მიეკუთვნება.

პროცესების აღსანიშნავად, ხშირად გამოიყენება სუფიქსი *-age*: *couplage*-დაწყვილება; *compectage*-კომპრესია; *encodage*-კოდირება; *chainage*-ინფორმაციის გაერთიანება ავტომატურ თანმიმდევრობაში; *précablage*-კაბელების წინასწარი გაყვანა; *adressage*-ადრესაცია; *débogage*-პრობლემის აღმოფხვრა; *fenêtrage*-ფანჯრების შექმნა; *formatage*-ფორმატირება; *décodage*-დეკოდირება; *échantillonnage*-ნიმუშების შექმნა და სხვა.

არანაკლებ პროდუქტიულია ასევე სხვა სუფიქსები: *-thèque: bandothèque*- ჩანაწერების კრებული. *programmathèque* -სპეციალისტის განკარგულებაში არსებული პროგრამების ერთობლიობა; სუფიქსი *-erie: messagerie*-ინფორმაციის გაცვლის სისტემა; *imagerie*-კომპიუტერზე გამოსახულებით მუშაობის ხერხების ერთობლიობა; საკმაოდ პროდუქტიულია სუფიქსი *-eur: ordinateur, numeriseur, encodeur, décodeur, exorciseur, assembleur, additionneur, analyseur* და სხვა.

პროდუქტიულია ასევე სიტყვათწყობა. მაგალითად: *mécatronique (mécanique+électronique)*-ავტომატიზირებული მექანიკა; *cyberespace*-კიბერნეტიკული სივრცე; *audiovideotex*-აუდიოვიდეო ტექნიკა; *progiciel(produit+logiciel)*-დაკომპლექტებული პროგრამული პროდუქტი და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერულ ტერმინოლოგიურ სისტემებში ნეოლოგიზმების წარმოქმნა საკმაოდ ეფექტურად ხორციელდება ენის შიდა, ტრადიციული რესურსების მეშვეობით.

თავი 2-ის დასკვნები

მეორე თავში განვიხილეთ კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემების შევსების ძირითადი წყაროები, ასევე ის ურთიერთქმედება, რაც არსებობს ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის ხელოვნური და ბუნებრივი პროცესების თვალსაზრისით.

საკვლევი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ახალი ტერმინების წარმოქმნის ყველა ხერხი მეტად პროდუქტიულია კომპიუტერულ სფეროში და შესაბამისად, განსახილველი ტერმინოლოგიური სისტემების ყველა ეს ხერხი ძალზე მრავალფეროვანია.

მიგვაჩნია, რომ სესხება წარმოადგენს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში ტერმინების წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. სესხება ინფორმატიკის სფეროში ძირითადად ინგლისურიდან ხდება და დიდ სამუშაოს უქმნის სპეციალიზირებულ კომისიებს ინგლისური ტერმინების ფრანგულში ადაპტირების თვალსაზრისით. ამ სფეროში ტერმინების ფორმირებას მიზანმიმართული, ხელოვნური, თვითნებური ხასიათი აქვს. დღეს, უფრო ხშირად ვხვდებით ოფიციალურ რეკომენდაციებს ლექსიკონებისათვის, ვიდრე ეს 80-იან წლებში იყო.

დავადგინეთ, რომ განსაკუთრებულ როლს კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში აბრევიატურები ასრულებს. დიდი რაოდენობით გვხვდება შემოკლებები, რომლებიც ინგლისურიდანაა ნასესხები. ინგლისური აბრევიატურის გამოყენების ტენდენცია ფრანგულ ენაში მისი ადაპტაციის გარეშე მაშინაც კი არის შენარჩუნებული, როდესაც შესაბამისი ფრანგული აბრევიატურის შექმნა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. ამგვარად, ინფორმატიკის სფეროში ფრანგული აბრევიატურის შექმნა გაცილებით რთულია, ვიდრე სხვა სფეროში.

ასევე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ დერივაციული საშუალებების გამოყენება კომპიუტერული ტერმინოლოგიის შევსების თვალსაზრისით. ფრანგულ ენაში ის საკმაოდ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ტერმინოლოგიური შემოქმედების თვალსაზრისით. ის პროდუქტიულია არა მხოლოდ ბუნებრივი ტერმინების

წარმოქმნისას, არამედ ხელოვნური სახელდების დროსაც. ამ დროს გამოიყენება პროდუქტიული სუფიქსები, პრეფიქსები, სიტყვათწყობა და ა.შ. მასალის კვლევის დროს, გამოვლინდა მეტად პროდუქტიული სუფიქსი - *tique*, რომელიც ფართოდ გამოიყენება ცნებათა ხელოვნური სახელდების დროს. მისი მეშვეობით შეიქმნა ნეოლოგიზმები: *bureautique*, *monétique*, *immotique* და სხვა.

სმს-ს ენის, რომელიც მოკლე ტექსტურ შეტყობინებას წარმოადგენს, განხილვამ გვიჩვენა, რომ მისი წარმოქმნა ახალი ტექნოლოგიების შექმნას უკავშირდება და რომ ის ძალზე პოპულარულია ახალგაზრდებში. მოკლე ტექსტური შეტყობინებების ენობრივი თავისებურებები, განსაკუთრებით გრამატიკული და გრაფიკული მახასიათებლები, მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც წერიით, ისე ზეპირი მეტყველებისგან და საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ სმს მეტყველება, როგორც ახალი ენობრივი ვარიაცია; ენობრივი თავისებურებების მიზეზი არის არა მხოლოდ მედიუმისათვის დამახასიათებელი ტექნიკური შეზღუდვებიდან გამომდინარე დროისა და სივრცის ეკონომია, არამედ მომხმარებელთა სურვილი, შექმნან პირისპირ საუბრის არაფორმალური გარემო, ხაზი გაუსვან კონკრეტული ენობრივი საზოგადოების წევრობას და მასში საკუთარ იდენტობას.

დავადგინეთ, რომ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა სესხებაც ინგლისური ენიდან ხდება, უფრო წარმატებული გამოყენება აქვთ, ვიდრე იმ ტერმინებს, რომლებმაც ადაპტირება ფრანგულ ენაში განიცადეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ტერმინ მეტაფორის საფუძველზე უპირატესობით სარგებლობს თავის სინონიმთან შედარებით, რომელიც სხვა ხერხითაა ნაწარმოები, შეიმჩნევა მოკლე ტერმინების გამოყენების მკვეთრი ტენდენცია.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულ როლს ტერმინოლოგიური სისტემების ფორმირებაში თამაშობს ანალოგია, როგორც აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი, არსებითი კომპონენტია ნებისმიერი თეორიული საქმიანობისათვის და მეტაფორა, როგორც ანალოგიის სახესხვაობა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეცნიერო ცოდნის განვითარების ხერხებს შორის. მეცნიერებაში, მეტაფორა მჭირდოდ არის დაკავშირებული მსოფლიოს შესახებ არსებულ სამეცნიერო სურათის ცნებასთან. ეს აიხსნება ადამიანის აზროვნების მოთხოვნილებით, რომელიც

ოპერირებს აბსტრაქციითა და სახეებით, ის ეხმარება ადამიანის აზროვნების სფეროსთვის სამეცნიერო პარადიგმის პროექცირებაში.

თავი 3. კომპიუტერული ტექნოლოგიების შესახებ ფრანგული პუბლიკაციების დისკურსის ანალიზი

3.1 ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების კონტექსტუალური (არაენობრივი) თავისებურებები

მოცემულ თავში ჩვენი მიზანია განვიხილოთ ფრანგული კომპიუტერული ტერმინოლოგია ახალი ტექნოლოგიების შესახებ არსებულ პუბლიკაციებში. ეს ინტერნეტჟურნალებია: *Le Magazine des nouvelles technologies et des Tests produits high-tech-Le Monde Numérique*⁶ და *Le magazine des technologies de demain*⁷. ჩვენ განვიხილეთ 2013-2016 წლებში დაბეჭდილი პუბლიკაციები. თანამედროვე ფუნქციური ლინგვისტიკის მიხედვით, რომელიც რ.იაკობსონმა და ნ.არუტიუნოვამ შემოგვთავაზეს, ჟურნალის ტექსტები და თავად ჟურნალები, დისკურსის ტიპად შეიძლება განვიხილოთ, რომლებიც გაბმული ტექსტის ფორმითაა წარმოდგენილი...ექსტრალინგვისტური, პრაგმატიკული, სოციო-კულტურული და სხვა ფაქტორებით, სადაც ადრესანტი (სტატიის ავტორი) შეტყობინებას უგზავნის ადრესატს (სტატიის მკითხველს), რომელიც საერთო კონტექსტს იზიარებს და ადრესანტთან ერთად საერთო კოდის გამოყენებით (პროფესიული ლექსიკით და ჟარგონით) ახდენს ინფორმაციის (კომპიუტერების შესახებ) გაშიფვრას (იაკობსონი 1968:197).

მოცემულ პარაგრაფში შევეცდებით გამოვავლინოთ ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტიპური მახასიათებლები ზემოხსენებული ფრანგული ჟურნალების პუბლიკაციების მაგალითზე. იმისათვის, რომ ეს მახასიათებლები გამოვავლინოთ, საჭიროა რამდენიმე ამოცანის გადაჭრა:

⁶ <http://www.lemondenumerique.com/>

⁷ <http://www.futura-sciences.com/tech/>

- განვიხილოთ ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების: *Le Magazine des nouvelles technologies et des Tests produits high-tech-Le Monde Numérique* და *Le magazine des technologies de demain* დისკურსების კონტექსტუალური (არაენობრივი) თავისებურებები;

-განვიხილოთ იმავე ჟურნალების დისკურსების ტექსტუალური (ენობრივი) თავისებურებები.

ჩვენი კვლევის ემპირიულ ბაზას ზემოხსენებული ჟურნალები წარმოადგენს. ფრანგული პუბლიკაციების ლექსიკა მაქსიმალურად ასახავს პროგრამისტების ენას ფრანგულენოვან პროფესიულ სფეროში და ზოგადად, ფრანგული კომპიუტერული დისკურსის თავისებურებებს.

ზემოხსენებული ჟურნალები ინტერნეტგამოცემებია, ერთგვარი ბლოგი, რომელიც ყოველდღიურ ინფორმაციას იძლევა ახალ გამოგონებებზე. კომპიუტერული დისკურსის შედგენასა და გავრცელებაზე ზემოქმედებს სოციალური ინტერაქცია რედაქციის კოლექტივსა და პუბლიკაციის მკითხველს შორის. ეს ინტერაქცია გაშუალებულია, ანუ ხორციელდება ინტერნეტჟურნალის მეშვეობით. დისკურსის მონაწილეთა სოციალური დამოკიდებულება ასიმეტრიულია კომპეტენციისა და შესრულებული ფუნქციის დონის მიხედვით. ჟურნალის ავტორები კომპიუტერული დისკურსის მნიშვნელობას აყალიბებენ, მკითხველები კი ინფორმაციას და ცოდნას იღებენ. კომუნიკაციური ქმედება არსებობს ინტერაქციაში „ავტორი-მკითხველი“, არგუმენტირებულია, რომელიც სამეცნიერო, მხატვრულ და სარეკლამო დიალოგს აერთიანებს. ამ საკითხს მივუბრუნდებით, როდესაც კომპიუტერული ჟურნალის ტექსტუალურ თავისებურებებს განვიხილავთ.

ჟურნალის ავტორიდან მკითხველს გადაეცემა ინფორმაცია. მართალია, ავტორები და მკითხველები ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან დროსა და სივრცეში, თუმცა მაინც ხდება მკითხველთან კონტაქტის დამყარება ჟურნალის კონტექსტის ფარგლებში. ეს სიახლოვე ავტორსა და მკითხველს შორის გრამატიკული, სინტაქსური და სტილისტური ხერხების შერჩევით ვლინდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის მკითხველთან დაახლოება უფრო ტექსტუალურ მასახიათებლებს მიეკუთვნება, ვიდრე კონტექსტუალურს. შეგვიძლია მოვიყვანოთ ამ ლინგვისტური

ხერხების გამოყენების მაგალითები, რაც ხელს უწყობს ისეთი ექსტრალინგვისტური პარამეტრის სრულად გაშლას, როგორცაა კომუნიკაციის მონაწილეები (მათი როლი, კოგნიტური მახასიათებლები და სოციალური ურთიერთობა). ქვემოთმოყვანილ მაგალითებში კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება მოცემული ჟურნალის კონტექსტში ავტორისა და მკითხველის დაახლოება:

- აწმყო დრო და ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმა:

Montre connectée... Outre le fait qu'elles ont encore du mal à justifier d'une réelle utilité aux yeux des consommateurs, les montres connectées souffrent d'un défaut majeur : l'autonomie. La plupart des modèles haut de gamme les plus populaires tels que l'Apple Watch, la Moto 360 de Motorola ou la Galaxy S2 de Samsung ne tiennent guère plus de deux jours sans devoir être rechargées. Matrix Industries, une jeune pousse installée en Californie (États-Unis), veut répondre à cette problématique avec un concept simple. Sa montre connectée baptisée PowerWatch utilise l'effet thermoélectrique Seebeck connu depuis le dix-neuvième siècle. Autrement dit, cette tocante électronique connectée en Bluetooth 4.0 LE avec les smartphones Android ou iOS est alimentée à partir de la chaleur dégagée par notre corps ... (Marc Zaffagni, Futura-Sciences, 23/11/2016)£0

- ხშირად ავტორი მკითხველს მიმართავს. იყენებს კითხვით წინადადებებს:

La question de la relation Homme-robot est récemment revenue sur le devant de la scène avec la diffusion aux États-Unis de la série Westworld, une science-fiction aux airs de western qui plonge le téléspectateur dans l'univers d'un parc d'attraction futuriste peuplé d'androïdes ultra-réalistes. Dans leur livre Les robots font-ils l'amour?, paru aux éditions Dunod, Laurent Alexandre, médecin et entrepreneur, et Jean-Michel Besnier, philosophe spécialiste des nouvelles technologies, abordent justement cette fascinante question des robots et du transhumanisme. L'intelligence artificielle va-t-elle tuer l'Homme? Est-il désirable de vivre 1.000 ans? Quels sont nos sentiments pour les robots? Demain, serons-nous tous cyborgs? Autant de questions posées dans l'ouvrage. (Futura, 8/11/2016).

- გვხდება ინფინიტიური კონსტრუქციები:

Box domotique-Commander l'éclairage de sa maison, enclencher le système d'alarme, réaliser des économies d'énergie : la box domotique a ouvert un large champ des possibles. Il est désormais facile de contrôler son intérieur à distance et en temps réel depuis un ordinateur, une tablette tactile ou même un smartphone. De quoi transformer son habitat en une véritable maison connectée. (29/05/2014, le monde numérique).

- გვხდება მომავლი დროის, როგორც უახლოესი მომავლის, ისე *Futur simple*-ის ფორმები: *Le prototype de robot poubelle mobile va être expérimenté entre le 5 et le 10 décembre 2016, en conditions réelles, en Gare de Lyon, à Paris. Ensuite, il effectuera une « tournée » de gares en régions. (1/12/2016, le monde numérique).*

ინფორმაციის გადმოცემის ზემოჩამოთვლილი ხერხები მკითხველზე ზემოქმედებენ ისე, რომ მინიმუმამდე დაჰყავთ სივრცესა და დროში დაშორება, იქმნება ეფექტი, თითქოს კომუნიკაციის პროცესი ახლა მიმდინარეობს. მითითებული ენობრივი საშუალებების გამოყენებით მცირდება ჟურნალში წარმოდგენილი პუბლიკაციის დისკურსის ენის ფორმალობა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოდგენილი ინტერნეტგამოცემა დისკურსის ინსტიტუციური ტიპია. ამ გამოცემას აქვს ტონალობა, რომელიც შეიძლება გამოვხატოთ ისეთი პარამეტრებით, როგორებიცაა სერიოზულობა, ინტენციის ირიბი გამოხატვა, რომელიც არა მხოლოდ აღწერს, არამედ ახდენს ამ ახალი ტექნოლოგიის რეკლამირებას. ამზადებს მკითხველს, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს მისი შექმნის თვალსაზრისით. ჩვენ განვიხილეთ არაენობრივი, ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების კონტექსტუალური პარამეტრები. ჟურნალების კონტექსტუალური თავისებურებების შეჯამებით, გამოვყოფთ შემდეგ მახასიათებლებს:

-კომუნიკაციის ბირთვი მოცემულ დისკურსში არის ჟურნალისტი (ავტორი) და მკითხველი;

-დისკურსის მონაწილეები დაშორებული არიან დროსა და სივრცეში;

-ჟურნალის ფარგლებში ინფორმაციის მიზანი ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის გავრცელებაა;

- ადრესანტი ინფორმაციულ ძალაუფლებას ფლობს ადრესატზე;
- კომუნიკაციის ინიციატივა ინტერაქციაში „ავტორი-მკითხველი“ ეკუთვნის ავტორს;
- ადრესანტსა და ადრესატს შორის ურთიერთობა ინსტიტუციური და გაშუალებულია;
- ადრესატის ხასიათი-კოლექტიურია;
- დისკურსის ტონალობას რეკლამის ფორმა აქვს.

კომპიუტერული ანალიზი არ იქნება სრულყოფილი, თუ ტექსტუალურ ანუ ენობრივ ცვლილებებს არ განვიხილავთ.

3.2 ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების ტექსტუალური (ენობრივი) თავისებურებები

წინამდებარე პარაგრაფში განვიხილავთ ზემოხსენებული ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების ტექსტუალურ (ენობრივ) თავისებურებებს. ჟურნალების მაკროსტრუქტურა შედგება მუდმივი განყოფილებებისა და რუბრიკებისაგან, რომელთა შიგნით არსებობს თემატური ერთიანობა. ჟურნალები: *Le magazine des technologies de demain*, *Futura.com* შედგება შემდეგი რუბრიკებისაგან: *Sciences, Santé, Tech, Maison, Planète*, ხოლო *Le Monde numérique-Le magazine des nouvelles technologies*, *www.lemondenumerique.com*, შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: *Actualités, Reportages, Loisirs numériques, mobilité, informatique, nouvelles technologies*. ჟურნალების ასეთი სტრუქტურა მიმართულია იქითკენ, რომ მკითხველი ადვილად გაერკვეს ახალი ტექნოლოგიების შესახებ მოცულობით ინფორმაციაში.

თითოეულ გვერდზე 10 სტატიაა. სტატიების სემანტიკური სტრუქტურა წარმოდგენილია თემატურად, რომლებიც ტექსტს ქმნიან და მის ძირითად მნიშვნელობას გამოხატავენ. აღსანიშნავია, რომ ლინკები და შინაარსი სხვა საიტებიდან მომდინარეობს, გამოიყენება მხოლოდ ინფორმაციული თვალსაზრისით. სათაური, ტექსტის ერთგვარ რეზიუმეს წარმოადგენს და გადმოსცემს სტატიის ძირითად შინაარსს. ზოგჯერ სტატიაში ქვესათაურიც არის მოცემული, ან კიდევ წინასიტყვაობა, რითაც ხსნის თავად სტატიაში მოცემულ ინფორმაციას. ეს წარმოადგენს ტექსტის ერთიანი მაკროსტრუქტურის მწვერვალს.

ჟურნალის სტატიებს ხაზობრივი განლაგება აქვთ. ტექსტების სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზაცია წარმოდგენილია სრული, გავრცობილი, ზოგჯერ რთული წინადადებებით. ყველაზე ტიპური ფორმებია:

-კითხვითი წინადადებების გამოყენება : *Qui sont les Anonymous en France? Quelle est la précision des GPS? La mémoire Flash du futur sera-t-elle miniaturisée grâce au graphène?(29/11/2016, Futura.com).*

- ჩართული გამონათქვამების გამოყენება : *Ce n'est pas parce qu'il ne vous dit rien que votre antivirus ne veille pas au grain...*

-ავტორის პოზიციის გამოხატვა: *Le Netgear Orbi nous a déjà convaincu pour ses qualités esthétiques et de facilité d'installation. En sera-t-il de même pour les performances?*

N'y allons pas par quatre chemins, avec Orbi, c'est vraiment du tout bon. En effet, alors qu'avec le réseau Wi-Fi de la Freebox, nous avons quelques zones blanches dans la maison, notamment au niveau du jardin, un signal faible au premier étage et rien au second, la solution Netgear propose un réseau bien plus fort dans le jardin et bien présent également au deuxième étage de la maison. Alors, certes, l'ajout d'un satellite au rez-de-chaussée permet d'étendre le réseau sans fil jusqu'au plus haut de l'habitat mais il reste que le débit est partout plus important qu'avant. En plus, on peut se promener dans toute la maison (et à l'extérieur) sans avoir à se soucier du mot de passe ou de toute autre configuration (6/12/2016).

ავტორი პირველი პირის ნაცვალსახელს იყენებს, რითაც ადასტურებს მის პოზიტიურ დამოკიდებულებას კონკრეტული პროდუქციისადმი.

-პირობითი წინადადებების გამოყენება: *S'il n'y a pas d'antivirus actif, le navigateur proposera le téléchargement d'un fichier Zip... Même si le test démontre le bon fonctionnement de l'antivirus, cela ne dispense pas d'effectuer régulièrement une mise à jour de la base de données de définitions.*

-შემასმენლის ფორმის გამოყენება მომავალ დროში, როგორც უახლოესს მომავალში, ისე მარტივი მომავლის დროში: *Le prototype de robot poubelle mobile va être expérimenté entre le 5 et le 10 décembre 2016, en conditions réelles, en Gare de Lyon, à Paris. Ensuite, il effectuera une « tournée » de gares en régions. (1.12.2016). Les voitures autonomes-sans chauffeur, des convois de poids lourds autonomes interconnectés sillonneront nos routes (27.10.2016-Le monde numérique).*

-კომპიუტერული ტერმინების გამოყენება, რომლებიც ტექსტშივეა ახსნილი ტერმინზე დაწკაპუნებით. ჩნდება ინფორმაცია მის შესახებ, სადაც კარგად ჩანს, ფრანგული ტერმინია ის, თუ ინგლისური ტერმინის შეკვეცილი ფორმა. მაგალითად:

Aux États-Unis, des chercheurs de l'université d'Harvard, associés au laboratoire Wyss Institute ont imprimé en 3D du tissu cardiaque intégré à une puce et des capteurs. En informatique, on parle de system on a chip (SoC) pour caractériser une puce intégrant à la fois la mémoire vive, le processeur et les périphériques. Pour ce tissu humain, le principe est identique et les scientifiques évoquent la notion d'organ on a chip (organe sur une puce). (Sylvain Biget, Futura-Sciences, 29/10/2016). ხაზგასმული სიტყვები ახსნილია tissu cardiaque-humain, qui bat conçu in vitro ; capteurs- un senseur (anglicisme pour «capteur») est un dispositif sensible à un phénomène déterminé et transformant cette grandeur physique en signal (en général électrique). Dans le domaine spatial, un senseur stellaire est un dispositif optoélectronique servant à l'orientation des satellites.

Mémoire vive – RAM, Pour Random Access Memory. Par opposition à la mémoire fixe (ROM), on parle de mémoire vive, qui peut être modifiée à l'infini dès qu'elle est alimentée en électricité. En informatique, la mémoire vive sert à stocker temporairement les fichiers que l'ordinateur exécute.

ჟურნალის სტატიების ტექსტების თავისებურებების ჩამოთვლა თავის ასახვას პოულობს ფუნქციურ-პრაგმატიკულ დონეზე.

კითხვითი წინადადებების გამოყენება მოწმობს ავტორის სურვილს გააღვივოს მკითხველთა ინტერესი ჟურნალში აღწერილი მოვლენის ან საგნის მიმართ.

ჩართული გამონათქვამები გამოიყენება იმისათვის, რომ მიიპყროს და შეინარჩუნოს მკითხველის ყურადღება და ამასთან ერთად, ტექსტს სასაუბრო სტილის, ზოგჯერ კი მხატვრული თხრობის ელფერი მიანიჭოს.

პირობითი წინადადებების გამოყენება კი გამოხატავს ავტორის ყურადღებას ჟურნალის მკითხველებისადმი. პირობითი წინადადებები შესაძლო სიტუაციების, პრობლემებისა და საკითხების ჩამონათვალს წარმოადგენს. პირობით წინადადებაში მოცემულია ის გზა, თუ როგორ უნდა დააღწიოს თავი ადამიანმა სირთულეს, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებთან ურთიერთობისას ვლინდება. მაგალითად, ამა თუ იმ პროგრამის დაყენებისას ან კიდევ ამა თუ იმ ახალი პროდუქციის გამოყენებისას.

ავტორები ცდილობენ გაითვალისწინონ მკითხველების სავარაუდო შეკითხვები და ამიტომაც იყენებენ პირობით წინადადებებს, რაც ადასტურებს მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და ყურადღებას მკითხველების მიმართ.

მომავალი დროის გამოყენება ასახავს იმ ფაქტს, რომ ჟურნალი ატყობინებს თავიანთ მკითხველებს ახალი ტექნოლოგიების გამოგონებების შესახებ, რომლებმაც ტესტირება გაიარეს ლაბორატორიებში და მომავალში გაიყიდება მაღაზიებში. მარტივი მომავალი დროის გამოყენება თითქოს ამოკლებს იმ ინტერვალს, რომელიც ავტორსა და მკითხველს შორისაა და ქმნის ისეთ ეფექტს, რომ თითქოს კომუნიკაცია ახლა მიმდინარეობს.

ბრძანებითი კილოს ფორმების გამოყენება ჟურნალის ტექსტებში მიუთითებს ავტორის ემოციებს, რომ მკითხველი ჩართოს მოცემულ სიტუაციაში. მაგალითად: *Tutoriel: Contrôlez votre PC depuis une tablette tactile(14.11.2016, le monde numérique)* ან კიდევ *Maîtrisez les extensions sous Google Chrome.*

ჟურნალების ფუნქციურ-პრაგმატიკულ თავისებურებად ტექსტის დონეზე შეიძლება ჩაითვალოს სიტყვათა სემანტიკა. სტატიების ტექსტების სემანტიკური ელემენტების თავისებურება კომპიუტერული ტერმინოლოგიის გამოყენებაში მდგომარეობს. ჟურნალებში შეიძლება გამოვყოთ, როგორც სპეციფიკური კომპიუტერული ტერმინები-ნეოლოგიზმები-*Icarus, le boîtier qui peut pirater n'importe quel drone en plein vol, Un drone, un aéronef sans pilote, Streaming-Mode de transmission de données audio et video, selifie, Soli, la puce radar de Google destinée aux objets connectés, Droïde- un robot plus ou moins anthropoïde. Les dendrites, les mini-ordinateurs du cerveau, Luna, le drap-housse connecté qui rend votre lit intelligent, DelftAcopter, un drone qui décolle comme un hélicoptère et vole comme un avion,* ისე, სერთო გამოყენების სიტყვები, რომლებიც მეორადი ნომინაციის შედეგად ტერმინებად გვევლინება. მაგალითად: *souris, vitesse, raccordement, fonctionnalité.* ტერმინებს შორის არის ასევე აბრევიატურები *Lidar(light connection and ranging), BPL(Broadband over Power Lines)* ფრანგულად *CPL (Courants porteurs en ligne), CD-RW: disque compact réinscriptible (compact disc rewritable), DB:Base de données (DataBase), EDI:Échange de données informatisées (Electronic Data Interchange), FAO:Fabrication assistée par ordinateur,*

GAP: Générateur automatique de programmes (IBM), HDD: (Hard Disk Drive)-Lecteur de disque dur, MAO: Musique assistée par ordinateur და სხვა. ასევე აბრევიატურის შემცველი ელემენტები-E-mail, lecteur DVD, MP3, 3D mark ა.შ.

განვიხილოთ ტექსტი ზემოხსენებული ჟურნალიდან. სტატიას განვიხილავთ, როგორც მიკროტექსტს, რომელსაც გააჩნია ჟურნალის *Le magazine des technologies de demain-ს* მაკროტექსტის ყველა მახასიათებელი. ავიღოთ მაგალითად სტატია სათაურით: *Des piles en diamant faites de déchets radioactifs...*

Tom Scott, spécialiste des métaux radioactifs à l'université de Bristol, a fait sensation lors de la session 2016 des colloques «Des idées pour changer le monde». La sienne, résumée dans une vidéo en anglais, est d'utiliser un déchet radioactif issu des centrales nucléaires fermées pour produire de l'électricité. Il s'agit en l'occurrence du carbone-14 qui se forme dans les barres de graphite (du carbone) servant de modérateur au cœur des centrales nucléaires britanniques. Le Royaume-Uni en aurait un stock de 95.000 tonnes.

Selon Tom Scott, c'est sur la surface de la barre que se forme cet isotope radioactif du carbone. Il explique qu'il doit donc être possible de le prélever facilement en chauffant, le 12C stable se trouvant à l'intérieur. Transformé en gaz, ce carbone-14 servirait à fabriquer des diamants radioactifs. Sa conférence au colloque était d'ailleurs baptisée Diamonds are forever... Comme cette radioactivité «bêta moins» est constituée d'électrons, voilà un générateur. Le principe est connu depuis des lustres : c'est celui du générateur bêta-voltaïque, qui produit donc son électricité directement. La demi-vie du carbone-14 étant de 5.730 ans, cette « pile » produit des électrons durant des milliers d'années. Ce qui la rendrait bien commode.

La pile-diamant pourrait servir dans l'espace et dans le corps humain

Reste que personne n'a réussi à réaliser un tel générateur efficace, malgré les efforts de chercheurs comme Jae W. Kwon, à l'université du Missouri. Alors que penser de l'annonce de Tom Scott ? D'après le communiqué de l'université de Bristol, il n'utilise pas le carbone-14 mais prévoit seulement de le faire. Pour l'instant, son laboratoire travaille avec du nickel-63. Il lui faudra rendre le diamant conducteur, ce que l'on sait faire. Il faudra ensuite, comme le

montre la vidéo, encapsuler ce diamant radioactif dans un autre, plus grand, chargé la radioactivité bêta... mais qui devra laisser sortir les électrons.

Quelle puissance? Quel coût? Quelles utilisations? Tom Scott, qui n'a pas publié ses résultats, ne donne pas de précisions. Il évoque les engins spatiaux et les implants médicaux, qui pourraient ainsi fonctionner des années. Pour trouver des idées, il en demande aux internautes en leur proposant de se rassembler derrière le hashtag #diamondbattery (Jean-Luc Goudet, Futura-Sciences, Publié le 30/11/2016).

სათაური გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას ეძღვნება სტატია. სტატია განთავსებულია რუბრიკაში : *Futura Tech*, რაც ავსებს ჩვენ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს მოცემული სტატიის საგანი. სტატიას წინ უძღვის რეზიუმეს მსგავსი წინასიტყვაობა. ის თემის შესახებ დამატებით ინფორმაციას გვაწვდის. შესავალ ნაწილში კარგად ჩანს, თუ როგორ აღწერს ავტორი მოვლენას. ის არ იყენებს სპეციალურ ნაცვალსახელებს, თუმცა კარგად ჩანს, რომ ავტორის მიზანია მკითხველის ყურადღების მიპყრობა, ერთგვარი კონტაქტი მყარდება ადრესანტსა და ადრესატს შორის.

მკითხველსა და ჟურნალისტს შორის კონტაქტის დამყარებას დროსა და სივრცეში ჟურნალის სტატიის მიხედვით, ხელს უწყობს სინტაქსური კონსტრუქციები, სადაც გამოიყენება ზმნები თხრობითი კილოს აწმყო და პირობითი კილოს აწმყო დროებში. იყენებს მესამე პირის ნაცვალსახელს. მკითხველთან კონტაქტის დასამყარებლად, სტატიის ტექსტში გვხვდება კითხვითი ფორმები, რაც რეალური სივრცის რეჟიმსა და ერთიან სივრცეში ცოცხალი კომუნიკაციის ილუზიას ქმნის : *Alors que penser de l'annonce de Tom Scott ? Quelle puissance ? Quel coût ? Quelles utilisations?*

დასაწყისში აღწერილია პრობლემა, თუ როგორ შეიძლება რადიოაქტიური ნივთიერებები მშვიდობიანი მიზნებისათვის იქნას გამოყენებული. ტექსტში დიდი რაოდენობით მოცემულია სამეცნიერო ტერმინები, რომლის საბოლოო შედეგი თვით სათაურში კარგად ჩანს. ბრილიანტის გამოყენება ელემენტების დასამზადებლად. სტატიის მეორე ნაწილის ქვესათაური იტყობინება, რომ ბრილიანტი-ელემენტი შესაძლოა გამოვიყენოთ სივრცესა და ადამიანის სხეულში. სტატიის ავტორი იყენებს

დადებითი კონოტაციის მქონე ლექსიკას. მეცნიერი ტომ სკოტი, რომელსაც ეს იდეა გაუჩნდა, მიუთითებს კოსმოსურ ხომალდებსა და სამედიცინო დანიშნულების მქონე იმპლანტებზე, რომლებიც მუდმივად ფუნქციონირებენ. სტატიის ავტორს მეცნიერის სიტყვები მოჰყავს, რომლითაც სურს ინტერნეტის მომხმარებლების მიზიდვა, რათა ამ იდეის გარშემო გაერთიანდნენ.

ზემოთ გამოყენებული მაგალითების მეშვეობით, სტატიის ტექსტი სარეკლამო ტექსტის ზოგიერთ ნიშან-თვისებას იძენს, რომელიც მკითხველს მოცემული საგნის უჩვეულო ღირებულებაში არწმუნებს.

სტატიაში ხაზგასმულია მნიშვნელოვანი ტერმინები. თითოეული მათგანი ახსნილია. ბოლოში კი მოცემულია ვიდეო, რომელიც გაჩერებულ ბირთვულ ელექტროსადგურებზე მოგვითხრობს. სტატიაში საუბარია რადიოაქტიული ნივთიერების ადამიანის საკეთილდღეოდ გამოყენების შესახებ.

ასეთი სახით წარმოდგენილი სტატიის ტექსტი მას მკვეთრ სტრუქტურას ანიჭებს. ავტორი იყენებს მარტივ წინადადებებს. გამოთქვამს ვარაუდს, რომელსაც პირობითი კილოს აწმყო დროით გადმოსცემს.

ტექსტში კარგადაა აღწერილი პრობლემა. ამას გარდა, სტატიისა და ჟურნალის სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულება განსაკუთრებული შინაარსის ლექსიკის გამოყენებით ვლინდება. სტატიის ლექსიკურ-სემანტიკური შემადგენლობა გამოხატულია, როგორც საერთო ლიტერატურული სიტყვებით, ისე პროფესიული, კომპიუტერული ტერმინებით.

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში მოცემულია დიდი რაოდენობით ტერმინები, ის კომპიუტერულ სფეროში არაპროფესიონალი მკითხველისათვის რთული გასაგები სრულებითაც არაა. ამის მიღწევა შესაძლებელი ხდება ტექსტის სტრუქტურის გათვალისწინებით.

განვიხილოთ ახლა სხვა ტექსტი იმავე ჟურნალიდან, რომლის სათაურია: *Ballu, un étrange robot-ballon qui marche sur l'eau.*

სტატის ტექსტის შემოთავაზების პრინციპი ისეთივეა. სტატის წინ უძღვის რეზიუმე, რომლითაც ვხვდებით, თუ რაზე იქნება საუბარი მასში. ტერმინები ხაზგასმულია. ზოგი იქვეა ახსნილი, ზოგიც კი დაწკაპუნების შედეგად, გადადის სხვა გვერდზე და მოცემულ ტერმინს სხვა სტატიაში უფრო ფართოდ და დაწვრილებით ხსნის. მასში საუბარია რობოტზე, რომელსაც სახელიც კი შეარქვეს ბალუ, რომელიც დისტანციურად იმართება, აქვს ფეხები, შეუძლია სიარული, კიბეზე ასვლა და ჩასვლა. ჰელიუმით გაბერილი ბურთია და ქარის მიმართ ძალზე მგრძობიარეა. სტატია მოცემულია რუბრიკაში *Futura Tech*, კატეგორია: *Robotique, Robot, Ballon Hélicum*. მაგალითი:

Créer des robots bipèdes dotés d'un sens de l'équilibre proche ou équivalent à celui de l'Homme est une tâche complexe. Il existe déjà des expérimentations intéressantes, comme Atrias de l'université d'État de l'Oregon, le Durus du Georgia Tech ou encore le robot Atlas de Boston Dynamics (filiale de Google). Bardés de capteurs et d'articulations motorisées, le tout piloté par une batterie d'algorithmes, ces machines sont d'une grande sophistication et en général très lourdes.

Une équipe du RoMeLa (Robotics & Mechanisms Laboratory) de l'université de Californie à Los Angeles (UCLA) a tenté une approche radicalement différente pour créer un robot bipède des plus étonnant. Ballu (Buoyancy Assisted Lightweight Legged Unit), c'est son nom, se résume à trois ballons emplis d'hélium en guise de tronc et de deux jambes, ou plutôt deux échasses, articulées au niveau des genoux. Elles sont actionnées par des câbles eux-mêmes commandés par des petits moteurs logés au niveau des pieds. Le robot est piloté à distance via une télécommande qui déclenche des flexions des jambes. Le robot Ballu n'aime pas le vent.

Ballu n'a donc pas besoin de système de stabilisation complexe pour se maintenir debout puisqu'il flotte, ses jambes jouant le rôle de contrepoids pour lui assurer sa station verticale. Simple et efficace. Le robot peut ainsi marcher, monter ou descendre des escaliers, danser, sauter, jouer les funambules sur un fil et même marcher sur l'eau. Hyper stable, silencieux et quelque part plutôt gracieux, Ballu a un seul problème : comme tous les ballons, il est très sensible au vent.

Ce qui pose la question des applications concrètes qui pourraient découler de ce concept inédit. Les membres du RoMeLa emmenés par le professeur Dennis Hong restent assez vagues à ce sujet. Une version quadrupède existe également tandis qu'un modèle capable de transporter une charge utile et un autre avec une partie supérieure articulée sont en cours de développement. Pas sûr que l'on voit un jour Ballu déambuler dans la rue. Mais il est fort amusant à regarder en tout cas ! (Marc Zaffagni, Futura-Sciences, Publié le 17/11/2016).

ერთი შეხედვით, თავად რობოტის სახელწოდება *Ballu*, ასოცირდება მულტფილმის გმირ დათვთან, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია, თუმცა მასთან არანაირი კავშირი არა აქვს. სიტყვა *Ballu* (*Buoyancy Assisted Lightweight Legged Unit*), აბრევიატურაა. ტექსტში გამოიყენება აწმყო დრო და ძირითადად ინჟინიტიური კონსტრუქციები, როდესაც რობოტის თვისებების აღწერა სურთ. ტექსტში ხაზგასმულია ტერმინი *Atrias*, რომელზეც დაწკაპუნებით გადავდივართ ახალ ტექსტზე, რომლის სათაურია: *Atrias, un robot bipède qui court avec aisance presque partout, Jonathan SARE, Futura-Sciences, Publié le 20/04/2016*. ერთმანეთზე გადაბმული სტატიები ავსებს მკითხველის ცოდნას, აძლევს საინტერესო ინფორმაციას რობოტების შესახებ. მაგალითი: *Voici Atrias, un robot capable de se mouvoir sur deux jambes, de garder l'équilibre sur un terrain accidenté et de rester debout lors d'un choc. Cette étonnante machine est l'œuvre de l'Oregon State University et son équipe du Dynamic Robotics Lab (États-Unis). Elle utilise des jambes montées sur ressorts afin de garder l'équilibre en toutes circonstances. Cette capacité d'absorption est similaire à celle des muscles humains encaissant les impacts et offrant une démarche plus rapide. Elle lui permet aussi de se déplacer à plus de 2,5 m par seconde, c'est-à-dire presque au pas de course. Le robot Atrias semble tout à fait à l'aise en laboratoire mais aussi à l'extérieur, prouvant qu'il n'a pas besoin de connaître parfaitement le terrain pour se déplacer.*

სტატიას ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა. ამ ხერხით, სტატიის ავტორს სურს ახლო კონტაქტი დაამყაროს მკითხველთან. სიტყვა *Voici*-ს გამოყენებით, თითქოს ავტორი გვაცნობს რობოტს. ამ სტატიასაც რეკლამის ხასიათი აქვს. ტექსტში გამოყენებულია აწმყო დრო, შესაბამისი ტერმინოლოგია. ავტორი საუბრობს

რობოტის, როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებზე, ამით უფრო საინტერესო ხდება ასეთი ტიპის ტექსტი.

განვიხილოთ ტექსტის მაგალითი კომპიუტერული ჟურნალიდან: *Le Monde numérique*. სტატიის სათაურია: *Domotique : Somfy lance sa télécommande Nina pour contrôler d'un seul geste*. (20/09/2016- Le monde numérique).

La marque Somfy, spécialiste des systèmes d'automatisme pour la maison, vient d'annoncer l'arrivée d'un nouvel accessoire pour la domotique, la télécommande Nina permettant le contrôle d'appareils tels que les volets roulants d'un mouvement de la main. Actuellement, il existe une application et des télécommandes relativement classiques pour contrôler les différents dispositifs de la marque Somfy à l'intérieur d'une maison. Maintenant, avec la télécommande Nina, le pilotage se veut encore plus simple et plus intuitif. En effet, d'après le fabricant, un simple geste de la main suffit pour piloter la montée et la descente des équipements installés comme des volets roulants, par exemple. Pour ces opérations, plus besoin de rentrer dans l'application et naviguer entre les menus. D'un geste vers le haut juste au-dessus de la télécommande Nina, on ouvre un volet. L'interface est personnalisable afin de s'harmoniser avec chaque configuration de chaque habitat. Grâce à sa technologie io-homecontrol, la télécommande Somfy Nina est compatible avec tous les équipements motorisés de la marque mais aussi avec ceux des partenaires comme Philips Hue, Velux, etc. avec une remontée d'informations pour être sûr que la commande a bien été exécutée. La télécommande est équipée d'une batterie rechargeable sur le socle livré avec. La télécommande Somfy Nina est disponible pour 264 €.

მოცემულ ტექსტს ახლავს სურათები და ბოლოში ვიდეო. ტექსტი საკმაოდ ადვილი გასაგებია, მიუხედავად იმისა, რომ მასში ბევრი კომპიუტერული ტერმინია. მოცემული ნივთი კომერციალიზაციის მიზნითაა წარმოდგენილი. თუ დავაკვირდებით, ქვემოთ ფასიც კი არის მითითებული. თუკი პირველ კომპიუტერულ ჟურნალში მეცნიერულ მიღწევებზეა საუბარი, ბოლო ტექსტი სუფთა რეკლამაა. გამოგონება არსებობს, მოხდა მისი კომერციალიზაცია, მოცემულია მისი დადებითი მხარეები, დაბოლოს, ფასი. ტექსტში გამოყენებულია აწმყო დრო. გამოგონებას სახელიც დაარქვეს, ქალის სახელი *Nina*, რატომ მაინცდამაინც ეს სახელი, ვინაიდან

ადვილი დასამახსოვრებელია. ის ქალთან ასოცირდება, რადგანაც მანქანა-დანადგარი მდებრობითი სქესისაა. მოცემული ტექსტი გაცილებით პატარაა, მასში არც ტერმინების ახსნა არაა მოცემული და არც სხვა ტექსტზე გადასვლაა შესაძლებელი, როგორც პირველი ჟურნალის ტექსტის შემთხვევაში. მოცემული ტექსტი გაცილებით უფრო მარტივი, პოპულარული ენითაა შედგენილი. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ის უფრო სარეკლამო ხასიათისაა და ამიტომაც, ვერ იქნება რთული ენით დაწერილი.

ჩვენ მიერ განხილული ჟურნალების ტექსტუალური თავისებურებები იერარქიის ორ საფეხურზე (მიკროსტრუქტურის და მაკროსტრუქტურის) მის მახასიათებლებს წარმოადგენს:

-ჟურნალის მაკროსტრუქტურა წარმოდგენილია სფეროებად და რუბრიკებად დაყოფით, რომელთა შიგნითაც შეიმჩნევა თემატური ერთიანობა;

-ჟურნალის სტატიებს ძირითადი სათაურების გარდა, ქვესათაურებიც აქვთ;

-ჟურნალის სტატიების ტექსტები სემანტიკური კავშირით გამოირჩევა და ხაზობრივად ვითარდება;

-ჟურნალების სტატიების ტექსტებს ახასიათებთ ფაქტების გადმოცემის თანმიმდევრობა (თემატური ორგანიზებულობა);

-ჟურნალის ტექსტების სინტაქსი წარმოდგენილია სრული, გავრცობილი, უფრო იშვიათად რთული წინადადებებით (მოქმედების სუბიექტის მითითებით);

-ჟურნალების ტექსტების სინტაქსურ-სემანტიკური სტრუქტურის მთავარი მახასიათებელი ზმნების გამოყენებაა აწმყო და მომავალ დროებში, პირობითი კილოს აწმყო დროში; ასევე ინფინიტიური კონსტრუქციების გამოყენება, მკითხველისადმი მიმართვა, რაც კომუნიკანტების სივრცესა და დროში გაუცხოების ხარისხს ამცირებს;

-ტექსტების ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურა წარმოდგენილია, როგორც საერთო სალიტერატურო სიტყვებით, ისე პროფესიული კომპიუტერული ტერმინებით;

-საერთო სალიტერატურო ლექსიკა წარმოდგენილია დადებითი კონოტაციის მნიშვნელობებით, ხშირად ზედსართავი სახელები შედარებით ხარისხში გამოიყენება, რაც ტექსტებს რეკლამის ელფერს ანიჭებს;

-ტექსტებში ხაზგასმულია ტერმინები და ახსნილია ისინი, იქნება ეს ფრანგული, თუ ინგლისური მნიშვნელობის ტერმინები;

- ტექსტების შევსება ხდება ფოტოებითა და ვიდეომასალით, რაც ახსნის, გაგების და აღქმის პროცესს უფრო მარტივს და მიმზიდველს ხდის.

3.3 კომპიუტერული „ჟარგონები“ ფრანგული პუბლიკაციების დისკურსში

მოცემულ პარაგრაფში განვიხილავთ ფრანგული კომპიუტერული ჟარგონების ნომინაციის ხერხების დადგენის პრინციპებს, რომლებიც ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიურ სისტემას განეკუთვნება.

კომპიუტერული ჟარგონები, რომლებიც ჩვენ მიერ ზემოხსენებულ ჟურნალებში გამოიყენება, წარმოადგენს პროფესიული კომპიუტერული ლექსიკის გამოყენების დაახლოებით 70%-ს.

ენათმეცნიერებაში, ჟარგონი მეტყველებაა, რომელსაც ერთი და იმავე პროფესიის ადამიანები იყენებენ. ის სოციოლექტია. ჟარგონის ფუნქცია ძირითადად უტილიტარული ხასიათისაა, თუმცა მას მაინდენტიფიცირებელი თვისებაც გააჩნია. მისი გაგება ძნელი ან შეუძლებელია იმათთვის, ვინც ამ მეტყველებას არ იცნობს.

ჟარგონი ვითარდება სპეციალური ჯგუფის შიგნით და საერთო საქმიანობის გარშემო აერთიანებს ადამიანებს. მან პირველ რიგში უნდა აღწეროს ის რეალობები, რომელსაც მოცემული ჯგუფი იცნობს. ის გულისხმობს გამონათქვამის ეფექტურობას, მის სიმკვეთრეს, ასევე ლაკონურობას და ორაზროვნების არქონას. გარეშე პირისათვის, საბაზისო ლექსიკური მარაგი საკმარისი იქნება საქმიანობის ასაღწერად, მხოლოდ როგორც კი ის სფეროს ჩაულრმავდება, აუცილებელი ხდება რეალობის კომპლექსურობის გამოხატვა კონკრეტული მეტყველების მეშვეობით.

პარალელურად, ჟარგონი ავიწროვებს იმ ჯგუფს, რომელიც მას იყენებს. მოსაუბრეებს გააჩნიათ საკუთარი სპეციალიზირებული მეტყველება, რომელიც შედგება კონოტაციის მქონე ტერმინებისაგან, მათი კოჰეზიის საშუალებას იძლევა და მოცემული ჯგუფის მიღმა მყოფი ადამიანები მაშინვე ახდენენ მის იდენტიფიცირებას. ჯგუფი ქმნის სიტყვებს, რომლებიც რეალობის განსაკუთრებულ გამოცდილებას ასახავს და ამით, ჟარგონი თავის თავში მოცემული ჯგუფის იდენტობას და კულტურას შეიცავს. ჟარგონს გასართობი ფუნქციაც აქვს, თუმცა ეს ფუნქცია ნაკლებადაა გამოკვეთილი. სიტყვებს კონოტაციური მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ლექსიკური ერთეულები მოტივირებულია იმ უპირატესი ნიშნებით, რომლებიც

მოცემულ პროფესიულ სფეროს ახასიათებს. ყოველივე ეს ეხმარება მოსაუბრეს „გაერთოს“ საკუთარი მეტყველებით.

უნდა განვასხვავოთ ტექნოლექტის ჟარგონი, რომელიც ინაწილებს საკუთარ ფუნქციასთან ერთად ტექნიკურ ფუნქციას, რომელსაც სრულებითაც არ აქვს ჟარგონისთვის დამახასიათებელი მაიდენტიფიცირებელი და გასართობი ხასიათის ნიშან-თვისებები. ტექნოლექტი სპეციალიზირებული რეალობის გამოხატვის საშუალებაა, რომელიც გულგრილი ობიექტურობით, ყოველგვარი კონოტაციის გარეშე ხორციელდება. მისი სიტყვების მოსამებნად, ტექნოლექტი უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს ოფიციალურ ტერმინოლოგიას, მაშინ, როდესაც ჟარგონი ქმნის საკუთარ გამონათქვამებს.

ხშირად, ჟარგონი ეშლებათ არგოში. როგორც არგო, ისე ჟარგონი სოციოლექტებია. არგოს განიხილავენ, როგორც რომელიმე ჯგუფის სპეციალიზირებულ ენას, უფრო ხშირად დამნაშავეთა მეტყველებას ან კიდევ ერთი და იმავე პროფესიის მქონე ადამიანთა ჯგუფის ენას. ამ მხრივ, არგოს უკავშირებენ ამა თუ იმ პროფესიის ტერმინოლოგიას; ამგვარად, ის შეიძლება აერიოთ ტექნოლექტში, რომელიც სოციოლექტი გახდა. არგოს სხვადასხვა ფუნქციებს შორის, აღსანიშნავია გასართობი ფუნქცია, საიდუმლო ფუნქცია, ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა არგოსათვის. *Le Petit Robert* ჟარგონს შემდეგნაირად განმარტავს: «ბოროტმოქმედთა საიდუმლო, დეფორმირებული ენა, რომელიც შექმნილია შეუსაბამო ელემენტებით», «მეტყველება, რომელიც რომელიმე ჯგუფს ეკუთვნის და ხასიათდება სირთულით, სიტყვისა და გამოთქმის არაბუნებრიობით, ფორმით, რომელიც ახასიათებს მოცემულ პროფესიას, საქმიანობას, რომელიც გაუგებარია ამ სფეროში ჩაუხედავი ადამიანისათვის» (რობერი 2000:1221). საერთო რაც არსებობს არგოსა და ჟარგონს შორის ისაა, რომ ორივე განეკუთვნება უფრო დიდ ერთეულს, მეტყველებას.

ჟარგონი სპეციალიზირებული, ტექნიკური ენაა, რომლის ეკონომიკური ფუნქცია სწრაფი და ზუსტი სასაუბრო პროგრესის საშუალებას იძლევა. არგო, კი თავის მხრივ, ბოროტმოქმედთა ენაა, იმ ჯგუფების მეტყველება, რომლებიც საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან იზოლირებას მეტყველების მეშვეობით ცდილობენ, რომელიც ყველანაირად ხელს უშლის იმ ადამიანებს, რომლებიც მასში ჩახედულები არ არიან,

არგო გაიგონ. ჟარგონიც ხომ სპეციალიზირებული ენაა და ის ძნელად გასაგები ან გაუგებარი ხდება იმათთვის, რომლებიც მას იყენებენ. ამ დროს, ჟარგონს, როგორც არგოს, საიდუმლო ფუნქცია აქვს. თუმცა ძირითადი განსხვავება ჟარგონის სავარაუდო გასაიდუმლოებასა და არგოს გასაიდუმლოებას შორის არის ინტენცია ანუ განზრახვა. არგო შეგნებულად გამოიყენება საიდუმლო დანიშნულებით, მაშინ, როდესაც ჟარგონს შეიძლება მრავალი მიზანი ჰქონდეს, რომელთა შორისაც არის ეკონომიკა, სპეციალიზაცია ან კიდევ იმის შეგრძნება, რომ ის ამა თუ იმ ჯგუფს განეკუთვნება. ის არ ცდილობს წინადადების შენიღბვას. როდესაც მოსაუბრის განზრახვა ცნობილია, მერე შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომელ ენობრივ მოვლენას ვგულისხმობთ არგოს თუ ჟარგონს. ზოგადად, მკვეთრი ზღვარის გავლება არგოსა და ჟარგონს შორის შეუძლებელია. ის ხშირად დავის საგანი ხდება.

ინფორმატიკას საკუთარი სპეციალიზირებული ჟარგონი აქვს, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ახალი სიტყვები ახალ ტექნოლოგიებთან ერთად იქმნება. ინტერნეტის გამოყენების კულტურამ და კომუნიკაციური საშუალებების მომრავლებამ ახალი ჟარგონები შექმნა.

კომპიუტერული ჟარგონების ნომინაციის ხერხების გასაანალიზებლად, გადავწყვიტეთ ვ.ზაბოტკინას და გ.სტეპანოვის მიერ შემოთავაზებული ნეოლოგიზმების კლასიფიკაციისათვის მიგვემართა.

ისინი აღნიშნავენ, რომ ენის ერთიანი ევოლუციის ერთეულს აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის ნომინაციის შეცვლა წარმოადგენს. მსგავსი პროცესი ჟარგონული ტიპის სიტყვების წარმოქმნისას ხდება. ამიტომაც, ნეოლოგიზმების კლასიფიკაცია, რომელიც ზემოხსენებულმა მეცნიერებმა შემოგვთავაზეს, შეიძლება კომპიუტერული ჟარგონის მიმართაც გამოვიყენოთ.

კლასიფიკაციის თანახმად, ჟარგონების ყველა ლექსიკური ერთეული შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: 1.თავად ნეოლოგიზმები(ფორმის სიახლე შეესაბამება შინაარსის სიახლეს); 2. სემანტიკური ინოვაცია ან გადააზრება (ახალი მნიშვნელობა გამოიხატება იმ ფორმით, რომელიც ენაში უკვე არსებობს) (ზაბოტკინა, სტეპანოვი 1982: 16-22). მათი აზრით, ენაში უფრო ხშირია პირველი ჯგუფის ერთეულები, რაც უკავშირდება

საზოგადოების მოთხოვნას, რომ ახალ რეალიებს, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად შეიქმნა, ახალი სახელები დაარქვან.

ნომინაციის ტერმინოლოგიის შესახებ თანამედროვე თეორიის შესაბამისად, თავად ნეოლოგიზმები პირველად ნომინაციას განეკუთვნებიან, ხოლო სემანტიკური ინოვაციები კი მეორად ნომინაციას.

კომპიუტერულ ჟარგონებში ნეოლოგიზმების წარმოქმნას თავისი ახსნა აქვს. კომპიუტერული ჟარგონის ნეოლოგიზმები კომპიუტერულ დისკურსში არარსებული ტერმინების ნომინაციურ ფუნქციას ასრულებენ. კომპიუტერის გამოგონებამ უამრავი ახალი რეალია (დეტალები, დანადგარები, პროგრამები და ა.შ.) წარმოქმნა. ამ რეალიების სახელდება ახალი ფორმებით კომპიუტერის მომხმარებლებისათვის ინფორმაციულ სიჭარბეს ნიშნავდა.

ენა, რომელიც დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს ქმნის სიტყვათა ახალი ლექსიკო-სემანტიკური ვარიანტების განვითარებისათვის, საშუალებას აძლევს პროგრამისტებს უკვე არსებულ სიტყვებს ახალი მნიშვნელობები მიანიჭონ, რომლის შედეგადაც ხდება ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ფორმირება. ასეთი რამ შესაძლებელი ხდება ისეთი სტილისტური საშუალებების გამოყენების შედეგად, როგორებიცაა მეტაფორა და მეტონიმია. ვინაიდან კომპიუტერი ამერიკული ქმნილებაა, შესაბამისად დიდია ინგლისური ენის გავლენა. ამიტომ, ფრანგულში არსებობს ინგლისური კომპიუტერული ჟარგონების „გაფრანგულების“ ტენდენცია. მაგალითად: *Amorce-Programme nécessaire à la mise en marche d'un ordinateur, et exécuté à chaque mise sous tension ou réinitialisation. Anglais:boot. amorce.* იგივე სიტყვა ჩვეულებრივად ნიშნავს-*Ce qui constitue la phase initiale d'une action; début, commencement, ébauche : L'amorce d'une négociation. Premier élément, ce qui forme le début de quelque chose. Application- Logiciel conçu pour aider l'utilisateur à exécuter une tâche spécifique, telle que le traitement de texte, la comptabilité ou la gestion des stocks.* ფრანგულში კი ის ნიშნავს *Action d'une chose sur une autre. Bureau-Désigne l'écran avec les icônes et l'arrière-plan qui apparaît au démarrage de l'ordinateur.* ინგლისურად *desktop.* ფრანგული ტერმინის გადააზრების შედეგად მივიღეთ ახალი მნიშვნელობა. *Champ- Ce terme est notamment utilisé sur Internet. Il désigne une zone réservée à la saisie d'une*

information ou d'une requête dans un formulaire. Par exemple, le champ "Téléphone" signifie la zone où vous taperez votre numéro de téléphone dans un formulaire de renseignements. On parle de champ de recherche notamment dans un moteur.

სწორედ სემანტიკური გადააზრების შედეგად მიიღო მოცემულმა სიტყვამ ეს მნიშვნელობა ინფორმატიკაში. *Cheval de Troie ou Trojan, Sorte de virus installé sur la machine à l'insu de son propriétaire et dont l'objectif est soit la récupération soit la détérioration de données.* სიტყვის მნიშვნელობა მეტონიმურ გადააზრებას უკავშირდება. *E-commerce (E = Electronique) Terme désignant toute transaction commerciale réalisée par Internet. chat-tchatte, carte mère, clavier ; fichier ; feuille ; Graisse- On parle notamment de la graisse d'une police. C'est l'état normal ou gras des caractères saisis au clavier. Jack-Prise constituée de deux ou trois connecteurs coaxiaux. Prise son de votre ordinateur dédiée au branchement d'un micro, d'un casque audio ou d'enceintes. Navigateur- Dans la métaphore empruntée au domaine marin, le navigateur est comme un bateau qui évolue dans l'océan de l'information. C'est le logiciel qui vous sert à afficher les pages web que vous visitez. Parmi les navigateurs connus, on citera Microsoft Internet Explorer, Mozilla Firefox, Konqueror, Opera, Safari...*

სწორედ, მეორადი ნომინაცია, რომელსაც ხშირად იყენებენ კომპიუტერული ტერმინებისა და ჟარგონების ფორმირებისას, ასრულებს იმ ამოცანას, რომლითაც შეიძლება თავიდან აიცილონ პროგრამისტების პროფესიონალური ენის გადაჭარბებული ზრდა ლექსიკური ერთეულების სემანტიკური შესაძლებელობების სრულად გამოყენების ხარჯზე.

ჟარგონულ ერთეულებს თავად პროგრამისტები ქმნიან. ისინი ახდენენ მათ სახელდებას. მომხმარებლები ეცნობიან ჟარგონებს და იწყებენ მათ გამოყენებას გავრცელების ისეთი არხების მეშვეობით, როგორებიცაა სმს-ები, ჩვენ მიერ ხსენებული ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების: *Le monde numérique* და *Le magazine des technologies de demain*, პუბლიკაციები. ი.სუსოვის აზრით, ნომინაცია მოიცავს ადამიანურ საქმიანობაში არსებულ ურთიერთობებს (ჩვენ შემთხვევაში ჟურნალისტებსა და პროგრამისტებს შორის) და დისკურსის კოგნიტიურ

სტრუქტურებს შორის (ჩვენ შემთხვევაში კომპიუტერული დისკურსი) (სუსოვი 1984:15).

კომპიუტერული ჟარგონული ლექსიკური ერთეულების გაგება, განსაკუთრებით იმათი, როლებიც მეორადი ნომინაციის შედეგად წარმოიქმნა, შესაძლებელი ხდება მხოლოდ სიტუაციის გაგების შემთხვევაში, რომლებიც ასახულია ჟურნალის ტექსტში, ანუ იმ შემთხვევაში, თუკი ადრესანტი და ადრესატი ინფორმაციის კოდირების ან გაშიფვრის საერთო კოდს იყენებენ.

კომპიუტერული ჟარგონები არაერთგვაროვანია ფუნქციურ-სტილისტურ პლანში. ზოგი ტერმინებთან უფრო ახლოსაა, ზოგის კი „გაფრანგულება“ ხდება. ამის გამოხატვას უბრალო არტიკლის დამატებით ახორციელებენ. ასე მაგალითად: *L'iPhone est un smartphone conçu par Apple, qui ne possède aucune touche mais uniquement un écran tactile sur toute sa longueur. L'iPhone mesure 61 x 115 mm, pèse 135 g, et affiche un écran tactile de 3,5" (8,9 cm) à 160 dpi. Il offre une résolution classique de 320 x 480 p.* ამ ჟარგონისათვის, არც კი უცდიათ ფრანგული შესატყვისი შეექმნათ.

შემდეგი მაგალითი საკმაოდ საინტერესოა: *Cyathlon: les cyborgs ont leur compétition sportive. Le Cyathlon, la première compétition d'athlètes équipés d'appareillages bioniques, se tient ce samedi 8 octobre à Zurich, en Suisse. Les technologies les plus évoluées de prothèses robotisées de jambes et de bras, les fauteuils roulants, les exosquelettes, les vélos et les interfaces cerveau-machine vont s'affronter autant que les athlètes. Lors des Jeux paralympiques d'été qui se sont achevés en septembre, les athlètes rivalisaient sur un pied d'égalité avec leurs prothèses de haute technicité et autres accessoires. À l'avenir, ils pourraient aller bien au-delà de ce que des athlètes valides peuvent réaliser grâce à des prothèses bioniques. Ces sportifs, « augmentés » par un système d'assistance robotisée malgré leurs handicaps, s'affrontent ce samedi 8 octobre 2016, à Zurich (Suisse), lors de la toute première compétition de Jeux bioniques. Baptisé Cyathlon, cet évènement est soutenu par six organisations spécialisées dans le suivi et le soutien aux personnes handicapées et par le National Centre of Competence in Research Robotics (NCCR Robotics). En plus de permettre à ces « cyborgs » de concourir lors d'épreuves sportives, la compétition a également pour objectif de sensibiliser le public sur l'évolution des travaux en matière de prothèses artificielles*

et de renforcer les échanges des équipes de recherche qui travaillent sur le sujet. ეს ჟარგონი ჰიბრიდული წესით შეიქმნა. **Cyborgs+athlon**, სუფიქსი *-athlon* ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს „შეჯიბრს“. პირველი სიტყვა კი კიბერნეტიკასთან კავშირს აღნიშნავს. ამ ჟარგონის მნიშვნელობა მოტივირებულია.

ჟარგონიზმები ინგლისური კომპიუტერული ტერმინებისაგან წარმოიქმნება, რომელთა ეკვივალენტი ფრანგულში არ არის. შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები ზემოხსენებული ჟურნალებიდან: **Hang 184** : *ce drone taxi vous emmène partout en un clin d'œil L'idée d'un taxi personnel et autonome est séduisante, surtout si celui-ci est capable de voler comme le EHang 184. En plus de pouvoir se déplacer rapidement et d'être intégralement électrique, le véhicule ne demande aucune connaissance de pilotage.*

მეორე მაგალითი ასე გამოიყურება: **Li-Fi** : *l'Internet haut débit par la lumière arrive sur le marché (MAJ), C'était en septembre 2015. Lucibel, une entreprise française spécialisée dans l'éclairage Led, testait avec la Sogeprom un prototype de luminaire Li-Fi pour diffuser, via la lumière, une connexion Internet bidirectionnelle à 10 Mbit/s. Très prometteuse, cette technologie se pose en alternative crédible au Wi-Fi. Septembre 2016, Lucibel vient d'annoncer la disponibilité commerciale d'un luminaire Led compatible Li-Fi dont les performances ont été multipliées par quatre. Éclairage. La version commerciale du dispositif Li-Fi de Lucibel. La photo supérieure nous montre le système d'éclairage Led au plafond dont le cône de lumière diffuse le signal haut débit. La photo du bas présente la "clé USB Li-Fi" qui est en fait un boîtier externe encore assez volumineux et sert à recevoir les données.*

ანდა ასეთი მაგალითი: **Yoga Book**: *une étonnante tablette à deux écrans. Lenovo cherche à réinventer la tablette avec une machine deux en un dotée d'un clavier virtuel à retour d'effets et d'un stylet qui permet d'écrire aussi bien sur du papier que sur l'écran. La Yoga Book est disponible sous Android 6.0 et Windows 10.*

როგორც ვხედავთ, მოცემულ დისკურსებში ინგლისური ჟარგონებია გამოყენებული. მართალია, თითოეული სიტყვა ტექსტშივეა ახსნილი, ფრანგი მკითხველი არც კი ცდილობს ჩაწვდეს ჭეშმარიტ მნიშვნელობას, რომელიც მოცემული ჟარგონითაა გამოხატული. მკითხველს მხოლოდ ის აინტერესებს, თუ

კომპიუტერული დისკურსის რომელი მოვლენა შეესაბამება მოცემულ ცნებას, თუნდაც ეს ბგერითი შეხამება ზოგჯერ ძნელი წარმოსათქმელიც კი შეიძლება იყოს. ზოგიერთი მათგანი ჟარგონიდან ტერმინის კატეგორიაში გადადის და საკამათო ხდება საკითხი იმის შესახებ, რომელი ერთეული შეიძლება ჩავთვალოთ ტერმინად და რომელი ჟარგონად.

ჩვენ მიერ განხილული კომპიუტერული ჟარგონის ლექსიკის ნომინაციის ხერხები, რომლებიც ზემოთ მითითებულ ჟურნალებშია მოცემული, პროგრამისტებისა და ჟურნალების მკითხველების საერთო ტენდენციებს ასახავს, რომლებიც ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემის შექმნის საერთო კოდს უკავშირდება.

3.4 კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემის თავისებურებები ფრანგული კომპიუტერული ჟურნალების პუბლიკაციების მაგალითზე

მოცემული პარაგრაფის მიზანია ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემის თავისებურებების კვლევა. დასახული მიზნის მისაღწევად, საჭიროა გადავჭრათ შემდეგი ამოცანები, კერძოდ:

-განვსაზღვროთ ფრანგული კომპიუტერული ტერმინების ნომინაციის თავისებურებები;

-განვსაზღვროთ ფრანგული კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემის მიერ შესრულებული ფუნქციები;

-განვსაზღვროთ ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ-პრაგმატიკული თავისებურებები.

ინგლისურ ენაში ყოველწლიურად ახალი ტერმინი იქმნება, რომლებიც თავის ასახვას ფრანგულ ენაში პოულობს. ახალი სიტყვების წარმოქმნა საზოგადოების მოთხოვნილებას უკავშირდება, რომ ახალ რეალიებს ახალი სახელწოდებები მოუძებნონ, რომლებიც მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროების განვითარების შედეგად ჩნდება. თუკი ენის მატარებელთა ლექსიკონში არ არსებობს სიტყვა, რომ აღნიშნოს ახალი რეალია, მაშინ ის სახეს უცვლის ძველს და ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს (ზაბოტკინა, სტეპანოვი 1982: 21).

ინგლისურ ენაში წარმოქმნილ ახალ სიტყვათა მნიშვნელოვანი პროცენტი, რომლებიც ბოლო ათწლეულში გაჩნდა, უკავშირდება კომპიუტერულ დისკურსს, რომელიც თავის ასახვას ფრანგულ ენაში პოულობს. ის შედის ტერმინოლოგიური სისტემის შემადგენლობაში.

განვიხილოთ ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი. ამისათვის, უნდა მივმართოთ, როგორც ენობრივ, ისე არაენობრივ, ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს.

კომპიუტერული ტექნოლოგიების სამშობლო აშშ-აა, შესაბამისად, ტერმინებიც იქიდან მოდის. კერძოდ, საუბარია კვლევითი ცენტრების ქსელზე *Silicon Valley*, სადაც კონცენტრირებულია როგორც აშშ-ს, ისე მთელი მსოფლიოს კვლევითი ცენტრების უდიდესი ნაწილი. აშშ-ში 1900 კომპანიაა, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ელექტრონულ მრეწველობასთან. მათ გააჩნიათ კვლევითი ცენტრები, სადაც დაახლოებით 350 მეცნიერი მუშაობს, რომლებიც ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების შემუშავებით არიან დაკავებული. ამერიკის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შემდგარ მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დასაფინანსებლად იხარჯება, ასევე იმ მეცნიერებზე, რომლებმაც თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში. მეცნიერთა უმრავლესობა სტენფორდის უნივერსიტეტს ამთავრებს. ცენტრ *Silicon Valley*-ის ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფის ერთობლივი მუშაობის შედეგად გაჩნდა ახალი ტექნოლოგიური კომპიუტერული დანადგარი მზა სახით და ასევე უკვე არსებული სახელწოდებით. კომპიუტერული ტერმინები და სახელდებები იბადება გამოგონებაზე მუშაობის პროცესში და ყოველთვის იმკვიდრებს ადგილს ასეთი ფორმით. საზოგადოება კი იძულებულია ისარგებლოს ამ სახელწოდებებით. ვინაიდან ეს კვლევები აშშ-ში მიმდინარეობს, სახელწოდებებიც შესაბამისად ინგლისურ ენაზე ჩნდება, შემდეგ უკვე ხდება ფრანგული შესატყვისის დამკვიდრება, თუ არა და ინგლისური ტერმინი პირდაპირ გადააქვთ ფრანგულ ენაში, რითაც „აბინძურებენ“ მას.

ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინების სახელდებისათვის შეიძლება ორი ხერხი გამოვყოთ: პირველადი ნომინაცია და მეორადი ნომინაცია. ტერმინები, რომლებიც პირველადი ნომინაციის შედეგად წარმოიქმნა, შედის ახალი სიტყვების შემადგენლობაში, რომლებიც ინგლისურში გაჩნდა და შემდეგ ფრანგულ ენაში გადავიდა.

თუმცა თანამედროვე ენებში პირველადი ნომინაცია ძალზე იშვიათი მოვლენაა. ფრანგულ ენის კომპიუტერულ დისკურსში ეს მოვლენა გავრცელებული და თანაც აუცილებელია. მათი შეღწევა ფრანგულში პირდაპირ ინგლისურიდან ხდება. პირველადი ნომინაციის შედეგად გაჩნდა ისეთი კომპიუტერული ტერმინები,

როგორებიცაა *web, modern, Asus, Gainward, computer*. თუმცა ბოლო სიტყვას გაუჩნდა ფრანგული ეკვივალენტი *ordinateur*. პირველადი ნომინაციის შედეგად შექმნილი სიტყვები გადადიან სხვა ენების ტერმინოლოგიურ სისტემებში უცვლელად და იქ ოფიციალურად იკიდებენ ფეხს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპიუტერული ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი პირველადი ნომინაციით შეიქმნა ინგლისურში და ფრანგულ ენაში უცვლელი სახით გადავიდა. მეორადი ნომინაციის გზით წარმოიქმნა ისეთი კომპიუტერული ტერმინები, როგორებიცაა *fichier, mémoire, format, surfer sur le Net, compatibilité, souris, support, configuration, performance, menu, lecteur de disquettes* და სხვა. დასახელებულ სიტყვებს თავიანთი მნიშვნელობა გააჩნია საერთო სალიტერატურო ენაში, თუმცა ისინი კომპიუტერული ტერმინოლოგიური სისტემის ერთეულებიც გახდნენ.

ეს სიტყვები გამოხატავენ ცნებებს, რომლებიც ადამიანის ცოდნისა და საქმიანობის სპეციალურ სფეროს აღნიშნავენ და გააჩნიათ მთელი რიგი თავისებურებები, კერძოდ: აქვთ დეფინიცია, სტილისტურად ნეიტრალურები და არაექსპრესიულები, მონოსემანტურებია თავიანთი ტერმინოლოგიური ველის ფარგლებში. მათ მხოლოდ ადამიანთა შეზღუდული რაოდენობა იყენებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური ინტერესებით.

კომპიუტერულ ტერმინებს იყენებენ არა მხოლოდ პროფესიონალები, არამედ ის ადამიანებიც, ვისაც რაიმე შეხება აქვთ კომპიუტერთან ან ახალ ტექნოლოგიებთან. ის ტერმინები, რომლებიც ადრე მხოლოდ პროგრამისტებისათვის იყო ცნობილი, დღეს ცნობილია ადამიანთა სხვადასხვა ასაკობრივი, სოციალური და პროფესიული ჯგუფებისათვის. ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ჟურნალების: *Le magazine des technologies de demain* და *Le Monde numérique-Le magazine des nouvelles technologies* პუბლიკაციებში საკმაოდ საინტერესო და ახალიცაა.

ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემა შედგება კომპიუტერული ტერმინებისაგან. ასევე კომპიუტერული ჟარგონებისაგან. ზემოთ,

მოვიყვანეთ ფრანგული კომპიუტერული ჟარგონების მაგალითები. ეს ჟარგონები ქართულშიც გვხდება, თუმცა მათი რიცხვი დიდი არაა და ისინი არ შედის კომპიუტერული დისკურსის ოფიციალური ტერმინოლოგიის შემადგენლობაში. მაგალითად: *ამოპრინტვა, დაქსეროქსება, დაკლიკება, დალაიქება, გაშიარება, ჩათაობა, დაბოლდება, დაინვაითება*. ქართულში გვაქვს ასევე ტერმინი *თაგვი*, თუმცა ამბობენ *მაუსს*, ასევე გვხდება *პინგი, დასქროლვა, დადეფაულტება, დრაივერი, ბრაუზერი, სპამი* და სხვა. ქართულ ენაში არც კი ცდილობენ ქართული კომპიუტერული ტერმინების შექმნას. მართალია, ქართული კომპიუტერული ტერმინების განხილვა არ არის ჩვენი კვლევის საგანი, თუმცა მაინც ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ მოგვეყვანა მაგალითები იმ მიზნით, რომ გვეჩვენებინა, თუ რამდენად დიდია ინგლისური კომპიუტერული ტერმინოლოგიის ზეგავლენა თვით ქართულ ენაში.

ზემოხსენებულ ჟურნალებში განხილული ტერმინები ფორმირდება პირველადი და მეორადი ნომინაციის საფუძველზე, ასრულებენ ნომინაციურ ფუნქციას და ასახელებენ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებს, დანადგარებს, სისტემებსა და ტექნოლოგიებს. ასე მაგალითად:

Microsoft Event, vers une nouvelle approche de la créativité (31/10/2016-le monde numérique)

*En fin de semaine dernière se tenait le **Microsoft Event**, l'occasion pour le géant américain de présenter à New-York ses nouveautés en matière de logiciels mais aussi de matériel avec de nouvelles Surface et comme leitmotiv : la créativité.*

*Avec ce que certains prennent pour un nouveau souffle ou tout du moins pour un nouvel axe de communication, la créativité, Microsoft espère séduire un très large public et notamment, clairement, piquer des utilisateurs à **Apple**. En effet, la firme de **Redmond** met l'accent sur la possibilité de « donner à chaque individu et à chaque organisation les moyens d'accomplir toujours plus [...] et avec **Windows 10**, Surface et la réalité mixte, nous voulons initier de nouvelles manières de créer, collaborer et s'exprimer », selon **Satya Nadella, CEO de Microsoft**.*

Pour parvenir à cet objectif, Microsoft a présenté une nouvelle Surface. Studio. Ordinateur tout-en-un, Surface Studio se veut être un espace de création naturel et immersif notamment grâce à un large écran de 28 pouces qui peut s'incliner afin de se mettre sous la forme d'un écran classique ou d'une table de dessin. Capable d'afficher une définition **Ultra HD**, il affiche 13,5 millions de pixels et il est bien entendu tactile. Il peut aussi bien être manipulé avec les doigts qu'avec un stylet ou le **Surface Dial**, un dispositif de fonctionnalités étendues. L'ordinateur **Microsoft Surface Studio** est déjà disponible en précommande pour 3000 Dollars.

Microsoft a également annoncé la sortie d'un nouveau périphérique, le **Surface Dial**. Ce dispositif est compatible avec **Windows 10** et il permet de faire défiler une page, de zoomer ou de naviguer plus intuitivement qu'avec les périphériques classiques. Posé sur un écran, il permet de faire apparaître des fonctionnalités supplémentaires. Le **Surface Dial** sera disponible courant novembre pour 100 Dollars environ.

Microsoft a profité de cet évènement pour annoncer un élargissement de la gamme des **Surface Book** avec l'arrivée d'une version dotée d'un processeur **Intel Core i7** et des composants gonflés à bloc. Ce **Surface Book i7** afficherait, selon le fabricant, des performances graphiques doublées, une autonomie de 16 heures et un prix à partir de 2400 Dollars.

Proposée gratuitement à partir du printemps 2017, une nouvelle mise à jour de **Windows 10** sera disponible. Baptisée **Windows 10 Creators**, elle embarquera de nouvelles fonctionnalités relatives à aux usages **3D** et à la réalité mixte introduit par le casque **Hololens**, par exemple. Avec cette mise à jour, **Edge**, le navigateur **Internet de Microsoft** sera le premier programme de ce genre à exploiter le potentiel de la **3D**, selon l'éditeur. En outre, cette mise à jour dévoilera **Paint 3D**, un prolongement du célèbre utilitaire de dessin livré avec **Windows**. L'application **Remix 3D** permet aux joueurs de **Minecraft** de partager leurs créations **3D**. Des modèles en relief pourront être ajoutés au sein de l'application **PowerPoint** tandis que **Ink Editor** dans **Word** permet d'utiliser le stylet pour modifier les documents.

La mise à jour **Windows Creator** permettra aussi de créer des sessions de streaming de jeux, de développer ses propres compétitions d'**eSports** dans les arènes du **Xbox Live**.

*Pour communiquer encore plus facilement, **Windows Creator** laissera la possibilité d'épingler des fiches Contacts sur la barre des tâches, de faire glisser une photo ou une vidéo pour la partager immédiatement et de voir les informations d'échanges (e-mails, messages instantanés et documents partagés) au même endroit.*

თუ დავაკვირდებით წარმოდგენილ დისკურსს, ის გაჯერებულია ისეთი ტერმინებით, რომლებიც პირდაპირ ინგლისურიდან შევიდა ფრანგულში. ისინი მუქი შრიფტით წარმოვადგინეთ. ძირითადად გვხვდება პირველადი ნომინაციის შედეგად მიღებული ერთსიტყვიანი ერთეულები.

უფრო რთული სტრუქტურის მქონე ტერმინოლოგიური ერთეულები მიიღება მეორადი ნომინაციის შედეგად. ის აერთიანებს რამდენიმე სიტყვას, აბრევიატურას, სიმბოლოებს, რომლებიც ასოებითა და ციფრებითაა გამოხატული. ასეთი ტერმინების მნიშვნელობა მხოლოდ პროფესიონალებს ესმით, რომლებიც კარგად ერკვევიან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. მაგალითად:

*Nouveaux **smartphones HTC Desire 10 pro et lifestyle** au design métallique (26/09/2016-le monde numérique)*

*La marque **HTC** qui souffre actuellement sur le marché des smartphones vient d'annoncer la sortie de deux nouveaux modèles dans la série **Desire**, le **Desire 10 pro** et le **Desire 10 lifestyle**. La promesse **d'un châssis en métal** et des photos supérieures à celles que l'on pourrait faire avec d'autres mobiles, selon le constructeur...*

*Si la bataille de la puissance n'est plus vraiment d'actualité étant donné que la plupart des smartphones à partir du milieu de gamme sont capables d'offrir des expériences parfaitement fluides et réactives, le sujet de la différenciation s'est déplacé sur le terrain du multimédia et plus particulièrement de la photo. En effet, de très nombreux constructeurs ne vantent plus que les mérites de leurs smartphones pour la qualité des clichés qu'ils peuvent réaliser. C'est aussi le créneau d'**HTC** qui a besoin de redorer son blason et de trouver des pistes pour se relancer dans la course.*

*Marquant les esprits avec des châssis en métal d'un très bel effet, **HTC** continue dans sa lancée avec **les Desire 10 pro et lifestyle**. Ainsi, ces deux mobiles profitent de finitions douces, mates et contrastées. Ils s'appuient sur un écran de **5,5 pouces** affichant une définition **Full HD** pour le **pro** et **720p** pour le **lifestyle**.*

*Comme les derniers **smartphones LG, Honor ou Huawei**, le **HTC Desire 10 pro** bénéficie d'un lecteur d'empreinte digitale au dos afin de déverrouiller très rapidement l'appareil dès sa prise en main. En outre, sachez que le constructeur a associé à cette touche le réveil de la fonction **Selfie** pour se prendre en photo soi-même en quelques secondes. Toujours dans le domaine de la photographie, le **HTC Desire 10** embarque un **capteur de 20 MP** avec des fonctions de contrôle étendues. On peut compter sur la présence du mode selfie panorama pour des images ultra larges. A l'avant, c'est un capteur de **13 MP** qui **officialie** et qui peut être associé à un **flash** intégré à l'écran.*

*Pour l'audio, un domaine cher au constructeur taïwanais, la technologie **BoomSound** est de mise sur les deux modèles. Rappelons qu'avec elle, l'écoute est optimisée avec des aigus précis et des basses claires. En outre, le **smartphone** est capable de lire des contenus **Hi-Res** et donc de restituer une musicalité haut de gamme.*

*Le **HTC Desire pro** dispose d'un **processeur octo-core** associé à **4 Go** de mémoire vive et **64 Go de stockage interne extensibles** via une **carte mémoire** tandis que le **Desire 10 lifestyle** est animé par un **processeur quad-core** associé à **3 Go** et **32 Go** d'espace d'enregistrement interne. La batterie **du pro** a une capacité de **3000 mAh** et de **2700 mAh** pour le modèle **lifestyle**.*

*Les nouveaux **smartphones HTC Desire 10 pro et Desire 10 lifestyle** seront disponibles courant novembre.*

მოყვანილ დისკურსში მოცემულია კომპიუტერული ტერმინები, რომლებიც პირველადი და მეორადი ნომინაციის შედეგად იქნა შექმნილი. მოცემულია ახალი ტელეფონის პარამეტრები, მისი დადებითი თვისებები, მისი უპირატესობა სხვა მობილურ ტელეფონებთან შედარებით, თუმცა ეს ინფორმაცია პროგრამისტებისათვის უფრო გასაგები იქნება. ამიტომაც, მაღაზიაში მისვლისას კონსულტანტს უნდა

სთხოვთ დახმარება, რომ დისკურსში მოცემული ინფორმაცია უფრო მარტივად და გასაგები ენით ახსნას.

როგორც ვხედავთ, მრავალწევრიანი კომპიუტერული ტერმინები გრძელი, ძნელი წარმოსათქმელი და ძნელი დასამახსოვრებელია. სწორედ ამიტომ, ისინი უცვლელად გადადიან ინგლისური ენიდან ფრანგულში. ისინი ქმნიან საფუძველს ფრანგული ჟარგონების წარმოსაქმნელად. მაგალითად:

***Oombrella**, le parapluie qui se la joue station météo(30/03/2016-Le monde numérique)*

*Qu'on habite à côté de la mer ou en pleine campagne, il arrive régulièrement que le temps change et parfois sans prévenir. Aussi, la **startup Wezzoo** vient de lance une campagne de financement participative sur la **plateforme Kickstarter** pour l'**Oombrella**, un parapluie connecté.*

***Lauréat FrenchTech** du dernier salon **Consumer Electronic Show 2016** de Las Vegas et finaliste du concours de startup de **Weareable-the Fashion Tech Festival**, le concept du parapluie connecté semble séduire. Mais de quoi s'agit-il exactement ?*

*L'**Oombrella** est un dispositif connecté à un smartphone via une liaison sans fil **Bluetooth** et une application pour mobile. Ce dernier est alors capable de vous prévenir, avant de partir de chez vous, s'il y a un risque d'intempérie dans votre secteur. Via l'application, il sera donc à même de vous dire s'il doit vous accompagner ou s'il peut rester bien sagement à la maison. L'**Oombrella** intègre plusieurs capteurs qui en font une vraie station météo avec géolocalisation. Sur le **smartphone**, il peut afficher la température, la pression atmosphérique ou le taux d'humidité. Enfin, notez que le parapluie peut aussi prévenir qu'il a été oublié dès que l'utilisateur s'en éloigne trop loin. Pour les plus connectés et les plus créatifs, le parapluie propose un pas de vis pour y fixer un smartphone, une caméra tout terrain ou tout autre accessoire.*

Le dispositif est alimenté par une pile qui, selon le fabricant, autorise une autonomie de 2 ans environ. Il est décliné en 3 finitions : colorée, blanche ou noire.

მოცემულ დისკურსში ვხდებით „გაფრანგულებულ“ სიტყვებს. ინგლისურ ტერმინს არტიკლს უმატებენ და ცდილობენ მისთვის ფრანგული ლექსიკური ერთეულის ფორმის მინიჭებას. უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი თუ მეორადი ნომინაციის დროსაც, ფრანგულ ენაში სიტყვის სახელდება ინგლისური ტერმინის მოდელით ხორციელდება. ამოსავალი ყოველთვის ინგლისური ერთეულია. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ ხელი შეუწყო სწორედ ტერმინების გავრცელებას და ეს იგრძნობა ყველა ენაში. ზემოხსენებული ჟურნალების მკითხველები იმახსოვრებენ არა მხოლოდ ტერმინს და მის მნიშვნელობას, არამედ მისი გამოყენების შესაძლო ვარიანტებს და სიტუაციას. მაგალითად:

*Personnalisez couleurs et motifs animés sur la chaussure connectée **ShiftWear** (10/12/2015-Le monde numérique)*

*Avec les possibilités infinies des objets connectés, les idées les plus originales fleurissent à l'image d'un projet présenté sur **la plateforme de financement participatif, Indiegogo**. Il s'agit d'une chaussure capable de se voir appliquer différentes couleurs et motifs pilotés depuis une application sur smartphone.*

*Le principe s'appuie sur la technologie **E-Paper** que l'on peut trouver au sein de certaines **liseuses** pour lire des livres numériques. Avec l'écran flexible **E-Paper** qui recouvre une partie de la chaussure, elle peut donc afficher différentes couleurs mais également des motifs aussi divers qu'improbables et même des séquences animées avec une qualité **HD**. Le tout est contrôlé depuis une application pour smartphone à partir de laquelle il suffit de choisir les différents paramètres à afficher sur la chaussure.*

Malgré son caractère hautement technologique, la chaussure serait étanche jusqu'à 5 mètres et lavable en machine. Elle pourrait se recharger sans fil d'autant qu'il suffirait de marcher pour alimenter la batterie interne et disposerait d'une autonomie de 30 jours environ.

*La chaussure connectée personnalisable **ShiftWear** est déclinée en plusieurs versions de basse à haut avec 4 couleurs pour la semelle et les contours des trous pour les lacets (noir, rouge, vert, bleu ou jaune). Elle pourrait être commercialisé courant 2016.*

ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც ინგლისურიდანაა ნასესხები უფრო ხშირი გამოყენება და უპირატესობა აქვს, ვიდრე სხვა ხერხით ნაწარმოებ ტერმინებს: *un décodeur-un boîtier multiservice, le webmaster-l'administrateur de site, le spamming-l'arrosage, le bombardement, le cédérom -le disque compact, le moniteur – l'écran témoin, l'écran de contrôle, la page web - la page sur la toile, la réalité virtuelle - la réalité de synthèse* და სხვა.

არსებობს მკვეთრად გამოხატული ტენდენცია უპირატესობა მოკლე ტერმინებს მიანიჭონ. მაგალითად: *le pare-feu -la barrière de sécurité, la souris-la boule de commande, le logiciel éducatif - le logiciel d'enseignement, un article - un fil de la discussion* და ა.შ.

საინტერესო მაგალითია ასევე ჩვილებთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიის შექმნა. ამ ტექსტშიც გვხდება ახალი მოკლე ტერმინები შესაბამისი რეალიებით. უნდა აღინიშნოს ის, რომ მოცემულ დისკურსში ფრანგული ტერმინები ჭარბობს.

Tucky, le thermomètre connecté pour surveiller les fièvres des tout petits. (20.04.2016-Le monde numérique).

Remarqué sur le salon du CES de Las Vegas en janvier dernier, le thermomètre connecté Tucky développé par une startup française est maintenant disponible en prévente avant sa mise sur le marché prévue pour l'été 2016.

Tous les parents d'enfants malades ont passé au moins une nuit, si ce n'est plus, à veiller sur leur enfant fiévreux. Pour des nuits plus calmes, la startup e-TakesCare a réussi à développer un thermomètre connecté compact qui se glisse sous le bras du nourrisson. Installé sur une base souple, flexible, particulièrement légère et hypoallergénique, il peut être porté toute une nuit sans provoquer de gêne pour l'enfant. Via sa liaison sans fil avec une limitation spécifique des ondes, il peut communiquer avec un smartphone et une application idoine. Celle-ci est personnalisable. Elle permet de suivre plusieurs enfants simultanément si nécessaire afin de consulter des mesures de températures, de recevoir une alerte afin de décider d'une intervention ou non et d'accéder à un historique précis des relevés. Pour être en accord avec les éventuelles prescriptions médicales, il est possible d'ajouter au sein de l'application des

*événements comme la prise de médicaments ou des repas. **Tucky** peut aussi bien servir la nuit qu'en journée d'ailleurs pour un meilleur suivi de l'enfant. Le thermomètre Tucky est parfaitement étanche. Bien entendu, il est réutilisable. Il mesure 78x25 pour 4 à 7 mm d'épaisseur. Il faut 8 grammes. Il peut mesurer des variations de températures comprises entre 24 et 44°C. Selon son fabricant, sa précision serait de 0,2° de 35° à 42°. Il aurait une autonomie d'une semaine environ. Il se recharge via un câble micro **USB** livré. Sa portée est de 10 mètres environ.*

*Le thermomètre connecté **e-TakesCare Tucky** est actuellement disponible en précommande pour 69,90 €. Il sera proposé à 99,90 € dans les pharmacies, les enseignes de puériculture et sur le site du fabricant d'ici la fin de l'été 2016.*

მეცნიერები ზრუნავენ იმაზე, რომ სულ უფრო გამარტივდეს ცხოვრება და სრულყოფილი გახდეს ის ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით. ამის დასტურია ქვემოთოყვანილი დისკურსი.

Pour bien travailler, optez pour le bureau connecté (6.10.2015-Le monde numérique)

*On connaît les meubles **Ikea** qui permettent de charger son smartphone grâce à la technologie sans fil par induction mais maintenant, il faut désormais compter sur les bureaux connectés. Baptisé **Cinlou**, il s'agit du premier prototype du genre fruit des attentes des clients **Camif** et d'un développement réalisé par les équipes du fabricant de meubles **Parisot**.*

*Objet d'une campagne de crowdfunding, financement participatif, le bureau connecté **Cinlou** sera peut-être bientôt une réalité. Fabriqué à partir de bois certifié **PEFC**, ce nouveau meuble connecté propose un design plutôt moderne et surtout pensé pour les habitudes de travail actuelles. Pour cela, il dispose d'un système de recharge par induction qui permet d'alimenter électriquement la batterie d'un smartphone, sans fil. Le système utilise la technologie **Qi** compatible avec de nombreux mobiles ainsi qu'avec des coques.*

*La lumière **LED** intégrée au sein du meuble peut être contrôlée depuis une application gratuite disponible pour un smartphone ou une tablette tactile sous **Android** ou **iOS**. Enfin, disponible en option, la fonction Audio permet d'écouter de la musique et de passer des appels téléphoniques via le **Bluetooth** pour garder les mains libres.*

*Le bureau connecté **Cinlou** mesure 139x91x65, 2 cm. Il est associé à un caisson sur roulettes mesurant 59,9x67, 9x38,4 cm.*

*La version du bureau connecté **Cinlou** avec lumière et système de recharge par induction est proposée à 369 €. Comptez un supplément de 30 € pour l'option Audio. Il est disponible sur le site camif.fr.*

*Notez aussi qu'une [campagne Ulule](#) a été mise en place permettant de profiter d'une remise de 40 €, jusqu'à mi-octobre sur les pré-réservations d'un bureau connecté **Cinlou** (avec ou sans option Audio).*

ეს დისკურსი იმითაა საინტერესო, რომ ეს ახალი ტექნოლოგია ფრანგული წარმოებისაა. ეს პროექტი შეიქმნა „აწარმოე საფრანგეთში“ პირველი გამოშვების ფარგლებში. ეს იყო მოვლენა, რომელმაც მომხმარებელი და კომპანიის წარმომადგენლები ფრანგ მრეწველებს დაუკავშირა. კომპანია CAMIF⁸-ის წარმომადგენლებს ეკუთვნის ინტერნეტთან დაკავშირებული საწერი მაგიდის შექმნის იდეა, რომელიც ყოველდღიურ მოთხოვნებს პასუხობს. ერთი წლის შემდეგ კი იდეა რეალობად იქცა. იდეა ავეჯის ინტერნეტთან კავშირის შესახებ ჯერ კიდევ საფრანგეთში ცნობილი ავეჯის შვედურ ფირმა *Ikea*-ს ეკუთვნის, რამაც ხელი შეუწყო ინტერნეტთან დაკავშირებული საწერი მაგიდის შექმნის იდეის რეალიზებას.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალი ტექნოლოგიის ყოველდღიურობაში დანერგვა თავის ასახვას ჰპოულობს ადამიანთა მეტყველებაში, თუნდაც ტერმინების დამკვიდრების თვალსაზრისით. თავად ახალი ტექნოლოგიები კი კომფორტს ჩვენი ცხოვრების გასაღამაზებლად ქმნიან.

მოცემულ პარაგრაფში განვიხილეთ ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემის თავისებურებები ზემოხსენებული ჟურნალების

⁸ CAMIF-ფრანგული საწარმოა, რომელიც კერძო პირებს სახლის სპეციალური აღჭურვილ ამარაგებს. ის საქონელს ყიდის მაღაზიის, ფოსტის ან ინტერნეტის მეშვეობით. მისი დევიზია: „შევცვალოთ ინტერიერის სამყარო“.

პუბლიკაციების მასალაზე დაყრდნობით და გამოვავლინეთ მოცემული სისტემის მახასიათებელი ნიშნები:

-ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიური სისტემის განვითარება დაკავშირებულია ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან, კერძოდ, კომპიუტერული ტექნოლოგიის ზრდასთან;

-ფრანგული კომპიუტერული დისკურსის ტერმინოლოგიურ სისტემას შეადგენს უშუალოდ კომპიუტერული ტერმინები;

-კომპიუტერული ტერმინები წარმოიქმნება პირველადი და მეორადი ნომინაციის გზით;

-კომპიუტერული ტერმინები ასრულებენ ნომინაციურ ფუნქციას;

-ტერმინების სტრუქტურა წარმოდგენილია ერთსიტყვიანი, მრავალსიტყვიანი და მრავალკომპონენტიანი ერთეულებით.

ჩვენ განვიხილეთ ფრანგული კომპიუტერული დისკურსის მახასიათებლები ჟურნალების: *Le magazine des technologies de demain* და *Le Monde numérique-Le magazine des nouvelles technologies*, პუბლიკაციების მასალაზე, რომლებიც კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ეხება. დისკურსის კონტექსტუალური და ტექსტუალური ცვალებადი მახასიათებლების ანალიზით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ფრანგული კომპიუტერული დისკურსი წარმოადგენს ჩამოყალიბებულ სისტემას, რომელსაც აქვს როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი თავისებურებები. მთავარი ენობრივი თავისებურება ისაა, რომ ამ დისკურსს გააჩნია თავისი მყარი, სტრუქტურული ორგანიზაციის მრავალფეროვნებით წარმოდგენილი ტერმინოლოგიური აპარატი.

3.5 ახალი ტექნოლოგიები მეცნიერების სამსახურში

წინამდებარე პარაგრაფი ეძღვნება ზოგადად ახალი ტექნოლოგიების როლს ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაში. ახალმა ტექნოლოგიებმა საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი ყოველდღიურ ცხოვრებაში. მსოფლიოში, იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც სახლში არ აქვს კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, პლანშეტი და ა.შ. ადამიანები დამოკიდებული გახდნენ მათზე, ის თანამედროვეობის ერთგვარი „ნარკოტიკია“. იქამდეც კი მიდის საქმე, რომ ბავშვებს კომპიუტერთან უფრო ურჩევნიათ თამაში, ვიდრე თანატოლებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ტექნოლოგიებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები გააჩნიათ. არ შეიძლება ბავშვები მთელი დღის განმავლობაში კომპიუტერთან იმყოფებოდნენ. ის ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს, ღიზიანდება. ამიტომ, პატარა ასაკში კომპიუტერთან ყოფნის ხანგრძლიობა უნდა შევამციროთ. თუმცა, ახალ ტექნოლოგიებს ბევრი დადებითი თვისებაც გააჩნია.

მაქსიმ ამბლარი ამბობს, რომ ინფორმატიკაში კვლევებმა ფენომენალური აქსელერაცია განიცადა. [...] ფაქტობრივად, ინფორმატიკა აღარ არის ის მეცნიერება, რომელიც გამოთვლებითაა დაინტერესებული ან კიდევ იმით, რისი გამოთვლაც შეიძლება, არამედ უნდა გაითვალისწინოს ის, როგორ გარდაქმნის იმას, რაც მის გარშემოა. ასეთი სახით, ის შეიძლება გამოვიყენოთ მეცნიერების ნებისმიერი დარგის მიმართ, იქ, სადაც ინფორმატიკა ხდება სპეციფიკური. მისი ევოლუცია ზემოქმედებს ყველა მეცნიერებაზე. საუბარია მაგალითად „ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერების“ აღმოცენებაზე. ეს ახალი თემატიკა დაინტერესებულია სწორედ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების კვლევის პრაქტიკის და მონაცემთა ინტერპრეტაციის გარდაქმნით ახალი ინფორმაციის მემწეობით, რომლის მოპოვებასაც ინფორმატიკა იძლევა. რთულია იმის გარკვევა ზუსტად, თუ რა არის ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებები[...] თუმცა ეს ტრანსფორმაციები გვხვდება ასევე სხვა მეცნიერებებში. ამ თვალსაზრისით, ჩვენ ვხვდებით, რომ ინფორმატიკა ახორციელებს ცვლილებას სხვა დისციპლინის სფეროს ორგანიზებაში. წინასწარი დასკვნის გაკეთების გარეშე, [...] როგორც ჩანს, ინფორმატიკისათვის პრობლემას წარმოადგენს იმის გაგება, თუ როგორ ახდენენ სხვა მეცნიერებები მის ცვლილებას.

ინფორმატიკის სრული სპექტრი მრავალ შეკითხვას პასუხობს, ფიზიკური პრობლემიდან დაწყებული კონცეპტუალური მოდელირებით დამთავრებული. მატერიალური შესაძლებლობა ძალიან სწრაფად ვითარდება და ხელსაწყოები სულ უფრო იხვეწება. ეს უნარი ინფორმატიკისათვის წარმატება კი არ არის, არამედ ობიექტია, რომელშიც ის იშლება და ხდება განსჯის საგანი. ინფორმატიკა დიდი ხნის განმავლობაში საინფორმაციო სისტემების მოქმედების სფეროს წარმოადგენდა. ბოლო დროს ინფორმატიკის რეალიზება ხელოვნური ინტელექტის (*l'intelligence artificielle - IA*) კონცეფციაში მოხდა(ლამბარი 2016 : 22).

ჟაკ ტარდიფი წერს: „ვირტუალური სივრცე, საინფორმაციო მაგისტრალი, კიბერსივრცე, ის გამოთქმები და სიტყვებია, რომლებსაც იგონებენ და რომლებიც ასახავენ ენობრივ პლანში იმას, რომ ტექნოლოგიები საზოგადოებაში რეალური მოვლენაა. ენის მიღმა, თითოეული მოქალაქე მის არსებობას და ზეგავლენას გრძნობს ყოველდღიური ცხოვრების მრავალ სფეროში. ტექნოლოგიებმა ჯერ კიდევ რეალურად ვერ შეაღწიეს აღზრდისა და განათლების ფორმალურ გარემოში. აქა-იქ ჩნდება ისინი, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ მათი სრული ინტეგრაციისაგან...“(ტარდიფი 2002:24).

ზოგადად, კომპიუტერი ბავშვს უფრო აქტიურს ხდის, ხელს უწყობს მის კრეატიულობას. ინტერნეტის მეშვეობით, მას შეუძლია მეტი ცოდნა შეიძინოს და განახორციელოს უფრო საინტერესო პროექტები. შიდა ქსელების მეშვეობით, მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშავონ ჯგუფურად. ხოლო მეილი მათ საშუალებას აძლევს მსოფლიო მასშტაბით ესაუბრონ თანატოლებს.

კომპიუტერისა და ინფორმატიკის მეშვეობით შესაძლებელია მასწავლებლთა სამუშაო ჯგუფების შექმნა, გამოცდილების გაზიარება, ძალიან ბევრი უპირატესობა არსებობს უწყვეტი სწავლებისა და პიროვნული განვითარების თვალსაზრისით, რომლითაც შეიძლება ინფორმაციის მზარდი გავრცელების გამო მასწავლებლებმაც ისარგებლონ.

დისტანციური სწავლება, რომელსაც სხვადასხვა დაწესებულება სთავაზობს, საშუალებას იძლევა სწავლება სასწავლო დაწესებულების კლასების მიღმა განხორციელდეს.

ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიები პედაგოგიკის განუყოფელი ნაწილი გახდება. ეს პროცესი მოითხოვს მრავალი ქმედების განხორციელებას:

- თითოეული მასწავლებლის უნარ-ჩვევების განახლებას;
- ახალი მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესის სკოლაში ადაპტაციას.

დღემდე, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მოახერხა ასეთი რთული ჰარმონიზაციის განხორციელება, რომელიც პედაგოგიკის მოთხოვნებსა და მულტიმედიის ინდუსტრიის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებს შორის არსებობს. 1996 წელს, ნიუ იუორკის სასწავლო დაწესებულებებში იმის მცდელობამ, რომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა განკარგულებაში უმაღლესი დონის ტექნიკა ყოფილიყო, სავარაუდო მიზნებს ვერ მიაღწია, შეთავაზების დამაკმაყოფილებელი პედაგოგიური შინაარსის კონცეფციის არქონის გამო. ტექნიკის განთავსება ყველა შემთხვევაში უნდა ექვემდებარებოდეს პედაგოგთა გუნდის ნებაყოფლობით ქმედებას. ჩვენ აზროვნებაში ინფორმაციის და კომუნიკაციის ახალი საშუალებები პერიოდულად უნდა ჩნდებოდეს და ამ სფეროში არსებული ტექნოლოგიების მუდმივი განახლება უნდა მიმდინარეობდეს.

ახალი თაობის ბავშვები ციფრული ტექნოლოგიების გარემოცვაში გაიზარდნენ. ციფრული ხელსაწყოები მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. *Google*-ის წყალობით, ამიერიდან ახალგაზრდებს უამრავ ინფორმაციაზე, შინაარსსა და რესურსზე შეუძლიათ ჰქონდეთ წვდომა.

რა ადგილი უკავია ტექნოლოგიას სკოლაში? როგორ ზემოქმედებს ის მასწავლებლის როლზე? იმ დროს, როდესაც ახალი ტექნოლოგიები სკოლის მოსწავლეების ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ სახლში. მასწავლებლებმა კლასსა და სახლში ეს მოვლენა სწავლის ოპტიმიზაციის მიზნით უნდა გამოიყენონ

წინა თაობისაგან განსხვავებით, რომელიც სიამოვნებით იყენებდა ტრადიციულ წიგნსა და რვეულს. ახალი თაობა, რომელიც ციფრულ ტექნოლოგიაზეა დამოკიდებული, აღარ დადის ბიბლიოთეკებში. მოსწავლეები აღარ სწავლობენ მველებურად და მასწავლებლებს ისღა დარჩენიათ, რომ სწავლების საკუთარი მეთოდი ახალ სტილს მოარგონ.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, მართლა შეუძლიათ თუ არა ახალ ტექნოლოგიებს განათლების დონის გაუმჯობესება. ინფორმატიკული ტექნოლოგიების ზეგავლენამ სწავლებაზე სარწმუნო შედეგები ვერ გამოიღო. მილიონობით ევრო დაიხარჯა კომპიუტერულ პროგრამებზე, თუმცა ზოგადად რთულია, შეაფასო მისი ეფექტურობა შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ზოგიერთი შედეგი არ აღმოჩნდა სარწმუნო და პირდაპირი ზეგავლენა იქონია სწავლებაზე. შედეგები გაუმჯობესდა სხვადასხვა დონეზე. ესენია: სწავლის პროცესში მონაწილეობა, მოტივაცია, დამოუკიდებელი სწავლა, მშობელთა მონაწილეობა, მოსწავლეთა და პერსონალის დასწრება და პუნქტუალურობა, მოსწავლის სწავლის დროის გახანგრძლივება.

მასწავლებელი უნდა მოერგოს სწავლების ახალ მეთოდებს. გაკვეთილი ისე უნდა ჩაატაროს, რომ პედაგოგიური რესურსები ეფექტურად წარმოადგინოს. მასწავლებელმა უნდა წამყვანი როლი მოიხდეს სწავლების პროცესში, რომელიც მიმართული იქნება მოსწავლეებთან თანამშრომლობის პროცესზე.

სწავლების ორი წამყვანი სტილი (პრეზენტაცია და თანამშრომლობა), შეუძლებელი იქნება ალბათ კლასში ზოგიერთი ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე. წლების განმავლობაში დაფა სწავლის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ზოგადად, მასწავლებელი კლასის წინაშე და ყველა მოსწავლე სწავლების პროცესში ინტერაქტიული ფორმით მონაწილეობს.

პერსონალური კომპიუტერები და პლანშეტები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება კლასში. მნიშვნელოვანია იმის დამახსოვრება, რომ მასწავლებელმა თავის კლასს უნდა უხელმძღვანელოს. მან უნდა გადაწყვიტოს, გამოიყენონ თუ არა მისმა მოსწავლეებმა ტექნოლოგიური ხელსაწყოები გაკვეთილის პროცესში. რაც არ

უნდა იყოს, ის რჩება ყურადღების ცენტრში და თავად აკონტროლებს გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესს. ასეთ გარემოში, მოსწავლეთა ინფორმატიკულ ხელსაწყოებს და ინფორმაციის ასახვის დანადგარებს შორის კავშირი ფუნდამენტური ფაქტორია.

ყოველი მასწავლებელი თუ დაწესებულება ახალ ტექნოლოგიებს განსხვავებული ხარისხით იყენებს. ზოგ შემთხვევაში მასწავლებელი შავ ან თეთრ დაფას მიმართავს, ზოგ შემთხვევაში კი თეთრ დაფას იყენებს მხოლოდ გაკვეთილის ძირითადი საკითხის გასამტკიცებლად. იგივე რამაა, ინდივიდუალური სწავლება, რომელიც ინფორმატიკას ეფუძნება.

დღეს, მხოლოდ 13%, 34 მილიონი საკლასო ოთახიდან მსოფლიოს მასშტაბით, ინფორმაციის ეკრანზე ასახვის ფორმებს იყენებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კლასების უდიდესი ნაწილი (87%) ტექნიკურად არაა აღჭურვილი.

დიდი ხანია ბავშვები იყენებენ ისეთ აღჭურვილობას, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ სწავლას. იყენებენ თეთრ ინდივიდუალურ დაფებს, რითაც საკუთარ პასუხს უჩვენებენ მოსწავლეებსა და მასწავლებელს.

ინდივიდუალური საბაზისო კომუნიკაციური ტექნოლოგია არის ხმის მიცემის სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ უპასუხონ შეკითხვებს, ხოლო მასწავლებელს - გამოავლინოს საუკეთესო პასუხები. სხვა შემთხვევაში, მასწავლებლები გაკვეთილს რამდენიმე კითხვით იწყებენ, რომ წინა გაკვეთილზე შეძენილი ცოდნა შეამოწმონ და განამტკიცონ. ეს მეთოდი მათ საშუალებას აძლევს უფრო ეფექტურად, ხელის აწევით შეამოწმონ და მერე მიუბრუნდნენ იმ საკითხებს, რომელთა გაგებაც მოსწავლეებმა ვერ მოახერხეს. თუმცა, პორტატიული კომპიუტერების გამოყენება (პლანშეტების ჩათვლით) აძლიერებს ჭეშმარიტად ინდივიდუალური სწავლების პოტენციალს, ვინაიდან ეს ხერხები სწავლის ისეთ გამოცდილებას აძლევთ, რომელიც მთლიანად პერსონალიზირებულია.

კონცეფცია „საკლასო ოთახი თავდაყირა“ სწავლების ისეთი მეთოდია, რომელიც ტრადიციულ საკლასო ოთახს წერტილს უსვამს. როდესაც მოსწავლეები

გაკვეთილზე ვიდეოს უყურებენ ან დავალებას აკეთებენ, მასწავლებლის იქ ყოფნა ამ შემთხვევაში სავალდებულო არ არის.

სამაგიეროდ, მასწავლებლის ყოფნა გაკვეთილზე აუცილებელია, რომ მოსწავლეებს დაეხმაროს ზოგიერთი პრობლემის გასაგებად და აუხსნას, როგორ გადაჭრან ესა თუ ის საკითხი. მასწავლებელს, როგორც მეგზურს, შეუძლია მეტი დრო გაატაროს თითოეულ მოსწავლესთან დამოუკიდებლად. მასწავლებელმა ეს კონცეფცია შეიძლება უფრო ზუსტად გამოიყენოს და დროთა განმავლობაში დახვეწოს.

სკოლაში ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლა უამრავ ახალ შესაძლებლობას იძლევა განათლების სფეროში. სანამ ასეთ ახალ ტექნოლოგიებს შეიძენს სასწავლო დაწესებულება, მან უნდა განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები:

ინვესტიცია უნდა განხილულ იქნეს პედაგოგიკასთან კავშირში. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული იდეა ჰქონდეთ იმ ხერხზე, თუ როგორ იქნება ეს ტექნოლოგიები გამოყენებული და რა ზეგავლენას მოახდენენ ისინი სწავლებაზე. ზოგიერთი პედაგოგიური კონცეფცია შეიძლება კონკრეტული მიზნით ჩამოყალიბდეს და შემდეგ მისი თანდათანობითი განვითარება და გაფართოება მოხდეს. არაა აუცილებელი თავიდანვე რადიკალური ცვლილებების შეტანა.

სწავლების ორივე სტილი (პრეზენტაცია და თანამშრომლობა) უნდა იქნეს განხილული და უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ დავაკავშიროთ ერთმანეთს ეს მეთოდები. უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის სწავლების გლობალური გამოცდილება და ვნახოთ, თუ როგორ კავშირშია ერთმანეთთან კლასში და სახლში სწავლება. უნდა ვიცოდეთ, თუ რა როლი უკავია მასწავლებელს და როგორია მისი მომზადების დონე, რომ შეძლოს მაქსიმალურად ტექნოლოგიების უპირატესობით სარგებლობა.

როდესაც ახალ ტექნოლოგიებს იყენებენ კლასში, მათი ზეგავლენა მოსწავლეთა შედეგებზე ნულის ტოლია ან ძალზე სუსტია უკეთეს შემთხვევაში. ახალი ტექნოლოგიები დიდ დახმარებას როდი უწევენ მოსწავლეებს.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა რევოლუცია მოახდინა (*TIC-Technologies de l'information et de la communication*) ჩვენ პირად და პროფესიულ ცხოვრებაში. თუკი მოსწავლეებს არ ძალუძთ რთულ ციფრულ სამყაროში მოძრაობა, ისინი ვერ შეძლებენ სრულად მიიღონ მონაწილეობა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ანუ იმ სამყაროში, რომელიც მათ გარს ეკვრის. ადამიანები, რომლებიც მოსწავლეთა განათლებას ემსახურებიან, მრავალ პრობლემას აწყდებიან ინფორმაციის გადაჭარბებული პლაგიატიდან დაწყებული, ბავშვების, ინტერნეტიდან მომავალი საფრთხისაგან დაცვით დამთავრებული. ესენია: მაქინაცია, პირად ცხოვრებაზე თავდასხმა, ძალადობა ონლაინზე, ადაპტირებული თუ მისადაგებული მედია, მენიუს შერჩევა.

შეიქმნა უამრავი პლატფორმა, რომელიც მოსწავლეებს უადვილებს სწავლის პროცესს. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ *IFOS*, რომელიც *FOS*-ის *français sur objectifs spécifiques* ინტერნეტვერსიაა. ის განსაკუთრებით ეფექტურია იმ პროფესიონალებისათვის, ვისაც ენის შესწავლა სურს. ძირითადად, *FOS*-ი ეყრდნობა ზოგიერთ ასპექტს: მსმენელი, სპეციალისტები, არა ფრანგულში, არამედ საკუთარ სპეციალობასა თუ უნივერსიტეტში, ვისაც სურს ფრანგული ენის შესწავლა მოკლე ვადებში, რათა საკუთარ მიზანს მიაღწიოს, რომელიც ერთდროულად მიზანმიმართული და უშუალოა, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელი "*objectifs spécifiques*".

ახალ ტექნოლოგიებს უნივერსიტეტებშიც იყენებენ, თუმცა აქაც გარკვეული პრობლემები იჩენს თავს. ს.პევანდი და გ. ესპინოზა ამბობენ: “უნივერსიტეტში *TIC*-ს გამოყენებამ ახალი პრობლემები გამოავლინა, რომლებიც განათლებაში სტუდენტის და მასწავლებლის ურთერთობასთან იყო დაკავშირებული. ურთიერთობის ახალი ფორმები, ძალაუფლების ახალი დიალექტიკა, როგორც ჩანს, მუდმივ ევოლუციაში მყოფ ტექნოპედაგოგიკურ კონტექსტებში იქნა ჩამოყალიბებული. შეიძლება ასევე ახლადშექმნილი ურთიერთობის კულტურაზეც ვისაუბროთ, ან კიდევ მასწავლებლისა და სტუდენტის კულტურაზე, როდესაც ორივე *TIC*-ის გამოყენებით და დისტანციური ურთიერთობის შედეგად ყალიბდება.

საფრანგეთში ძალზე მწირია კვლევა იმის შესახებ, თუ სინამდვილეში, როგორ ცვლის *TIC*-ი განათლებაში არსებულ ურთიერთობას, მის სუბიექტურ და ობიექტურ

განზომილებებს. განათლების სფეროში ურთიერთობის პროცესი, რომელიც *TIC*-ს იყენებს, სიმბოლური თვალსაზრისით როგორც სოციალური პროცესი მეტ-ნაკლებად „შავ ყუთს“ ჰგავს.

ისმის კითხვა, თუ რას იძენენ ან კარგავენ მასწავლებლები, რომლებიც ამ ტექნოლოგიურ გარემოში არიან ჩართულები. რა მნიშვნელობას ანიჭებენ პედაგოგიური პარტნიორები დისტანციურ ურთიერთობას? შეიძლება თუ არა დისტანცია გაქრეს გვერდითი „ეფექტების გარეშე“? პედაგოგიური კონცეფცია, როგორც არ უნდა იყოს *TIC*-ის ზეგავლენა, უნივერსიტეტში მასწავლებლისა და სტუდენტის ურთიერთობის მოდელს ავლენს, რომელიც ურთიერთშემავსებელი ხდება. ის სასწავლო მეთოდები, რომლებიც თითოეული კონცეფციით მკვიდრდება, ახდენს სწავლების გარემოს სტრუქტურირებას და მოცემულ სიტუაციაში მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ინტერაქციაზე. სტუდენტები ცდილობენ პასუხისმგებლობა აიღონ, მოახდინონ მობილიზება და ჩაერთონ სწავლაში სილაბუსით შეთავაზებული სწავლების მეთოდით და მოცემულ სიტუაციაში ჩამოყალიბებული ინტერპრეტაციული ხერხებით.

ურთიერთობა სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის ტექნოპედაგოგიურ გარემოში, რთული სოციალური და დიალექტიკური მოვლენაა. იგი იქმნება იმ ინდივიდების მიერ, რომელთაც უამრავი იდეა, ღირებულება, ცვლილებების სურვილი გააჩნიათ⁹.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სკოლა მოსწავლეებს ასწავლის ინტერნეტის და ციფრული მედიასაშუალებების გონივრულ გამოყენებას, დაეხმარება მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში და თავიდან ააცილებს საზიანო საქციელის ჩადენას. ასწავლის

⁹ Saeed Paivandi et Gaëlle Espinosa, « Les TIC et la relation entre enseignants et étudiants à l'université », in *Distances et médiations des savoirs* [En ligne], 4 | 2013, mis en ligne le 08 octobre 2013, consulté le 22 décembre 2016. URL : <http://dms.revues.org/425> ; DOI : 10.4000/dms.425

იმ საფრთხეების თავიდან აცილებას, რომლებიც ბავშვებს ინტერნეტის გამოყენებისას ემუქრება.

ახალ ტექნოლოგიებს ახლავს გარკვეული საფრთხე, თუმცა ისინი საშუალებას იძლევა მოხდეს მაღალი ხარისხის განათლების ოპტიმიზაცია. ის ვერასოდეს ვერ შეძლებს, როგორი პროგნოზულიც არ უნდა იყოს, დროებით დაარეგულიროს დაბალი ხარისხის სწავლება.

განათლების სისტემამ უნდა მოძებნოს უფრო ეფექტური საშუალებები, რათა მასწავლებლებს სწავლების ისეთი გარემო შეუქმნას, რომელიც XXI საუკუნის პედაგოგიკას განავითარებს და მოსწავლეებს ისეთ კომპეტენციებს მიაწვდის, რომლებიც მათ დასჭირდებათ მომავალში წარმატების მისაღწევად.

ტექნოლოგიები ერთადერთი საშუალებაა ცოდნის გასაღრმავებლად. მოსწავლეები ვერ დაკმაყოფილდებიან იმ სახელმძღვანელოებით, რომლებიც ორი წლის წინ გამოიცა ან იმ კონცეფციით, რომელიც 10 წლისაა, მაშინ, როდესაც მათ შეუძლიათ ჰქონდეთ მსოფლიოში არსებულ ყველაზე საუკეთესო და ახალ სახელმძღვანელოებზე წვდომა.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი რამ, ახალი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს მასწავლებლებს და მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა სპეციალიზირებულ წყაროებზე, რომლებიც სკოლის სახელმძღვანელოებში მოცემულ ინფორმაციას აღემატება, სხვადასხვა ფორმატით, დროისა და სივრცის შეზღუდვის გარეშე.

ახალი ტექნოლოგიები თანამშრომლობის შესანიშნავ პლატფორმებს გვთავაზობენ ცოდნის შესაძენად, რითაც მასწავლებლებს შეუძლიათ გაიზიარონ და გაიმდიდრონ თავიანთი პედაგოგიური რესურსები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი სწავლების მეთოდის სამსახურში, რომლის დროსაც მოსწავლე აქტიური სწავლების ცენტრშია, მას სთავაზობენ სწავლების ხერხებს კვლევისა და თანამშრომლობის ფორმატში.

ამისათვის, საჭიროა, რომ გავაორმაგოთ ძალისხმევა დასახული მიზნების წარმატებით განსახორციელებლად. განათლების მუშაკები შეეცდებიან შეინარჩუნონ სტატუს კვო, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერ ცვლილებას ყოყმანი ახლავს. თუკი გვსურს, რომ ნებისმიერი სკოლა გახსნილი იყოს ახალი ტექნოლოგიების დასაანერგად, უნდა შევქმნათ საუკეთესო სტრატეგიები ცვლილების განსახორციელებლად, მოვიპოვოთ მხარდაჭერა მათი მობილიზებისათვის. უნდა მოვახდინოთ ინვესტირება უნარებისა და ცვლილებების მართვის კომპეტენციების განმტკიცებაში, შევაგროვოთ სანდო კონტროლის მონაცემები, გავუზიაროთ ისინი შესაბამის სტრუქტურებს და ასეთი საქმიანობის სამსახურში ხანგრძლივი დაფინანსება მოვიპოვოთ.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ თავად მასწავლებლები გახდნენ ამ ცვლილებების ინიციატორები და მონაწილეობა მიიღონ არა მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციების განხორციელებაში, არამედ მათ შემუშავებაში¹⁰.

ინფორმატიკა იჭრება ყველა ტიპის საქმიანობაში და ასევე კვალს ტოვებს მთარგმნელების ცხოვრებაშიც. იქნება ეს მანქანური თარგმანი, რომელსაც ადამიანი ეხმარება თუ ადამიანური თარგმანი, რომელიც კომპიუტერის მეშვეობით ხორციელდება. დღეს «მანქანა» მთარგმნელობითი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

მარიან ლედერერის თქმით, იმ ლინგვისტებისათვის, ვინც პირველი შეეცადა მანქანური თარგმანი გამოეყენებინა, თარგმნის ობიექტი უცხოური ენა იყო. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სიტყვების ტრანსკოდირება გაცილებით ადვილი იქნებოდა, ვიდრე ენათა სტრუქტურების ტრანსკოდირება, ამიტომ მათ აქცენტი

¹⁰ Andreas SCHLEICHER (2015), *Nouvelles technologies et amélioration des résultats scolaires : la désillusion*-http://www.apprendreaapprendre.com/reussite_scolaire/andreas-schleicher-nouvelles-technologies/ (20.12.2016).

სინტაქსზე გააკეთეს. აშშ-სა და სხვაგან, მკვლევართა მთელი თაობა ეძებდა სინტაქსურ სტრუქტურებში იმ აზრს, რომელიც მთარგმნელს თავში ჰქონდა.

დღეს, გამომთვლელი მანქანის საშუალებები სავსებით საკმარისია, მაგრამ არავის არ მოსდის თავში აზრად, რომ ყველა ტექსტი მანქანამ თარგმნოს; ძირითადად, ცდილობენ, რომ კომპიუტერი მთარგმნელის სამსახურში ჩააყენონ და მთარგმნელები დადებითად აფასებენ იმ დახმარებას, რომელსაც მათ მანქანა უწევს.

დღეს, მანქანურ თარგმანს მხოლოდ დიდ ორგანიზაციებში იყენებენ. მათ ტექსტების თარგმანზე დიდი მოთხოვნილება აქვთ, რომელთა ტერმინოლოგია შედარებით შეზღუდულია. ნაკლებად მოცულობითი ტექნიკური ტექსტებისათვის, რომელთათვისაც მანქანის პროგრამირება, დროისა და ფულის თვალსაზრისით ძალზე ძვირი იქნება, პერსონალური კომპიუტერები, უფრო ადამიანის დამხმარე საშუალებად გადაიქცა, ვიდრე თარგმნის შემსრულებელ მექანიზმად, რომლებიც ტექსტის დამუშავების პროგრამებს გვთავაზობენ და ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზას ხელმისაწვდომს ხდიან.

დღეს ცდილობენ არა მარტო მთარგმნელის «სამუშაო ადგილის» ინფორმატიზირებას, არამედ თავად მთარგმნელების ურთიერთთანამშრომლობით, სურთ ის უფრო კომფორტული, სასიამოვნო და ეფექტური გახადონ. იმ ხერხებს შორის, რომელსაც მთარგმნელებს სთავაზობენ, შეიძლება დავასახელოთ ის, რომ მათ ონლაინ რეჟიმში ყველა სახის ლექსიკონის გამოყენება შეუძლიათ.

ყველაზე მეტად იყენებენ დღეს *Tranlator's Workbench de TRados, Déjà vu d'Atril, Transit de Star, Wordfast de Yves Champollion, SDLX*, რომელიც ახლახან *Trados, Multitrans de Muticorpora, Transuite de Cypresoft*-მა შეისყიდა. რა თქმა უნდა, მათი გამოყენება მოითხოვს ერთგვარ მიჩვევას, მაგრამ მათი გამოყენების პრინციპი მარტივია: თავად მთარგმნელი ავსებს მუშაობის დროს შეძლებისდაგვარად მის მებსიერებას, წყარო-ტექსტებისა და თავად თარგმანების მიწოდებით. სისტემა აკავშირებს ორიგინალის თითოეულ წინადადებას მის თარგმანთან და ქმნის სტრუქტურების ლინგვისტურ მონაცემებს, რომლებიც მოგვიანებით მას საშუალებას მისცემს იპოვოს იდენტური ან მსგავსი წინადადებები და მონაკვეთები. რომელიმე

ახალი ტექსტის თარგმნისას, მანქანის მეხსიერება მას - მთარგმნელს შეთავაზებს; მთარგმნელს შეუძლია მიიღოს ეს შეთავაზება ან კიდევ გარდაქმნას კონტექსტის მეშვეობით. მეხსიერებათა უმეტესობას ტერმინოლოგიის სამართავი სისტემა გააჩნია, რომელიც ერთდროულად ნაცნობ ტერმინებს აზრობრივად მასთან დაკავშირებულ გლოსარიუმებში ეძებს.

თარგმნის შედეგად შეძენილი მეხსიერება მხოლოდ მაშინ ხდება ჰემმარიტად სარგებელის მომტანი, როდესაც მთარგმნელი მასში დააგროვებს მონაცემთა შედარებით მნიშვნელოვან რაოდენობას. ამას გარდა, თარგმნის მეხსიერება საინტერესოა იმითაც, რომ მისი გამოყენება შეუძლია მრავალ მთარგმნელს, რომლებიც ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთს თარგმნის, რაც მთლიანად ტექსტის ფრაზეოლოგიურ და ტერმინოლოგიურ კავშირს უზრუნველყოფს. თარგმნის მეხსიერების დისკი მძლავრი იარაღია, რომლითაც დროში მოვიგებთ და მუშაობისას მეტ ეფექტურობას მივიღებთ. ის ისევე ღირებული როდია, როგორც მთარგმნელი, რომელიც მას ავსებს და იყენებს. ამას გარდა, ის განსაკუთრებით ეფექტურია მონოტონური სამუშაოს განხორციელების დროს, ტექნიკურ, სამედიცინო, იურიდიულ და თვით ფინანსურ სფეროებში, რომლებიც დიდი რაოდენობით მონორეფერენციულ ტერმინებსა და მყარ შესიტყვებებს შეიცავენ. ის უპირატესობას მაშინ კარგავს, როდესაც ტექსტში ორიგინალურის, პირადულის წილი, რომელსაც ავტორი მასში დებს, იზრდება.

თარგმანი სულ უფრო წარმოუდგენელ მნიშვნელობას იძენს იმ სამყაროში, სადაც ცივილიზაციები ერთმანეთს უახლოვდება და ერთგვაროვანი ხდება. სხვათა შორის, მისი ამოცანაა, უზრუნველყოს ეროვნული ენებისა და ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კულტურების გადარჩენა.

გაბატონებულ ცივილიზაციაში შექმნილი თხზულებების „ნაკლებად“ გავრცელებულ ენებზე თარგმანების არქონამ, ინტერესი გაუჩინა მათ წარმომადგენლებს ესწავლათ ის ენა, რომელიც ინფორმაციას აძლევდა გაბატონებული ცივილიზაციის შესახებ, რითაც ივიწყებდნენ ნელ-ნელა ნაკლებად გავრცელებულ ენებს და იმ კულტურებს, რომლის შესახებაც მათ მოგონებები გააჩნიათ და რომლებიც მათ განვითარებას უდევს საფუძვლად. თუკი ამასთან ერთად გაბატონებულ

ცივილიზაციაში არსებული თხზულებები ცუდადაა თარგმნილი, თუკი თარგმანები ამახინჯებენ ორიგინალის აზრს ან არ გააჩნიათ სათარგმნი ენისადმი აუცილებელი პატივისცემა, ეს ენა განიდევნება და გადმოცემული აზრი გაუგებარი იქნება მათთვის, ვინც ამ ენას იყენებს.

თუკი პირიქით, ის კულტურები, რომლებიც ნაკლებად გავრცელებული ენებითაა გამოხატული, თარგმანის მეშვეობით არ შეეცდებიან თავის დამკვიდრებას ძალზე გავრცელებულ ენებში, სრულიად უსარგებლო იქნება ის ფაქტი, რომ თვითმფრინავს შეუძლია რამდენიმე საათში დედამიწის ერთო ბოლოდან მეორეში გადაგვიყვანოს, ხოლო ტელეკომუნიკაციური საშუალებებით რამდენიმე წამში ერთმანეთთან დავამყაროთ კავშირი. ჩვენ ალბათ შევძლებთ საკუთარი სამყაროს სხვა ადგილას გადატანას, მაგრამ ვერ შევძლებთ იმ კულტურების გაცნობას, რომლებსაც გვგონია რომ მივუახლოვდით.

მთარგმნელები მსოფლიო კულტურის მფარველები, დამცველები და გამავრცელებლები არიან, ამბობდა პარიზის სორბონის უნივერსიტეტის პარიზი 3-ის რექტორი, ანრი ბეარი, 1983 წელს *ESIT*-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციის, სახელწოდებით: «საჭიროა თუ არა გადავარჩინოთ ეროვნული ენები?», გახსნისას.

მფარველების, დამცველების, გამავრცელებლების როლის შესრულება მთარგმნელებს ეფექტურად მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის წყალობით შეუძლიათ, რასაც ანალიზის უნარი და სათანადო პროფესიული მომზადება ემატება, რაც მთარგმნელთა დიდი ნაწილის მეგზურია (ლედერერი 2006: 245-284).

თუკი გავითვალისწინებთ ზემოთქმულს და ასევე იმ ფაქტს, რომ მუდმივად ხდება ახალი ტექნოლოგიებისა და პროგრამების დანერგვა, სავსებით გასაგები იქნება ის, რაც ქვემოთ მოყვანილ ტექსტშია მოცემული. ვინაიდან, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ეხება კომპიუტერული დისკურსის ფუნქციურ თავისებურებებს ახალი ტექნოლოგიების შესახებ, ეს მაგალითი სწორედ ინოვაციისა და მეცნიერების ანუ თარგმანის ჰარმონიზაციას გამოხატავს.

Google améliore son système de traduction instantanée grâce à l'intelligence artificielle (MAJ)

*Google fait état de progrès très importants pour son service de traduction instantanée grâce à l'adoption d'un réseau neuronal d'apprentissage profond. Comparé à son application actuelle Google Traduction, ce nouvel outil réduit le taux d'erreurs jusqu'à 85% et serait presque impossible à distinguer d'une traduction humaine. Pour le moment, il est capable de traduire du chinois mandarin en anglais. La traduction instantanée est l'un des domaines dans lesquels l'intelligence artificielle (IA) est amenée à jouer un rôle majeur. C'est déjà le cas avec les applications pour smartphones et ordinateur, notamment **Skype Translator de Microsoft** ou **Google Translate** qui accomplissent des prouesses et nous permettent de consulter des sites Internet ou de dialoguer avec des personnes dans une langue étrangère. Mais d'importants progrès, notamment en matière d'apprentissage profond et de réseaux neuronaux, nous laissent entrevoir le jour pas si lointain où des machines polyglottes feront d'aussi bons interprètes que les humains. Google nous en donne un aperçu avec une nouvelle IA qui fait faire des progrès très significatifs à son système de traduction instantanée. Baptisé **Google Neural Machine Translation system (GNMT)**, elle est d'ores et déjà utilisée par l'application **Google Traduction (Google Translate)** pour passer du chinois mandarin à l'anglais, ce qui représenterait 18 millions de traductions quotidiennes. L'application **Google Traduction**, aussi appelée **Google Translate**, se voit dotée de deux nouvelles fonctions. L'une, **Word Lens**, permet la traduction d'inscriptions sur des panneaux. L'autre reconnaît les langues parlées et retranscrit automatiquement le contenu à l'oral grâce au mode Conversation. De quoi transformer un smartphone en un véritable traducteur instantané (Marc Zaffagni, Futura-Sciences, 30/09/2016, modifié 4/10/2016).*

შეიძლება მოვიყვანოთ მეორე მაგალითი, რომელიც მუსიკის შექმნას ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით გვათავაზობს:

Pourquoi Sony fait appel à l'intelligence artificielle pour composer de la musique (Marc Zaffagni, Futura-Sciences, 26/10/2016)

*Situé dans le cinquième arrondissement de Paris, le **Computer Science Laboratory (CSL)**, créé il y a 20 ans par le Japonais **Sony**, travaille sur des projets de recherche inédits. Parmi eux, le développement d'une intelligence artificielle appelée **Flow Machines** capable de composer un*

morceau de musique en se passant presque complètement d'une intervention humaine. Fiammetta Ghedini, membre du CSL impliquée dans ce projet, nous en a expliqué les détails.

*Il y a un mois de cela, des chercheurs du Computer Science Laboratory (CSL), de la firme Sony, ont diffusé ce qu'ils ont présenté comme la première chanson intégrale composée par une intelligence artificielle (IA). Intitulée «Daddy's Car», elle reprend le style caractéristique des Beatles dont elle s'est inspirée après avoir analysé 45 morceaux des **Fab Four**. Écoutez ce morceau en cliquant sur le player ci-dessous et vous constaterez qu'il y a effectivement une ressemblance...*

Contre toute attente, ce n'est pas au Japon qu'est installé le CSL, mais à Paris, dans le cinquième arrondissement. Ce laboratoire, qui fête ses 20 ans cette année, planche sur des projets de recherche et développement qui n'ont officiellement pas de finalité commerciale et sont parfois même très éloignés des domaines d'activité de Sony. « Nous avons des gens qui travaillent sur le cancer, le langage, l'agriculture. Nous accueillons aussi des chercheurs issus de projets européens qui ne sont pas salariés de Sony », nous a expliqué Fiammetta Ghedini, en charge de la communication pour la branche musique du CSL.

*Cette IA, nommée **Flow Machines**, réalise des compositions automatiques en puisant dans une base de données riche de 13.000 partitions de morceaux de musique. « Un musicien commence par indiquer à l'IA des styles musicaux. Cette dernière va ensuite lui proposer une chanson comprenant une mélodie et des harmonies. Afin d'éviter les risques de plagiat, nous ajoutons des contraintes de structure», précise notre interlocutrice.*

მოცემული მაგალითი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ახალ ტექნოლოგიებს არა მხოლოდ მეცნიერების სამსახურში, არამედ, ამჯერად, ხელოვნების დარგის, მუსიკის სამსახურშიც ვხვდებით.

დღეს ინტერნეტი სხვადასხვა საშუალებას გვაძლევს. სწორედ ადამიანმა უნდა შეძლოს მისი რელევანტური გამოყენება. თუ ის კარგად არის გამოყენებული, მან შეიძლება ხელი შეუწყოს ენათა და კულტურათა შორის განსხვავების შენარჩუნებას. ბევრს საუბრობენ ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებლობაზე. ასევე აუცილებელია კულტურების, ენების და გამოხატვის

საშუალებებს შორის განსხვავების შენარჩუნება. ინტერნეტი დაგვეხმარება გამოვიდეთ საკუთარი კულტურული ნაჭუჭიდან.

სხვა მხრივ, უნდა ვერიდოთ მხოლოდ „ინტერნეტკულტურას“. ეჭვგარეშეა, რომ ინტერნეტი კულტურათა განვითარების სადავე ხდება არა მარტო ეკონომიკურად ძლიერი კულტურების, არამედ სხვა კულტურებისთვისაც. ინტერნეტი გვაძლევს საშუალებებს, თუმცა სასწაულს არ უნდა ველოდოთ. ის ასახავს მხოლოდ იმათ განზარხვას, ვინც მას იყენებს. ის შეიძლება გახდეს ეფექტური საშუალება ერთმანეთისათვის სრულიად საწინააღმდეგო საკითხებში: როგორცაა უკანონობა, ისე კანონიერება, კულტურული ურთიერთობის ნორმალიზაცია და კულტურული გაცვლა. ახალი ტექნოლოგიები აქამდე მიუწვდომელ ახალ სფეროებს ქმნის და საშუალებას იძლევა დავძლიოთ აქამდე გადაულახავი ბარიერები. ტექნოლოგია არ ქმნის ჩვევას: ის ხსნის მხოლოდ შესაძლო ჩვევების ახალ სფეროებს. სწორედ ადამიანს ეკისრება მათი შექმნა და აშენება. იმის ნაცვლად, რომ უგულვებელვყოთ ინტერნეტი, მომხმარებელს ხელი უნდა შევუწყოთ და გავაფრთხილოთ ის.

დღეს იმ დისკურსებში, რომლებიც ინტერნეტში გვხვდება, სწორედ წინა პლანზეა გადმოტანილი საერთო ცოდნის შესახებ არსებული მითი. ინტერნეტს გააჩნია ერთდროულად ახალი სოციალური კავშირის ყველა თვისება და ახალი კოლექტიური ცოდნის ყველა ვალდებულება, იქნება ეს სოციალური სივრცე, რომელიც ფორუმებზე გვხვდება თუ ყველასათვის ნებისმიერ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა (ელი, კატლენი 2002:177).

თავი 3-ის დასკვნები

